



184 მგვტ-იანი შუახევის ჰესის ოპერირების ფაზის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა საქართველო, აჭარის რეგიონი

საბოლოო ანგარიში

9 სექტემბერი, 2021

პროექტის No.: 0416400

www.erm.com

დოკუმენტის დეტალები	ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ავტომატურად ჩანს მთავარ ფურცელზე და მთავარი გვერდის ფუტერზე. გაითვალისწინეთ, რომ წინამდებარე ცხრილი აუცილებლად უნდა ახლდეს ამ დოკუმენტს.
სათაური	184 მგვტ-იანი შუახევის ჰესის ოპერირების ფაზის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა საქართველო, აჭარის რეგიონი
ქვე-სათაური	საბოლოო ანგარიში
პროექტის No.	0416400
თარიღი	15 აპრილი 2021
ვერსია	1.0
ავტორი	ERM India Private Limited
კლიენტის სახელწოდება	შუახევი ჰესი

დოკუმენტის ისტორია

ვერსია	შესწორება	ავტორი	გადახედა	ERM თანხმობა გამოცემაზე		კომენტარები
				სახელი	თარიღი	
სამუშაო	1.0	სახელი	არუნ ვენკატარამან	არუნ ვენკატარამან	15/04/2021	ტექსტი
საბოლოო	2.0	არუნ ვენკატარამან	არუნ ვენკატარამან	არუნ ვენკატარამან	09/09/2021	გათვალისწინებულია ADB-ის კომენტარები

ხელმოწერის გვერდი

09 სექტემბერი, 2021 15 აპრილი 2021

184 მგვტ-იანი შუახევის ჰესის ოპერირების ფაზის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა

საბოლოო ანგარიში

[Double click to insert signature]

სახელი და გვარი: არუნ ვენტაკარან
(ხელმოწერილია)
პოზიცია: ტექნიკური დირექტორი

ERM India Private Limited

Building 10, Tower B
3rd Floor, DLF Cyber City
Gurgaon – 122 002, NCR
ინდოეთი

ტელ : 91-124-4170300

© Copyright 2023 by ERM Worldwide Group Ltd and/or its affiliates ("ERM").
All rights reserved. No part of this work may be reproduced or transmitted in any form,
or by any means, without the prior written permission of ERM.

სარჩევი

1.	შესავალი	1
1.1	ოპერირების ფაზის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (BAP)	1
1.2	პროექტის აღწერა.....	1
1.2.1	შუახვევი ჰესის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (გზშ-დან BAP-მდე)	1
1.2.2	35 კვ სიმძლავრი სხლათა-შუახვევის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი (ნიუ მეტალ ჯორჯიას გზშ ანგარიშიდან)	2
1.2.3	საკვლევი ტერიტორია/ დისკრეტული მართვის ერთეული ეკოლოგიური საბაზისო კვლევებისთვის და ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმისთვის	2
1.3	ეკოლოგიური ლანდშაფტი.....	5
1.3.1	ენდემიზმის ცენტრები - კოლხეთის რეგიონი	7
1.3.2	დაცული ტერიტორიები საკვლევი ზონასთან ახლოს.....	8
1.3.3	ჰაბიტატების მოკლე შეჯამება და ბუნებრივი, მოდიფიცირებული და კრიტიკული ჰაბიტატების IFC კლასიფიკაცია	9
2.	კონსერვაციული პრიორიტეტები	11
2.1	IUCN წითელი ნუსხა.....	11
2.1.1	ბიომრავალფეროვნებისთვის საკვანძო ტერიტორია (KBI) სიახლოვე საკვლევი ტერიტორიასთან/ დისკრეტული მართვის ერთეულთან DMU	11
2.2	საქართველოს წითელი ნუსხა	14
2.3	კონსერვაციის პრიორიტეტები კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად.....	14
2.3.1	IFC-ის შესრულების სტანდარტი 6.....	14
2.3.2	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	16
2.4	მცენარეთა დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და ენდემური სახეობები საკვლევი ტერიტორიაზე	20
2.5	დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და ენდემური სახეობები საკვლევი ტერიტორიაზე.....	22
2.6	დაცული, საფრთხის წინაშე მყოფი და ჰერპეტოფაუნის ენდემური სახეობები საკვლევი ტერიტორიაზე	23
ცხრილი 2-5	დაცული, საფრთხის წინაშე მყოფი და ჰერპეტოფაუნის ენდემური სახეობები BAP-ის საკვლევი ტერიტორიაზე	24
2.7	ძუძუმწოვრების დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და ენდემური სახეობები საკვლევი ტერიტორიაზე	24
2.8	საკვლევი ტერიტორიაზე თევზის დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და ენდემური სახეობები.....	27
2.9	კრიტიკული ჰაბიტატის შეფასება	29
2.9.1	გლობალურ და/ან ეროვნულ დონეზე გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე და/ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები ევროკავშირის ჰაბიტატის დირექტივის დანართი IV მიხედვით	29
2.9.2	ენდემური და/ან შეზღუდული არეალის სახეობები.....	43
2.9.3	გადამფრენი და ჯოგური სახეობები.....	44
2.9.4	კანონმდებლობით დაცული და საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიები	44
2.10	კრიტიკული ჰაბიტატის შეფასების შეჯამება და ზეგავლენები პროექტზე.....	46
3.	ბიომრავალფეროვნების რეგულატორებზე ზემოქმედება ოპერირების ფაზაზე, შემარბილებელი ღონისძიებებისა და მართვის სამოქმედო გეგმა.....	49
3.1	მშენებლობის ფაზაზე არსებული ზემოქმედება და განხორციელებული შემარბილებელი ღონისძიებები	49
3.1.1	მშენებლობით გამოწვეული მუდმივად დეგრადირებული და დაკარგული ჰაბიტატი.....	50
3.1.2	უცხო ინვაზიური სახეობების მართვა.....	61
3.1.3	ჰაბიტატის დროებითი დაკარგვა მშენებლობის ფაზაზე	63
3.1.4	პრიორიტეტული სახეობების და მათი ჰაბიტატის მონიტორინგი, მშენებლობის ფაზის ზეგავლენა.....	63

3.1.5	ნარჩენი ზემოქმედება კრიტიკული ჰაბიტატის სახეობებიდან მშენებლობის ფაზაზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი.....	68
3.1.6	ნარჩენი ზემოქმედება სხვა სახეობებზე მშენებლობის ფაზაზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი.....	72
3.2	ოპერირების ფაზის მოსალოდნელი ზემოქმედება და შემოტავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები	76
3.2.1	მდინაე აჭარისწყალში საშუალო წლიური ხარჯის შემცირება 10%-მდე	76
3.2.2	პიკური მოდინების ზემოქმედება შუახვევი ჰესის ქვედა ბიეფში	84
3.2.3	ეკოლოგიური ბარიერები, რომლებიც მდ. აჭარისწყალში თევზის გადაადგილებას აფერხებს	85
3.2.4	წყლის ხარისხის ცვლილება მთავარი მდინარის სისტემაში, განსაკუთრებით წყალმცირობის და გარეცხვის პერიოდში	86
3.2.5	35კვ-იანი ეგზ ზეგავლენა და შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები....	86
4.	მონიტორინგი და ადაპტაციური მართვა	89
4.1	მშენებლობის ფაზის ზეგავლენები, რომლებიც ოპერირების ფაზაზე გრძელდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებით	89
4.1.1	მშენებლობის ფაზის დროებითი ზეგავლენები	89
4.1.2	სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ჰაბიტატების დაკარგვა და პერმანენტული დეგრადაცია	90
4.1.3	სამშენებლო ზემოქმედება პრიორიტეტულ სახეობებზე და მათ ჰაბიტატებზე	93
4.1.4	სამშენებლო ზეგავლენა კრიტიკული ჰაბიტატების სახეობებზე.....	99
4.2	ოპერირების ფაზის ზეგავლენები და შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები	100
4.3	35 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ზემოქმედება და შეთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები	127
4.4	ოპერირების ფაზის გავლენა კრიტიკულ ჰაბიტატზე	128
5.	დახურვის/დასრულების ანგარიში	131
6.	ოპერირების ფაზის შემარბილებელი ღონისძიებების, მონიტორინგისა და მენეჯმენტის გეგმა	131
7.	გამოყენებული ლიტერატურა	133
დანართი A დაგეგმილი აქტივობების/ღონისძიებების სტატუსი მშენებლობისა და ოპერირების ფაზაზე: დახურული ან გაგრძელებული/ტრანსფორმირებული აქტივობებს ოპერირების ფაზაზე ან კონკრეტულად განსაზღვრული ოპერირების ფაზისთვის		136

ცხრილის ჩამონათვალი

ცხრილი 1-1	ძირითადი ჰაბიტატი საკვლევ ტერიტორიაზე	9
ცხრილი 2-1	მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება აკმაყოფილებდეს ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლების კრიტერიუმებს	17
ცხრილი 2-2	მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება აკმაყოფილებდეს კრიტიკული ჰაბიტატის კრიტერიუმებს და პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლების კრიტერიუმებთან ურთიერთობას.....	18
ცხრილი 2-3	დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და ენდემური სახეობები საკვლევ ტერიტორიაზე	20
ცხრილი 2-4	საფრთხის წინაშე არსებული და ფრინველთა დაცული სახეობები, აღწერილი BAP-ის საკვლევ ტერიტორიაზე	23
ცხრილი 2-5	დაცული, საფრთხის წინაშე მყოფი და ჰერპეტოფაუნის ენდემური სახეობები BAP-ის საკვლევ ტერიტორიაზე	24
ცხრილი 2-6	მუქმწოვრების დაცული, საფრთხისთან მყოფი და კავკასიური ენდემური და/ან ჰაბიტატის დირექტავაში აღწერილი სახეობები რომლებიც ცნობილია ან შესაძლოა გამოჩნდეს საკვლევ ტერიტორიაზე	26

ცხრილი 2-7	თევზის დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და ენდემური სახეობები საკვლევ ტერიტორიაზე	29
ცხრილი 2-8	კრიტიკული ჰაბიტატის შეფასების რაოდენობრივი ზღვარი	30
ცხრილი 2-9	პოტენციური კრიტიკული ჰაბიტატის გამომწვევი სახეობები და მათი შეფასება IFC-ის 1 კრიტერიუმისა და ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივის დანართი IV-ის მიხედვით	34
ცხრილი 2-10	კანონით დაცული და ბიომრავალფეროვნების საკვანძო ტერიტორიები, რომლებიც გადაფარვაში დისკრეტული მართვის უზნებთან ან იმყოფება მათთან ახლოს	46
ცხრილი 2-11	კრიტიკული ჰაბიტატის მახასიათებლების შეჯამება (IFC PS6)	46
ცხრილი 3-1	მშენებლობის ფაზაზე ზემოქმედების ქვეს მყოფი მცენარეთა სახეობები და ჰაბიტატები	50
ცხრილი 3-2	საქართველოს წითელი ნუსხის სახეობები საკვლევ ტერიტორიაზე	52
ცხრილი 3-3	ჰაბიტატის მდგომარეობის ქულა (A)	53
ცხრილი 3-13	გადამცემი ხაზის საკვლევ ტერიტორიაზე აღწერილი და დაფიქსირებული კონსერვაციული მნიშვნელობის სახეობები	86
ცხრილი 4-1	ქმედება B 1.5	89
ცხრილი 4-2	ქმედება B 2.1	90
ცხრილი 4-3	ქმედება B 2.3	92
ცხრილი 4-4	აქტივობა B 1.7	92
ცხრილი 4-5	აქტივობა E 2.1	94
ცხრილი 4-6	აქტივობა E 2.2	94
ცხრილი 4-7	აქტივობა E 2.3	95
ცხრილი 4-8	აქტივობა D 1.4	95
ცხრილი 4-9	აქტივობა D 2.1	96
ცხრილი 4-10	აქტივობა D 2.2	96
ცხრილი 4-11	მოქმედება D 2.2	99
ცხრილი 4-15	აქტივობა F 2.1	126
ცხრილი 4-16	აქტივობა F 3.2	126
ცხრილი 4-17	აქტივობა E 1.4:	127
ცხრილი A.2	აქტივობები რომლების გაგრძელება მშენებლობის ფაზიდან ან სპეციფიურია ოპერირების ფაზისთვის	3
ცხრილი 2.1	სამონიტორინგო უზნები ფრინველებისთვის	7
ცხრილი 2.4	გამოვლენილი ზემოქმედების შეჯამება და რეკომენდირებული შემარბილებელი ღონისძიება	15
ცხრილი 2.11	CPEG ზეგავლენის ქვეშ მყოფი და საკონტროლო უნებისთვის სამივე მდინარე	26
ცხრილი 2.12	დაკვირვების შედეგად აღმოჩენილი ზეგავლენების და რეკომენდირებული დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების შეჯამება	29
ცხრილი 2.13	ჰერპეტოფაუნის მონიტორინგის უზნები	32
ცხრილი 2.14	2013-2019 წლებში დაფიქსირებული ჰერპეტოფაუნის სახეობების რაოდენობა	33
ცხრილი 2.15	სამონიტორინგე წლებში ჰერპეტოფაუნის სახეობების არსებობა	34
ცხრილი 2.16	ზეგავლენების და რეკომენდირებული დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების შეჯამება	36
ცხრილი 2.17	ძუძუმწოვრების მონიტორინგის უზნები	37
ცხრილი 2.18	წავის მონიტორინგის ადგილების ლოკაციები	38
ცხრილი 2.21	ზეგავლენების და რეკომენდირებული დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების შეჯამება	62
ცხრილი 2.22	წვრილი ძუძუმწოვრების მონიტორინგის ლოკაციები	62
ცხრილი 2.22	ზეგავლენების და რეკომენდირებული დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების შეჯამება	65
ცხრილი 3.1	წმინდა მოგების მისაღწევა ქმედებების შეჯამება	66

სქემის ჩამონათვალი

სქემა 1-1	საკვლევი ტერიტორია/DMU ეკოლოგიური საბაზისო კვლევებისთვის და ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმისთვის	4
სქემა 1-2	კავკასიის ეკორეგიონი	5
სქემა 2-1	პროექტის ახლოს არსებული საკვანძო ბიომრავალფეროვნების ტერიტორიები (KBA) ..	12
სქემა 3-1	ფრინველთა ხელოვნური თავშესაფრის მონიტორინგის შედეგები.....	65
სქემა 3-2	დამურის ხელოვნური თავშესაფრის მონიტორინგის შედეგები.....	67
სქემა 3-3	<i>Arbutus andrachne</i> -ს ლოკაცია.....	69
სქემა 3-4	<i>Astragalus sommierii</i> -ს ლოკაცია.....	70
სქემა 3-5	რუქაზე ნაჩვენებია ახალი ხარჯის რეჟიმით გამოწვეული მოსალოდნელი ეკოლოგიური ხარჯის ზეგავლენა	77

აკრონიმები და აბრევიატურა

დასახელება	განმარტება
ACSR	ალუმინის საჰაერო სადენი ფოლადის არმირებით
AEWA	აფრიკა-ევრაზიის წყლის ფრინველების მიგრაციის შეთანხმება
AFF	ასოციაცია ფლორა და ფაუნა
AGL	შპს აჭარისწყალი ჯორჯია
BAP	ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა
CH	კრიტიკული ჰაბიტატი
CEPF	კრიტიკული ეკოსისტემების პარტნიორობის ფონდი
DMU	დისკრეტული მართვის ერთეული
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ECM	გარემოს შესაბამისობის მენეჯერი
EPC	საინჟინრო, შესყიდვები და მშენებლობა
ESP	გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა
EU	ევროკავშირი
GoG	საქართველოს მთავრობა
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
ha	ჰექტარი
HPP	ჰიდროელექტრო სადგურის პროექტი
HSE	ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემო
IBA	ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორია
kV	კილოვატი
KBA	ბიორავალფეროვნების საკვანძო ტერიტორია
LFMS	შემარბილებელი ღონისძებები/სტრატეგია მცირეწყლიანობის პერიოდისთვის
MW	მეგავატი
msl	მეტრი ზღვის დონიდან
OHL	საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი
OMMMP	ოპერირების ფაზის შემარბილებელი ღონისძებების, მართვისა და მონიტორინგის გეგმა
PS	შესრულების სტანდარტი
PR	შესრულების მოთხოვნები
RBMP	მდინარის აუზის მართვის გეგმა
WFD	ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივა

შესავალი

ოპერირების ფაზის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (BAP)

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (BAP), არის გეგმა რომელშიც გაწერილია ის აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს კონკრეტული ადგილმდებარეობისა და პროექტის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას ან გაუმჯობესებას.

შუახვეი ჰესის BAP-ის იმპლემენტაცია აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტის მიერ შემდეგი მიზნების მიღწევა:

- შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება, რომელიც გათვალისწინებულია “აჭარისწყლის კასკადის“ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის ფარგლებში (Mott Mac Donald, 2012b,c, 2013a, 2016);
- AGL-ის გარემოსდაცვით პოლიტიკასთან შესაბამისობა (AGL 2012);
- ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა;

საერთაშორისო გარემოსდაცვით მოთხოვნებთან და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობა, მათ შორის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა (PR6), აზიის განვითარების ბანკის (ADB) პოლიტიკის მოთხოვნა (SR 1); საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) სტანდარტი 6 (PS-6) და ეკვატორის პრინციპებთან შესაბამისობა.

ოპერირების ფაზის ბსგ მოიცავს მშენებლობის ფაზის ბოლო ეტაპს, ოპერირების ფაზას და პროექტის სრულ სასიცოცხლო ფაზას.

პროექტის აღწერა

შუახვეი ჰესის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (გზმ-დან BAP-მდე)

პროექტის სრული დადგმული სიმძლავრე არის 184 მგვტ. პროექტს აქვს ორი კაშხალი მდინარე აჭარისწყალზე და მდინარე სხალთაზე და დამბა მდინარე ჩირუხისწყალზე. მდინარის წყალი სხალთისა და ჩირუხის წერტილებიდან გვირაბების მეშვეობით გადაეცემა დიდაჭარის რეზერვუარს მდინარე აჭარისწყალზე. იქედან სადაწნეო გვირაბის მეშვეობით გადაეცემა შუახვეი ჰესს. პატარა სიმძლავრის (9მგვტ) ჰესი ასევე აშენდა სხალთაში, რომელიც იყენებს ჩირუხისწყლიდან გადმოტანილ წყალს, თუმცა ძირითადი ენერგო ბლოკი მდებარეობს შუახვეში, მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, მდინარე აჭარისწყლისა და ჩირუხისწყლის შესართვთან ახლოს.

გამომუშავებული ელექტროენერგია ძირითადად გაიყიდება თურქეთში ან სხვა ქვეყნის ენერგეტიკულ ბაზრებზე და საქართველოს ენერგოსისტემას მიეწოდება ზამთრის პერიოდში. პროექტი არის პიკური მოთხოვნაზე დაფუძნებული სადგური, რომელიც შექმნილია იმისთვის რომ იმუშაოს მაქსიმალური სიმძლავრით ელექტროენერგიის მაქსიმალური მოთხოვნის პერიოდში, როდესაც თურქეთში მაღალი ფასებია. (ელექტროენერგიის ფასები განსხვავდება დღის მონაკვეთების მიხედვით). ორი პატარა რეზერვუარის არსებობა შესაძლებლობას იძლევა მოხდეს წყლის შენახვა და ჰესმა იმუშაოს სრული დატვირთვით შერჩეულ დროს, პიკური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

35 კვ სიმძლავრი სხალთა-შუახევის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი (ნიუ მეტალ ჯორჯიას გზა ანგარიშიდან)

პროექტი ხორციელდება აჭარის რეგიონში, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. მშენებლობა მოიცავს სხალთის ხეობის ნაწილს - სოფელი წაბლანიდან ფურტიოს ხიდამდე მდინარე აჭარისწყალზე და მდინარე აჭარისწყლის ხეობის მონაკვეთს შუახევი ჰესის კაშხლამდე. ხაზი აშენდა აჭარისწყლის ჰესების კასკადის პროექტის ფარგლებში (შუახევი ჰესი 178 მგვტ სიმძლავრისა და სხალთა ჰესი 9 მგვტ).

სხალთა-შუახევის 35 კვ-იანი სიმძლავრის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი არის 24 კმ სიგრძის, ერთგამტარიანი, 24 წვერიანი ოპტიკური სადენით (OPGW). საჰაერო გადამცემი ხაზი აშენებულია აჭარისწყლის კასკადის პროექტის ფარგლებში, რათა მისი მეშვეობით სხალთა ჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგია ჩაერთოს 220 კვ-იან ქსელში. ხაზი გადაჭიმულია შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

გადამცემი ხაზი აშენებულია 35 კვ-იანი სიმძლავრის კლასის მეტალის ფოლადის საყრდენებისაგან და შესაბამისი საძირკვლებსაგან, ხოლო იმ ადგილებში სადაც გეოგრაფიული მდებარეობის გამო შეუძლებელი გახდა ამ კლასის საყრდენების დამონტაჟება მაღალი ძავის 110 კვტ-იანი ინდივიდუალური კონსტრუქციის საყრდენები. ხაზი მოიცავს 133 ანძას.

გადამცემ ხაზზე გამოყენებულია ACSR სადენი შესაბამისი სიმძლავრის კომპოზიტურ-კერამიკული იზოლატორებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას გენერირებული სიმძლავრის უწყვეტი გატარება. 24 წვერიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენი შესაბამისი აქსესუარებით არის გაჭიმული, ტელეკომუნიკაციისა და ხაზის რელეური დაცვის უზრუნველყოფისთვის. ანძების ტერიტორია გაიწმინდა ხეებისგან, ხოლო ხაზის ქვეშ არსებული ტერიტორია, რომელიც სერვიტუტით იქნა დატვირთული გადაიხედა. დაახლოებით 38 ჰა ტერიტორიის გადახედა მოხდა, დაახლოებით 0.23 ჰა მთლიანად მოიჭრა. სრულად პროექტისთვის საჭირო გადხდა 96 ჰა მიწის ფართობი. ტყის წმენდა მოხდა შესაბამისი ნებართვების და შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით. ხაზის ძირითადი ნაწილი მიუყვება მდინარე აჭარისწყალს და მის შენაკდებს-მდინარე სხალთასა და ჩირუხისწყალს. ეგ ხაზი აშენდა აჭარისწყლის ჰიდროენერგო კასკადის ფარგლებში (შუახევი ჰესი 178მგვტ და სხალთა ჰესი 9მგვტ სიმძლავრის) და მისი საშუალებით ხდება სხალთა ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდება საქართველოს 220კვ-იან ქსელში. გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტი მოხდება თურქეთში ან სხვა ქვეყნებში, რომლებიც მიერთებულია ამ ქსელს, მას შემდეგ როცა დააკმაყოფილებს ელექტროენერგიის დეფიციტს საქართველოში - ზამთრის პერიოდში.

საკვლევი ტერიტორია/ დისკრეტული მართვის ერთეული ეკოლოგიური საბაზისო კვლევებისთვის და ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმისთვის

პროექტი მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საქართველოს სამხერთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროსთან. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მოიცავს 5 ადმინისტრაციულ ერთეულს: ქობულეთის, ქედის, შუახევის, ხულოს და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები. პროექტის ინფრასტრუქტურა განლაგებულია შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

BAP მოიცავს აჭარისწყლის ხეობის ზედა ნაწილს (დანდალოს ხიდის ზემოთ), გარდა სუბ ალპური და ალპური ზონისა, კერძოდ:


- აჭარის სანაპიროს მთიანი ნაწილი: ფოთლოვანი შერეული ტყე (400-1100 მეტრი ზღვის დონიდან) და წიფლის ტყე (800/1100-1300/1600 მეტრი ზღვის დონიდან);

- ქვედა ხეობები აჭარის შიდა მთიან რაიონში: მუხის ტყე (300-800 მეტრი ზღვის დონიდან) და შერეული წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყე (800-1500 მეტრი ზღვის დონიდან);
- შუა მთები აჭარის შიდა მთიან რაიონში: წიწვოვანი ტყეები (900/1500-2100 მეტრი ზღვის დონიდან.)

BAP -ის საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს დისკრეტული სამენეჯმენტო ერთეულს (DMU) საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) გაიდლაინის (Note 6) მიხედვით (IFC, 2012b).

BAP-ის საკვლევი ტერიტორია მოიცავს (832.64 კმ² or 83,264 ჰა) და მოცემულია *Error! Reference source not found.* პროექტის კომპონენტებისა და კონსერვაციული ღირებულების მქონე ტერიტორიების გათვალისწინებით საკვლევი ტერიტორიის შიგნით და საკვლევ ტერიტორიასთან.

სქემა 0-1 საკვლევი ტერიტორია/DMU ეკოლოგიური საბაზისო კვლევებისთვის და ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმისთვის



წყარო: ERM (2020)

ეკოლოგიური ლანდშაფტი

ეკორეგიონი (ეკოლოგიური რეგიონი) არის ეკოლოგიურად და გეოგრაფიულად განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც უფრო მცირე ვიდრე ბიორეგიონი, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ უფრო მცირე ვიდრე ეკოზონა. ეკორეგიონი არის „ეკოსისტემების განმეორებადი ნიმუში, რომელიც დაკავშირებულია ნიადაგისა და რელიეფის დამახასიათებელ კომბინაციებთან, რომლებიც ახასიათებს ამ რეგიონს. ეკორეგიონები არის ტერიტორიები, რომლებშიც არსებობს გეოგრაფიული ფენომენების მახასიათებლების სივრცითი დამთხვევა, და განსხვავებულობა ეკოსისტემების ხარისხის, ჯანმრთელობის და სისტემების ინტეგრირებულობის მხრივ (Olson and Dinerstein 1998).

ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილები არის ბიოგეოგრაფიული რეგიონი, რომელიც ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი რეზერვუარია და განადგურების საფრთხის ქვეშაა. ტერმინი ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილი კონკრეტულად ეხება მსოფლიოში არსებულ 25 ბიომრავალფეროვნების მხრივ მდიდარ ტერიტორიას, რომლებმაც დაკარგეს ბუნებრივი ჰაბიტატის 70% (Myers et al 2000).

კავკასიის ეკორეგიონი

კავკასია არის მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი რეგიონი ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით და ამავე დროს გადაშენების საფრთხის ქვეშ. ტყეები, მაღალი მთის ეკოსისტემები და არიდული ლანდშაპტები ცხოველური სახეობებით ორჯერ მდიდარია ვიდრე ევროპისა და აზიის მიმდებარედ არსებული სხვა რეგიონები. კავკასია მოიცავს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, თურქეთის და ირანის ტერიტორიებს. ამ რეგიონში, კრიტიკული ეკოსისტემების საპარტნიორო ფონდი (CEPF) დაინტერესებულია ინიციატივების დაფინანსებით 5 სამიზნე კონსერვაციის დერეფანში: დიდი კავკასიონი, კასპია, დასავლეთ მცირე კავკასიონი, აღმოსავლეთ მცირე კავკასიონი და ჰირკანი. პროექტის მდებარეობა კავკასიის რეგიონში ნაჩვენებია სქემაზე 1.2

სქემა 0-2 კავკასიის ეკორეგიონი



წყარო: WWF (2006) An Ecoregional Conservation Plan for the Caucasus (<http://caucasus-naturefund.org/wp-content/uploads/2012/10/Caucasus-Ecoregion.jpg>) *Caucasus-Global Biodiversity Hotspot*

კავკასიის ცხელი წერტილი, ისტორიულად ინტერპრეტირებულია როგორც ისთმუსი შავ და კასპიის ზღვებს შორის. იგი მოიცავს საერთო ფართობს 580 000 მ², რომელიც ფარავს სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილს, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთს და ჩრდილო-დასავლეთ ირანის ნაწილს.

კავკასია, დედამიწის ბიოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რეგიონი, პლანეტის 25 ყველაზე მრავალფეროვან და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ცხელ წერტილებს შორისაა.

კავკასია WWF-ის გლობალური 200 ეკორეგიონიდან ერთ-ერთია, რომელიც გლობალურად გამორჩეულია ბიომრავალფეროვნებით. WWF-ის Large Herbivore Initiative-ის მიერ კავკასია ასევე დასახელდა ბალახისმჭამელთა დიდ ცხელ წერტილად. შედარებით მცირე ფართობზე გვხვდება დიდი ბალახისმჭამელთა თერთმეტი სახეობა, ისევე როგორც ხუთი დიდი მტაცებელი. 2002 წლის IUCN-ის წითელი ნუსხა განსაზღვრავს გლობალურად საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველის 50 სახეობას და ერთ მცენარეს კავკასიაში. IUCN-ის სახეობებს შორის 18-ს აქვს შეზღუდული დიაპაზონი ან ენდემურია. კავკასიის მთები შეიცავს უამრავ მოთხოვნადი სამკურნალო და დეკორატიული მცენარეების სიმდიდრეს, ასევე უნიკალური რელიქტური და ენდემური მცენარეების თემებს.

ბიოლოგიურ გზაჯვარედინზე მდებარე, ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის სახეობები აქ ერწყმის ენდემებს, რომლებიც სხვაგან არსად გვხვდება. ლანდშაფტის მრავალფეროვნების მაღალი დონე კავკასიაში უმეტესწილად რეგიონში დროებით-სივრცითი ცვალებადობის შედეგია. უნიკალური გეოლოგია და რელიეფი, რომელიც შედგება სამი ძირითადი მთის ჯაჭვისგან, რომლებიც გამოყოფილია

ხეობებითა და ვაკეებით, იძლევა სხვადასხვა მიკროკლიმატის, ნიადაგისა და მცენარეული პირობები, რაც იწვევს ლანდშაფტების ფართო სპექტრს და სახეობების მრავალფეროვნების უჩვეულოდ მაღალ დონეს ზომიერი ზონისთვის. კლიმატური პირობები ძალზე მრავალფეროვანია, ნალექების რაოდენობა მერყეობს 4000 მმ-ზე მეტი წელიწადში სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში 200 მმ-ზე ნაკლებს წელიწადში აღმოსავლეთ კავკასიის უდაბნოებში.

კავკასიაში 6500-ზე მეტი სახეობის სისხლძარღვოვანი მცენარეა ნაპოვნი. ამ მცენარეების მეოთხედი დედამიწაზე სხვაგან არსად არის ნაპოვნი. - ენდემიზმის ყველაზე მაღალი დონე მსოფლიოში. კავკასიაში სულ მცირე 153 ძუძუმწოვარი ბინადრობს; აქედან ერთი მეხუთედი რეგიონის ენდემურია. კავკასიაში 400-მდე სახეობის ფრინველია, რომელთაგან ოთხი ენდემურია ამ ცხელ წერტილში. შავი და კასპიის ზღვების სანაპიროები მნიშვნელოვანი გაჩერებაა მილიონობით გადამფრენი ფრინველისთვის, რომლებიც ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე დაფრინავენ ისთმუსზე ზაფხულისა და ზამთრის სახლებს შორის. კავკასიის 77 ქვეწარმავლიდან 22 ენდემურია რეგიონისთვის. რეგიონში გვხვდება ამფიბიების თოთხმეტი სახეობა, რომელთაგან ოთხი ენდემურია. რეგიონის მდინარეებსა და ზღვებში 200-ზე მეტი სახეობის თევზი გვხვდება, რომელთა მესამედზე მეტი სხვაგან არსად გვხვდება (Nugzar and Kandaurov 2006).

ენდემიზმის ცენტრები - კოლხეთის რეგიონი

კოლხეთი (კოლხიდა, კოლხეთი) დასავლეთ საქართველოს ნაწილია, მდებარეობს 41°-დან 45°-მდე და 40°-დან 46°-მდე აღმოსავლეთით. კოლხური ჭაობები და ტყეები შეტანილია მსოფლიო მემკვიდრეობის სავარაუდო ნუსხაში საქართველოს მიერ 2007 წელს წარდგენილი წინადადების მიხედვით¹. კოლხეთის ჭაობებსა და ტყის ეკოსისტემებს მიენიჭა საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი რამსარის კონვენციის მიხედვით 1997 წელს²

კოლხეთის პოლიტიკური და ადმინისტრაციული პერიმეტრი შეესაბამება მის ბუნებრივ საზღვრებს (კიკვიძე და ოჰსავა, 2001)³. ბოტანიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით კოლხეთი მიეკუთვნება აღმოსავლეთ ევკსინიურ ანუ კოლხურ ფიტოგეოგრაფიულ პროვინციას. ეს რეგიონი დასავლეთ საქართველოდან ოდნავ ვრცელდება რუსეთში, კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ტერიტორიაზე (ტუაფსე-ნოვოროსიისკი) და თურქეთამდე, ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ალბოვი, 1896)⁴; მალეევი, 1940⁵. კოლაკოვსკი, 1961⁶, მანჯავიძე 1967⁷, ხარაძე⁸, გაგნიძე, 1970⁹, გაგნიძე, 1974¹⁰, 1999¹¹, 2002. მამასადაძე, კოლხეთი მოიცავს ტერიტორიას, რომელიც ქმნის ე.წ.

¹ <https://whc.unesco.org/en/tentativelists/5223/>

² <https://whc.unesco.org/en/tentativelists/5223/>

³ Kikvidze Z., Ohsava M., 2001. Richness of Colchic vegetation: comparison between refugia of south-western and East Asia. BMC Ecology, 116: 1-10.

⁴ Albov N., 1896. Essay of vegetation of Colchic. In: Zemlevedenie, I: 49-74 (in Russian).

⁵ Maleev V.P., 1940. The vegetation of the Black Sea coastal countries in the Euxinean Province of Mediterranean region, its origin and connection. Trudy Botanicheskogo Instituta Akademii Nauk SSSR, Ser.-Geobotanica,

⁶ Kolakowsky A.A., 1961. The flora and vegetation of Colchis. MOIP, otd. Bot, 10, XVIII, MGU, Moskva (in Russian).

⁷ Mandjavidze D.V., 1967. A review of historical development of flora and vegetations of Ajaria in connection of geological past of Caucasus. In: Trudy Batumskogo Botan. Sada; Flora and Vegetation of Adjaria, 14:16-21 (in Russian).

⁸ Kharadze A.L., Gagnidze R.I., 1970. Review of hemixerophilic endemic elements in the flora of the Novorossiysk sub-province of Caucasus. Not. Syst. Geogr. Inst. Bot. Tbilisi, 28: 56-82 (in Russian).

⁹ Gagnidze R.I., 1974. Botanical and geographical analysis of the florocoenotic complex of tall herbaceous vegetation of the Caucasus. Metsniereba, Tbilisi (in Russian).

¹⁰ Gagnidze R.I., 1999. Arealogical review of Colchic evergreen broad-leaved mesophyllous dendroflora species. In: Klötzli F., Walther G.-R. (

¹¹ Gagnidze R.I. et al, 2002. Endemic genera of the Caucasian flora. Feddes Receptorium, 113, 7-8: 616-630.

კოლხურ სამკუთხედს“ (Walter, 1968¹²) Kikvidze & Ohsawa, 2001¹³; ყველაზე ნოტიო ტერიტორიის ცენტრალური ადგილი სამხრეთ კოლხეთშია დასავლეთ საქართველოს ორ პროვინციაში, აჭარასა და გურიაში. ეს არის ზღვისპირა დაბლობის ვიწრო ზოლი მდინარეების ჭოროხისა და რიონის შესართავებს შორის, საკმაოდ ნოტიო და თბილი ზომიერი კლიმატით. ამ რეგიონში მაქსიმალური ნალექი 4500 მმ-ია აჭარაში, მტირალაზე. ეს რეკორდია კავკასიის ისთმუსისთვის.

დაცული ტერიტორიები საკვლევ ზონასთან ახლოს

საკვლევ ზონაში ან მის მახლობლად არის ბუნების დაცვის რამდენიმე ზონა: კინტრიშის ნაკრძალი, ფრინველთა და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ტერიტორია (IBA), ბიომრავალფეროვნების საკვანძო ტერიტორია (KBA), შავშეთის ქედის IBA/KBA და აჭარა-იმერეთის ქედის IBA/KBA. ამ საიტების მოკლე აღწერა მოცემულია ქვემოთ:

კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი

კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი (IUCN კატეგორია Ia) დაარსდა 1959 წელს რელიქტური ტყეებისა და კოლხური ფლორა-ფაუნის დასაცავად. ნაკრძალს აქვს 10,703 ჰა ფართობი, დამატებით 3,190 ჰა დაცული ლანდშაფტი მის ირგვლივ და მდებარეობს BAP საკვლევ ტერიტორიის მიმდებარედ. ტერიტორიები, რომლებიც აკმაყოფილებენ IUCN-ის დაცული ტერიტორიების მართვის კატეგორიის Ia კრიტერიუმებს, სავარაუდოდ კვალიფიცირდება როგორც კრიტიკული ჰაბიტატი (IFC, 2012b).

გოდერძის შეთავაზებული ქსელის საიტი (უბანი)

ზურმუხტის ქსელი არის ეკოლოგიური ქსელი, რომელიც შედგება სპეციალური კონსერვაციის ინტერესების ტერიტორიებისგან. მისი განხორციელება დაიწყო ევროპის საბჭომ, ბერნის კონვენციის ფარგლებში, ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ No16 რეკომენდაციის მიღებით (1989). ქვეყნები აფასებენ თავიანთ ბუნებრივ რესურსებს და განსაზღვრავენ სახეობებსა და ჰაბიტატებს, რომლებიც უნდა იყოს დაცული ბერნის კონვენციის შესაბამისი რეზოლუციების შესაბამისად. ადგილები თავდაპირველად ცალკეული ქვეყნების მიერ არის შემოთავაზებული ბერნის კონვენციის სამდივნოში ეკოლოგიური საკმარისობის შესაფასებლად. დაკმაყოფილების ეს კრიტერიუმები კლასიფიცირებულია, როგორც „ოფიციალურად ნომინირებული ზურმუხტის უბნები“ და დამტკიცებულია კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციის შესახებ კონვენციის შესახებ, სანამ საბოლოოდ ხელახლა კლასიფიცირდება, როგორც „ოფიციალურად მიღებული ზურმუხტის ადგილები“. საქართველო შეუერთდა ბერნის კონვენციას 2009 წელს და ზურმუხტის ქსელის შექმნა გახდა ვალდებულება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით, რომელიც 2014 წელს გაფორმდა.

გოდერძის უბანი (GE0000026) იყო ერთ-ერთი შეთავაზებული კანდიდატი ზურმუხტის ქსელის უბანი 2014 წლის ნოემბერში¹⁴, ამ დროს პროექტი იმყოფებოდა მშენებლობის ფაზაზე. ის ასევე ჩამოთვლილია შეთავაზებულ შესაფასებელ უბნებში მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ ნაკრესის/გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაშრომში „ზურმუხტის ქსელის განვითარება საქართველოში (დეკემბერი, 2018).¹⁵ თუმცა, საბოლოოდ იგი არ იქნა ოფიციალურად ნომინირებული როგორც ზურმუხტის ქსელის საიტი 2014 წლის ნოემბერსა და 2019 დეკემბერს

¹² Walter H., 1968. Die Vegetation der Erde. V.I. Progress, Moskva (translation in Russian).

¹³ Kikvidze Z., Ohsawa M., 2001. Richness of Colchic vegetation: comparison between refugia of south-western and East Asia. BMC Ecology, 116: 1-10.

¹⁴The Standard Data Form for the site indicates that it was proposed in November 2014

¹⁵ https://www.researchgate.net/publication/329566712_Emerald_Network-Questions_and_Answers [Accessed 18.11.2020]

შორის პერიოდში (¹⁶). ოფიციალურად დასახელებული კანდიდატის (და ოფიციალურად მიღებული) ზურმუხტის საიტების სია ქვეყნდება ყოველწლიურად მუდმივმოქმედი კომიტეტის ყოველწლიური შეხვედრის შემდეგ; გოდერძი არ მოხვდა არცერთ გამოქვეყნებულ სიაში და არ შედის ოფიციალურად დასახელებული კანდიდატის ზურმუხტის საიტების უახლეს სიაში, 2019 წლის დეკემბრის მონაცემებით¹⁷. აქედან გამდინარე იგი არ განიხილება BAP-ში.

ჰაბიტატების მოკლე შეჯამება და ბუნებრივი, მოდიფიცირებული და კრიტიკული ჰაბიტატების IFC კლასიფიკაცია

სამშენებლო ფაზის BAP-ში მოხსენებული ჰაბიტატები წარმოდგენილია ცხრილში 1.1. სამშენებლო ფაზამ BAP-მა შეაფასა ყველა ბუნებრივი ტყე DMU-ში, როგორც კრიტიკული ჰაბიტატი ბერძნული მარწყვის ხის (*Arbutus andrachne*), სომიეს გლერძი (*Astragalus sommierii*) (ქართული გადაშენების პირას მყოფი), *Symphytum grandiflorum* (საქართველოს ენდემური/შეზღუდული დიაპაზონის) არსებობის გამო. კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*) (შეზღუდული ჯიშის სახეობა). პროექტი გავლენას მოახდენს ამ ბუნებრივი/კრიტიკული ჰაბიტატის ტყის 23,65 ჰა-ზე, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ რაიმე გაზომვადი ზემოქმედება იქონიოს იმ სახეობებზე, რომლებიც ქმნიან კრიტიკულ ჰაბიტატებს (იხ. ნაწილი 4.4.)

ცხრილი 0-1 ძირითადი ჰაბიტატი საკვლევ ტერიტორიაზე

ტიპი	IFC კატეგორია	კონსერვაციული ღირებულება	ფართობი (ჰა)	საკვლევ ტერიტორიის პროცენტულობა (%)
შერეული ფართოფოთლოვანი ტყე	ბუნებრივი/კრიტიკული	საშუალო	613.89	0.74
აღმოსავლური წიფლის ტყე	ბუნებრივი/კრიტიკული	საშუალო	1,358.70	1.63
ფართოფოთლოვანი ტყე დომინირებული მუხით და ან უხრავით	ბუნებრივი/კრიტიკული	მაღალი	4,186.50	5.03
შერეული ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი	ბუნებრივი/კრიტიკული	საშუალო	12,083.44	14.51
წიწვოვანი ტყე დომინირებული ფიჭვით და ნაზვით, კავკასიური ფიჭვის ტყე და დეგრადირებული წიწვოვანი ტყე	ბუნებრივი/კრიტიკული	საშუალო მოდიფიცირებული	41,769.22	50.17

¹⁶ Note Goderdzi is erroneously listed as a Candidate Emerald Site on the Emerald Network Viewer (<http://emerald.eea.europa.eu/>) [Accessed 18.11.2020]

¹⁷ <https://rm.coe.int/updated-list-of-officially-nominated-candidate-emerald-sites-december-/168098ef50> [Accessed 18.11.2020]

ტიპი	IFC კატეგორია	კონსერვაციული დირექტულება	ფართობი (ჰა)	საკვლევი ტერიტორიის პროცენტულობა (%)
კაკლის პლანტაციები	მოდულირე ბული	დაბალი	8.68	0.01
<i>ბუჩქები Rhododendron ponticum, Prunus laurocerasus, Ilex colchica და Euonymus europaea</i>	ბუნებრივი/მ ოდულირე ული	საშუალო	545.05	0.65
მინდვრები	მოდულირე ბული	დაბალი	7,417.57	8.91
სასოფლო სამეურნეო მიწები (სახნავი და სამოვრები)	მოდულირე ბული	უმნიშვნელო	11,825.19	14.20
მდინარეები და ნაკადულები	ბუნებრივი	მაღალი	393.01	0.47
მდინარის კალაპოტი, გზები და შიშველი კდეები	მოდულირე ბული	საშუალო/დაბალი	1,210.65	1.45
ტბები	ბუნებრივი	მაღალი	5.11	0.01
გზები	მოდულირე ბული	უმნიშვნელო	1,067.89	1.28
დასახლებები	მოდულირე ბული	უმნიშვნელო	764.76	0.92

კონსერვაციული პრიორიტეტები


IUCN წითელი ნუსხა

IUCN წითელი ნუსხის კატეგორიები და კრიტერიუმები მიზნად ისახავს იყოს ადვილად და ფართოდ გასაგები სისტემა გლობალური გადაშენების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი სახეობების კლასიფიკაციისთვის. სისტემის ზოგადი მიზანია უზრუნველყოს აშკარა და ობიექტური ჩარჩო სახეობების ყველაზე ფართო სპექტრის კლასიფიკაციისთვის მათი გადაშენების რისკის მიხედვით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ წითელ ნუსხამ შეიძლება ყურადღება გაამახვილოს იმ ტაქსონებზე, რომლებიც ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ არიან, ეს არ არის ერთადერთი საშუალება მათი დაცვის მიზნით კონსერვაციის ღონისძიებების პრიორიტეტების დასაყენებლად.

ბიომრავალფეროვნებისთვის საკვანძო ტერიტორია (KBI) სიახლოვე საკვლევ ტერიტორიასთან/ დისკრეტული მართვის ერთეულთან DMU

ბიომრავალფეროვნებისთვის საკვანძო ტერიტორიის (KBI) საკვლევ ტერიტორიასთან სიახლოვის აღსაქმელად იხილეთ **სქემა 2-1**, რომელიც აჩვენებს პროექტის კომპონენტების სიახლოვეს ამ ადგილებთან.

სქემა 0-1 პროექტის ახლოს არსებული საკვანძო ბიომრავალფეროვნების ტერიტორიები (KBA)



2.1.1.1 კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი, ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორია (IBA) და ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორია და ბიომრავალფეროვნებისთვის საკვანძო ტერიტორია (KBA)

კინტრიშის IBA ემთხვევა ნაკრძალს, მაგრამ ოდნავ უფრო დიდია (15,725 ჰა) (Birdlife International, 2012a). IBA-ს 2,957.13 ჰა ფართობი ემთხვევა BAP საკვლევ ზონას. IBA -თი დაცულია მნიშვნელოვანი ჰაბიტატების (ფართო ფოთლოვანი ტყეები, ალპური/სუბალპური/ბორეალური სათიბები, კლდოვანი ადგილები და ჭაობები) და ფრინველების სახეობები, განსაკუთრებით კავკასიური როჭო (Tetrao mlkosiewiczzi), რომელიც განიხილება როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი/შემცირებული სახეობა IUCN წითელ ნუსხით (v 2017.1.3); კასპიური შურთხი (Tetraogallus caspius), იდენტიფიცირებულია, როგორც ყველაზე ნაკლებად საფრთხის ქვეშ მყოფი/შემცირებადი IUCN-ის წითელ ნუსხით (v 2017.1.3) (Birdlife International 2019a); კასპიური შურთხი (Tetraogallus caspius), რომელიც შეტანილია მზრუნველობა საჭირო (LC)/შემცირებადი სახეობების სიაში IUCN წითელი ნუსხით (v 2017.1.3) (Birdlife International 2019a)

კინტრიშის IBA იცავს მინიმუმ 2 სახეობას იმ 10 სახეობიდან, რომლებიც შეზღუდულია (გამრავლების პერიოდში) ევრაზიის მაღალმთიანი ბიომისთვის. სხვა მნიშვნელოვანი სახეობები რომლების შეესაბამიან IBA-ს კრიტერიუმებს და ბინადრობენ კინტრიშის IBA-ში არიან: ველის კირკიტა (*Falco naumanni*), კრავიჭამია (*Gypaetus barbatus*), მთის არწივი (*Aquila chrysaetos*) და შავარდენი (*Falco peregrinus*); ყველა ეს სახეობა IUCN-ის წითელი ნუსხის მზრუნველობას საჭირო (LC) სახეობების სიაშია (v 2017.1).

2.1.1.2 აჭარა-იმერეთის ქედი ფრინველებისთვის და ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორია (IBA), ბიომრავალფეროვნების საკვანძო ტერიტორია (KBA)

IBA მდებარეობს პროექტის საკვლევ ზონაში, მაგრამ არა ფიზიკური ზემოქმედების არეალში. აჭარა-იმერეთის IBA არის ძალიან დიდი (173,279 ჰა) და განკუთვნილია შემდეგი სახეობებისთვის: კავკასიური როჭო (*Lyrurus mlkosiewiczzi*), კასპიური შურთხი (*Tetraogallus caspius*) მთის არწივი (*Aquila heliaca*), რომლებიც შეყვანილია IUCN-ის წითელი ნუსხის მოწყვლადი სახეობების სიაში (v 2017.1), ღაღა (*Crex crex*) and გოჭა (*Gallinago media*) (Birdlife International 2019b) .

KBA შეფასდა 2004 წელს და გამოჩნა საჯარო დომეინებზე და KBA პორტალებზე¹⁸, შემდგომში მოხდა პროექტის დაფინანსება და შეთანხმდა, მომზადდა მშენებლობის ფაზის BAP (Mott MacDonald 2016).

2.1.1.3 შავშეთის ქედი (2) ბიომრავალფეროვნების საკვანძო ტერიტორია (KBA)

საერთო ფართობი 19312 ჰა. ეს KBA ემთხვევა 35 კვ სიმძლავრის ელექტრო გადამცემ ხაზს და შუახევის ელექტროსადგურს.

ეს საიტი იდენტიფიცირებულია, როგორც ბიომრავალფეროვნების საკვანძო ტერიტორია, იმის საფუძველზე, რომ აქ შეხვდებით:

- გლობალურად საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების მნიშვნელოვან პოპულაციებს.
- ენდემური სახეობების მნიშვნელოვანი პოპულაციებს, რომლებიც ცნობილია მხოლოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე.

ეს მოიცავს შავი ზღვის გველგესლას (*Vipera pontica*), რომელიც შემოიფარგლება თურქეთის პონტოს შავი ზღვის რეგიონით, მაგრამ ასევე გვხვდება საქართველოში.

KBA შეფასდა 2004 წელს და გამოჩნდა საჯარო KBA პორტალებზე, პროექტის დაფინანსებისა და შეთანხმება მოხდა მოგვიანებით.

2.1.1.4 შავშეთის ქედი ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორია (IBA) და ბიომრავალფეროვნების საკვანძო ტერიტორია (KBA)

შავშეთის ქედის IBA ემთხვევა ჩირუხისწყლის დამბისა და ჩირუხი-სხალთის-გვირაბის ტერიტორიას. IBA -ს სახეობებიდან აქ ბინადრობენ კავკასიური როჭო- (20 მოზუდარი წყვილის იდენტიფიცირება მოხდა 2000-2002) და კასპიური შურთხი. IBA-ს 2,878.26 ჰექტარი ემთხვევა BAP-ის საკვლევ ტერიტორიას (Birdlife International 2019c).

აღნიშნული ტერიტორიის IBA- ად იდენტიფიცირება მოხდა 2004 წელს. იმ პერიოდისთვის მისი საზღვრები ემთხვეოდა BAP-ის საკვლევ ტერიტორიას, მაგრამ არ ემთხვეოდა პროექტის პირდაპირი ზემოქმედების არეალს, როგორც აღნიშნულია მშენებლობის ფაზის BAP-ში (ref to CBAP]. მაგრამ პროექტის დაფინანსების შემდეგ IBA-ს საზღვრები გაფართოვდა, გადაიწია აღმოსავლეთით და ამჟამად ემთხვევა ჩირუხის დამბისა და ჩირუხი-სხალთის გვირაბის არეალს¹⁹.

¹⁸ <http://www.keybiodiversityareas.org/site/factsheet/18572>

¹⁹ <http://www.keybiodiversityareas.org/site/factsheet/18573>

2.1.1.5 გოდერძის უღელტეხილის KBA

სრული ფართობი არის 30,632 ჰექტარი. დიდაჭარის და ხალთის კაშხლები, ჩირუხი-სხალთისა და სხალთა-დიდაჭარის გვირაბები მდებარეობს აღნიშნულ ბიომრავალფეროვნების საკვანძო ტერიტორიაში. ბიომრავალფეროვნებისთვის საკვანძო ტერიტორიად იდენტიფიცირებულ იქნა შემდეგი გარემოების გამო:

- გლობალურად საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების მნიშვნელოვანი პოპულაციები.
- ენდემური სახეობების მნიშვნელოვანი პოპულაციები, რომლებიც გვხვდება მხოლოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე. ერთ-ერთი სახეობაა კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*)

ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებისთვის საკვანძო ტერიტორიად იდენტიფიცირება და საჯარო დომინენტზე გამოქვეყნება მოხდა 2004 წელს. პროექტის დაფინანსება და შეთანხმება კი მოხდა მოგვიანებით.²⁰

2.2 საქართველოს წითელი ნუსხა

საქართველოს ფლორა ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია ზომიერი კლიმატის მქონე ქვეყნებს შორის და აქვს 4130 სისხლმარღვოვანი მცენარის სახეობა, მათ შორის დაახლოებით 900 სახეობა (დაახლოებით 21%), რომლებიც ან კავკასიური ან ქართული ენდემებია. გარდა ამისა, საქართველოსა და კავკასიაში 17 ენდემური გვარია. საქართველოს ფლორის 2000-მდე სახეობას აქვს პირდაპირი ეკონომიკური ღირებულება; გამოიყენება როგორც ხე, შეშა, საკვები (ხილი, თხილი), საკვები და ცხოველური საკვები ან გამოიყენება მედიცინაში, ფერწერაში და აქროლადი ზეთის მოპოვებაში. საქართველოში გავრცელებულია შინაური კულტურების მრავალი ადგილობრივი ვარიანტი, აგრეთვე მათი ველური ნათესავები (განსაკუთრებით ხორბალი და პარკოსნები).

ქვეყნის ფაუნის მხრივ აღწერილია 16054 სახეობა, რომელთაგან 758 არიან ქორდიანები. კავკასიის ენდემებს შორის არის 19 ძუძუმწოვარი, სამი ფრინველი, 15 ქვეწარმავალი და სამი ამფიბია, ხოლო ქართული ენდემები წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სახეობით; აჭარული ხვლიკი (*Darevskia mixta*).

2003 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ, რომელშიც მოცემულია საქართველოს გადაშენების პირას მყოფი სახეობების წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის სამართლებრივი დეფინიციები (შესაბამისი რეკომენდაციები და მეთოდოლოგიური საკითხები). ასევე სამართლებრივად განისაზღვრა წითელი ნუსხის სტრუქტურა, წითელ ნუსხაში სახეობების შეტანის შესაბამისი პროცედურები, მისი გადახედვისა და განახლების პროცედურები. კანონი ასევე არეგულირებს გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვას, აღებას, რეაბილიტაციას და კონსერვაციას დაგეგმარებასა და ფინანსურ საკითხებს.

2.3 კონსერვაციის პრიორიტეტები კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად

2.3.1 IFC-ის შესრულების სტანდარტი 6

IFC-ის შესრულების სტანდარტი (PS6) (IFC, 2012a) და სახელმძღვანელო (Guidance Note 6) (IFC, 2012b) გამოიყენებოდა პროექტში, როგორც კარგი სამუშაო პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტი. IFC-ის PS6 სტანდარტის შესაბამისად, ჰაბიტატები დაყოფილია 3 ჯგუფად: სახეშეცვლილ (მოდულიფიცირებულ), ბუნებრივ და კრიტიკულ ჰაბიტატებად.

²⁰ <http://www.keybiodiversityareas.org/site/factsheet/46685>

მოდულიზირებული ჰაბიტატები არის ისეთი გეოგრაფიული არეალი, რომელზეც გვხდება დიდი რაოდენობით მცენარეული და ცხოველური სახეობები ამ ადგილისთვის არადადამახასიათებელი წარმომავლობით და/ან ადამიანური საქმიანობამ სახე უცვალა პირველად ეკოლოგიურ ფუნქციებსა და სახეობათა შემადგენლობებს. შეცვლილი ჰაბიტატები შეიძლება მოიცავდეს სოფლის მეურნეობისთვის მართულ ტერიტორიებს, ტყის პლანტაციებს, სანაპირო და ჭარბტენიან ზონებს.

ბუნებრივი ჰაბიტატები არის ტერიტორიები, რომლებიც შედგება ძირითადად ადგილობრივი წარმოშობის მცენარეთა და/ან ცხოველთა სახეობების სიცოცხლისუნარიანი გროვისა და/ან სადაც ადამიანის აქტივობამ არსებითად არ შეცვალა ამ ტერიტორიის პირველადი ეკოლოგიური ფუნქციები და სახეობების შემადგენლობა.

კლიენტი მნიშვნელოვნად არ გარდაქმნის ან არ მოახდენს ბუნებრივი ჰაბიტატის დეგრადირებას, თუ ყველა ქვემოთ აქტივობა არ იქნა წარმოჩენილი:

- პროექტის განვითარებისთვის რეგიონში არ არსებობს შეცვლილი ჰაბიტატის სხვა სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივა;
- კონსულტაციამ დაადგინა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების შეხედულებები გარდაქმნისა და დეგრადაციის ხარისხთან დაკავშირებით; და
- ნებისმიერი კონვერტაცია ან დეგრადაცია შესუსტებულია შემარბილებელი იერარქიის მიხედვით.

ბუნებრივი ჰაბიტატის ტერიტორიებზე, შემარბილებელი ღონისძიებები დაიგეგმება ბიომრავალფეროვნებაზე წმინდა ზარალის პრინციპის მისაღწევად, იქ სადაც ეს შესაძლებელია. შესაბამისი ქმედებები მოიცავს:

- ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თავიდან არიდება, იდენტიფიცირებისა და დაცვის მეშვეობით.
- ზომების გატარება რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ჰაბიტატების ფრაგმენტაცია, როგორცაა ბიოლოგიური კორიდორები
- ჰაბიტატების აღდგენა ოპერირების ფაზის დროს და/ან ოპერირების ფაზის დასრულების შემდგომ
- ბიომრავალფეროვნების საკომპენსაციო (ოფსეტი) ღონისძიებების განხორციელება.

კრიტიკული ჰაბიტატები შეიძლება იყოს მოდიფიცირებული ან ბუნებრივი ჰაბიტატები, რომლებიც შეიცავენ მაღალი ღირებულების ბიომრავალფეროვნებას, მათ შორის:

- განსაკუთრებული მნიშვნელობის ჰაბიტატი გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი და/ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისთვის (IUCN „წითელი ნუსხა“);
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ჰაბიტატი ენდემური და/ან შეზღუდული სპექტრის სახეობებისთვის;
- ჰაბიტატი, რომელიც ხელს უწყობს გლობალურად მნიშვნელოვან კონცენტრაციას მიგრირებადი სახეობებისთვის და/ან ჯგუფის წევრი სახეობებისთვის;
- გადაშენების მაღალი საფრთხის წინაშე მყოფი და/ან უნიკალური ეკოსისტემები; და/ან
- ძირითად ეკოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული ტერიტორიები.

კრიტიკული ჰაბიტატის ტერიტორიაზე კლიენტი არ განახორციელებს რაიმე საპროექტო აქტივობას, თუ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი არ არის წარმოდგენილი:

- პროექტის განხორციელებისთვის რეგიონში არ არსებობს სხვა სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივა შეცვლილ ან ბუნებრივ ჰაბიტატზე, რომლებიც არ არის კრიტიკული;
- პროექტს არ მოჰყვება გაზომვადი უარყოფითი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნების იმ ღირებულებებზე, რომლისთვისაც განსაზღვრული იყო კრიტიკული ჰაბიტატი და ეკოლოგიურ პროცესებზე, რომლებიც მხარს უჭერენ ამ ბიომრავალფეროვნების ღირებულებებს;
- პროექტი, გონივრული დროის ვადაში არ იწვევს რაიმე კრიტიკულად საფრთხის ქვეშ მყოფი ან გადაშენების პირას მყოფი სახეობების გლობალური და/ან ეროვნული/რეგიონული პოპულაციის წმინდა შემცირებას
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების ძლიერი, სათანადოდ შემუშავებული და გრძელვადიანი პროგრამა ინტეგრირებულია კლიენტის მიერ შემუშავებულ მართვის პროგრამაში.

ასეთ შემთხვევაში, როდესაც კლიენტს შეუძლია დააკმაყოფილოს ზემოთ განსაზღვრული მოთხოვნები, პროექტის შემარბილებელი სტრატეგია აღწერილი იქნება ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაში და შემუშავებული იქნება ბიომრავალფეროვნების იმ ღირებულებების წმინდა მოგების მისაღწევად, რისთვისაც იყო აღნიშნული კრიტიკული ჰაბიტატი.

იმ შემთხვევებში, როდესაც ბიომრავალფეროვნების კომპენსირება (ოფსეტი) შემოთავაზებულია როგორც შემარბილები ღონისძიებების სტრატეგიის ნაწილად, კლიენტმა შეფასების გზით უნდა აჩვენოს, რომ პროექტის მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე ადეკვატურად შემცირდება, რათა მოახდინოს ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (BAP) საჭიროა ყველა პროექტისთვის, რომელიც მდებარეობს კრიტიკულ ჰაბიტატის ტერიტორიაზე (IFC, 2012a) და რეკომენდირებულია იმ პროექტებისთვის, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ ზემოქმედება ბუნებრივ ჰაბიტატებზე (IFC, 2012b). მშენებლობის ფაზის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია კრიტიკული ჰაბიტატების პოტენციური არსებობა პროექტის საკვლევ ტერიტორიაზე (Mott MacDonald, 2013a).

2.3.2 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)

EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა (ESP, 2014) ავალდებულებს ბანკს „სიფრთხილით მიუდგეს ცოცხალი ბუნებრივი რესურსების დაცვას, კონსერვაციას, მართვასა და მდგრად გამოყენებას და მოსთხოვს შესაბამის პროექტებს, რომ განახორციელონ შესაბამისი დაცვითი ზომები, და სადაც შესაძლებელია, გააძლიერონ ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება. პროექტის დონეზე ამ ვალდებულებების განხორციელების მიზნით, ESP მოიცავს შესრულების მოთხოვნას (PR) 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა. EBRD-ის PR6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა აღიარებს ეკოსისტემების ძირითადი ეკოლოგიური ფუნქციების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მნიშვნელობას.

PR 6 ასევე აღიარებს:

- (i) მკვიდრი მოსახლეობის და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების საარსებო გარემოს, რომელთაც აქვთ წვდომა და გამოიყენებენ ბიომრავალფეროვნებას ან ცოცხალ ბუნებრივ რესურსებს და ეს უკანასკნელი მოქცეულია პროექტის ზემოქმედების ქვეშ;

- (ii) მათ შეიძლება იქონიონ დადებითი როლი ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვაში. EBRD მიიჩნევს, რომ ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ბალანსირება უნდა მოხდეს ბიომრავალფეროვნების და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღირებულებების გამოყენების ოპტიმალური გზით.

EBRD გამოყოფს ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტულ მახასიათებლებს, რომელიც წარმოდგენილია ქვემო მოცემულ ცხრილში 2.1

ცხრილი 0-1 მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება აკმაყოფილებდეს ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლების კრიტერიუმებს

ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლები EBRD PR6 (2014), პარაგრაფი 12-ის მიხედვით	მაგალითები
საფრთხის ქვეშ მყოფი ჰაბიტატები	ჰაბიტატები, რომლებიც განიხილებიან ზემოქმედების ქვეშ ეროვნული, რეგიონალური ან საერთაშორისო შეფასებებით. ეს მოიცავს ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივის (დანართი I) მიერ იდენტიფიცირებულ ბუნებრივ და პრიორიტეტულ ჰაბიტატებს.
მოწყვლადი სახეობები	ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის მიერ (IUCN) ან ნებისმიერი სხვა ეროვნული/რეგიონული ნუსხაში (როგორცაა ეროვნული წითელი ნუსხა) ჩამოთვლილი სახეობები, როგორც მოწყვლადი (VU) ან ექვივალენტი. მათ შორისაა საზოგადოების ინტერესის მქონე ცხოველთა და მცენარეთა სახეობები, რომლებიც იდენტიფიცირებულია ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივის მიხედვით (დანართი II).
ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი მახასიათებლები, რომლებიც გამოვლენილია დაინტერესებული მხარეების ან მთავრობის ფართო ჯგუფის მიერ	ბიომრავალფეროვნების საკვანძო ტერიტორიები და ფრინველებისა და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ტერიტორიები; ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანი სახეობები ან ადგილები; ბევრი ტერიტორია აკმაყოფილებს სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ბუნებრივ ჰაბიტატის განმარტებებს.
ეკოლოგიური სტრუქტურა და ფუნქციები, რომლებიც საჭიროა ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად	სადაც აუცილებელია ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლისთვის, ზღვისპირა ზონები და მდინარეები, დისპერსიული ან მიგრაციული დერეფნები, ჰიდროლოგიური რეჟიმები, სეზონური თავშესაფრები ან კვების წყაროები, ძირითადი ან ჰაბიტატის შემქმნელი სახეობები.

წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა (ESP, 2014)

კრიტიკული ჰაბიტატის კრიტერიუმი (EBRD, 2016)

ტერიტორიებს, რომლებიც იდენტიფიცირებულნი არიან როგორც კრიტიკული ჰაბიტატები აქვთ შეუცვლელი (სულ რამოდენიმე ადგილას არსებობს) და მოწყვლადი (დაკარგვის მაღალი რისკის ქვეშ) ბიომრავალფეროვნების მახასიათებლის ყველაზე მაღალი დონეს. EBRD-ის PR6-ის მიერ გამოყენებული კრიტერიუმები კრიტიკული ჰაბიტატის განსაზღვრისათვის ეფუძნება და მჭიდროდ შეესაბამება კრიტერიუმებს, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის შესრულების სტანდარტი 6-ით (IFC PS6). PR6 ასევე ღიად მოიცავს ეკოლოგიურ ფუნქციებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კრიტიკული ჰაბიტატის მახასიათებლების სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. ასეთი ფუნქციების იდენტიფიცირება განსხვავდება მახასიათებლებსა და ლოკაციებს შორის, ამიტომ რეკომენდებულია სანდო, გარე ექსპერტების ჩართვა შესაბამისი ეკოლოგიური გამოცდილებით. (იხილეთ ცხრილი 2.2)

ცხრილი 0-2 მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება აკმაყოფილებდეს კრიტიკული ჰაბიტატის კრიტერიუმებს და პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლების კრიტერიუმებთან ურთიერთობას

კრიტიკული ჰაბიტატი EBRD PR6 (2014), პარაგრაფი 14-ის მიხედვით	განმარტება / მაგალითები	კრიტიკული ჰაბიტატი EBRD PR6 (2014), პარაგრაფი 12-ის მიხედვით
(i) მაღალი საფრთხის ქვეშ მყოფი ან უნიკალური ეკოსისტემები	<p>ეკოსისტემები, რომლებსაც აქვთ ფართობის ან ხარისხის მნიშვნელოვანი შემცირების რისკი; აქვს მცირე სივრცითი გავრცელება; და/ან შეიცავს ბიომით შეზღუდული სახეობების კონცენტრაციებს. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> ■ IUCN ეკოსისტემების წითელ ნუსხაში ჩამოთვლილი ეკოსისტემები, რომლებიც ესადაგებიან კრიტერიუმს როგორცაა გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ან კრიტიკულად საფრთხის ქვეშ მყოფი ■ ტერიტორიები, რომლებიც აღიარებულნი არიან როგორც პრიორიტეტული ისეთ ოფიციალური რეგიონალური და ეროვნული გეგმებით, როგორცაა ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმა ■ სამთავრობო უწყებები, აღიარებული აკადემიური ინსტიტუტების და/ან სხვა შესაბამისი კვალიფიცირებული ორგანიზაციების (მათ შორის საერთაშორისოდ აღიარებული არასამთავრობო ორგანიზაციები) მიერ დაგეგმილი სისტემატური კონსერვაციის ფარგლებში დადგენილი მაღალი პრიორიტეტის/მნიშვნელობის მქონე ტერიტორიები 	(i) საფრთხის ქვეშ მყოფი ჰაბიტატები
(ii) გადაშენების პირას მყოფი ან გადაშენების უკიდურესი საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების ჰაბიტატები	<p>გადაშენების მაღალი რისკის მქონე სახეობების ტერიტორიები (გადაშენების უკიდურესი საფრთხის ქვეშ მყოფი ან გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი) IUCN-ის საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების წითელ ნუსხაში (ან ექვივალენტი ეროვნულ/რეგიონულ სისტემებში). მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> ■ „ნულოვანი გადაშენების ალიანსის“ უბნები; 	(ii) მოწყვლადი სახეობები

	<ul style="list-style-type: none"> ■ საზოგადოების ინტერესის მქონე ცხოველთა და მცენარეთა სახეობებს მკაცრი დაცვა სჭირდებათ, როგორც ეს ჩამოთვლილია ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივაში (დანართი IV). 	
<p>(iii) ენდემური ან გეოგრაფიულად მცირე გავრცელების შეზღუდული სახეობების ჰაბიტატები</p>	<p>ტერიტორიები, რომლებსაც აქვთ სახეობების გლობალური დიაპაზონის ან პოპულაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც კვალიფიცირდება როგორც შეზღუდული დიაპაზონი Birdlife-ის ან IUCN-ის კრიტერიუმებით. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> ■ „ნულოვანი გადაშენების ალიანსის“ უბნები ■ გლობალური დონის ბიომრავალფეროვნების საკვანძო ტერიტორიები, ფრინველების და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ტერიტორიები, რომლებიც განსაზღვრულია შეზღუდული არეალის სახეობებისთვის. 	<p>(iii) ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი მახასიათებლები (როგორცაა ბიომრავალფეროვნების საკვანძო ტერიტორიები ან ფრინველების მნიშვნელოვანი ტერიტორიები), რომლებიც იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარეების ან მთავრობის ფართო ჯგუფის მიერ.</p>
<p>(iv) მიგრირებადი, ან ჯოგური/ ხროვული/ გუნდური სახეობებისთვის გლობალური მნიშვნელობის მქონე (თავშეყრის) ჰაბიტატები.</p>	<p>ტერიტორიები, სადაც თავს იყრის სახეობის პოპულაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, როცა ეს სახეობა ციკლურად და პროგნოზირებადი სახით გადაადგილდება ერთი გეოგრაფიული ტერიტორიიდან მეორეში (მათ შორის ერთი ეკოსისტემის ფარგლებში), ან ტერიტორიები, სადაც თავს იყრის სახეობის პოპულაციის დიდი ჯგუფები, რაც ხდება ციკლურად, სხვა რეგულარობით და/ან პროგნოზირებადი სახით. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> ■ ბიომრავალფეროვნების გლობალურად საკვანძო ტერიტორიები, ასევე ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები, რომლებიც დგინდება გუნდური/ ჯოგური/ ხროვული სახეობებისათვის. ■ საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიები, რომლებიც დაცულია რამსარის კონვენციის მე-5 ან მე-6 კრიტერიუმის საფუძველზე 	
<p>(v) საკვანძო ევოლუციურ პროცესებთან დაკავშირებული ტერიტორიები.</p>	<p>ტერიტორიები, სადაც ლანდშაფტის გარკვეული კომპონენტები შეიძლება დაკავშირებული იყოს განსაკუთრებულად გამორჩეულ ევოლუციურ პროცესებთან ან სახეობის პოპულაციებთან და, გამორჩეული ევოლუციური ისტორიის გამო, შესაძლოა განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებდეს. ასეთია, მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> ■ იზოლირებული ტბები, ან მთის წვერები. ■ პროგრამის 'Edge of Existence' (გაქრობის პირას მყოფი) მიერ პრიორიტეტულად აღიარებული სახეობების პოპულაციები. 	

<p>(vi) ეკოლოგიური ფუნქციები, რომლებიც არსებითაა ბიომრავალფეროვნების ისეთი კომპონენტების სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, რომლებიც კრიტიკული ჰაბიტატის კომპონენტებად მოიაზრება.</p>	<p>ეკოლოგიური ფუნქციები, რომელთა გარეშეც ბიომრავალფეროვნების კრიტიკული კომპონენტები ვერ გადარჩება. ასეთია, მაგალითად: მდინარის ჭალა და თავად მდინარე, გავრცელების ან სამიგრაციო დერეფნები, ჰიდროლოგიური რეჟიმი, სეზონური თავშესაფრები ან საკვების წყაროები, საკვანძო ან ჰაბიტატის შემქმნელი სახეობები, თუ ასეთი რამ არსებითაა ბიომრავალფეროვნების კრიტიკული კომპონენტებისათვის.</p>	<p>(iv) ეკოლოგიური სტრუქტურა და ფუნქციები, რომლებიც აუცილებელია ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიატებლებისთვის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად.</p>
--	---	--

წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა (ESP, 2014)

2.4 მცენარეთა დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და ენდემური სახეობები საკვლევ ტერიტორიაზე

რეგიონი, მათ შორის BAP საკვლევ ტერიტორია, კარგად არის ცნობილი, როგორც მნიშვნელოვანი ბოტანიკური ინტერესის მქონე მაღალი ფლორისტული და შინაური ჯიშების გენეტიკური მრავალფეროვნების თავშესაფარი (რეფუგიუმი). BAP საკვლევ ზონაში გზვდება სამი სახეობა, რომელიც საქართველოს წითელი ნუსხით გადაშენების საფრთხის წინაშე არსებული სახეობებია.

Greek Strawberry (*Arbutus andrachne*) (გადაშენების წინაშე მყოფი საქართველოში) აჭარაში ცნობილია, მხოლოდ ერთ ლოკაციაზე, შუახევიდან 5კმ-ს დასავლეთით.

Milk-vetch *სომიეს გლერძი* (*Astragalus sommieri*), რომელიც საქართველოსა და აჭარაში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობად ითვლება, დაფიქსერებულია ზამლეთთან ახლოს.

უხრავი (*Ostrya carpinifolia*) (გადაშენების პირას მყოფი „საქართველოს წითელი ნუსხა“) დაფიქსირდა სოფელ ზამლეთთან და ნენიასთან, მდინარე დიდიწყალის და სხალთისწყლის შესართავთან, ფურტიოს ხიდთან ახლოს, ასევე მდინარე აჭარისწყლის და სხალთისწყლის შესართავთან, დიდაჭარასთან, სანალიასა და სხალთის უფნებთან. ეს სახეობა იშვიათია საქართველოში და აჭარაში წარმოდგენილია ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში.

ორი ენდემური სახეობა Dwarf Comphrey (*Symphytum grandiflorum*) და Caucasian Chamomille (*Tripleurospermum szovitsii*) წარმოდგენილია საკვლევ ტერიტორიაზე.

სუმახი (*Rhus coriaria*) IUCN წითელ ნუსხაში შეტანილია, როგორც მოწყვლადი სახეობა (v 2017.1.3) შედარებით გავრცელებულია BAP-ის საკვლევ ტერიტორიაზე და ცნობილია ფართო არეალში. საქართველოში ეს სახეობა დარგული და ინვაზიურია, მშობლიურია ტაჯიკეთის და უზბეკეთისთვის.

Swida koenigii აღნიშნულია როგორც „მოწყვლადი“ კავკასიის ენდემურ მცენარეთა სიაში და სავარაუდოდ არის კოლხური ენდემი, მაგრამ არ არის აღნუსხული საქართველოსა და აჭარის წითელ ნუსხაში.

BAP-ის საკვლევ ტერიტორიაზე აღრიცხულია 23 ენდემური სახეობა, მათ შორის კოლხური, კავკასიური. ქართული და აჭარა-ლაზური ენდემები, როგორც ნაჩვენებია ცხრილში 2.3

ცხრილი 0-3 დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და ენდემური სახეობები საკვლევ ტერიტორიაზე

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელწოდება	ენდემური	საქართველოს წითელი ნუსხის წიგნი	კავკასიის ენდემურ მცენარეთა ნუსხა	IUCN წითელი ნუსხა (v 2017.1)
<i>Juglans regia</i>	კაკალი	-	VU	-	NT
<i>Ostrya carpinifolia</i>	რცხილა	-	EN	-	-
<i>Ulmus glabra</i>	თელა	-	VU	-	-
<i>Taxus baccata</i>	ურთხელი	-	VU	-	LC
<i>Arbutus andrachne</i>	ხემარწყვა	-	EN	-	-
<i>Astragalus sommieri</i>	აჭარა-ლაზეთის		EN	-	-
<i>Cornus sanguinea ssp. australis (Swida koenigii)</i>	Dog Wood	კოლხური ენდემი	-	VU	-
<i>Ranunculus ampelophyllus</i>		კოლხური ენდემი	-	-	-
<i>Cirsium imereticum</i>	Imeretian Thistle	კოლხური ენდემი	-	LC	-
<i>Symphytum</i>	Dwarf	ქართული ენდემი	-	-	-
<i>Tripleurospermum</i>	Caucasian	ქართული ენდემი	-	-	-
<i>Hedera colchica</i>	სურო	კოლხური ენდემი	-	-	-
<i>Digitalis ischkinii (D.</i>	წითელი ფუტკარა	კავკასიური	-	-	-
<i>Helleborus</i>	Helleborine	კავკასიური	-	-	-
<i>Tilia rubra ssp. isica)</i>	კავკასიური ცაცხვი	კავკასიური	-	-	-
<i>Campanula</i>	Caucasian	-		-	-
<i>Lotus</i>	Caucasian	-		-	-
<i>Quercus petraea is (Q.</i>	ჭოროხის მუხა	აჭარა-ლაზეთის ენდემი	-	-	-
<i>Origanum (Amaracus) rotundifolium)</i>	თავშავა	აჭარა-ლაზეთის ენდემი	-	-	-

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელწოდება	ენდემური	საქართველოს წითელი ნუსხის წიგნი	კავკასიის ენდემურ მცენარეთა ნუსხა	IUCN წითელი ნუსხა (v 2017.1)
<i>Linaria adzharica</i>		აჭარა-ლაზეთის ენდემი	-	-	-
<i>Ficus carica (F. colchica)</i>	ჩვეულებრივი ლეღვი	კოლხური ენდემი	-	-	LC
<i>Rhamnus imeretina</i>		კოლხური ენდემი	-	-	-
<i>Rubus caucasicus</i>		კავკასიური ენდემი	-	-	-
<i>Euphorbia pontica</i>		კოლხური ენდემი	-	-	-
<i>Asplenium woronowii</i>		კოლხური ენდემი	-	-	-
<i>Hypericum adzharicum</i>		აჭარა-ლაზეთის ენდემი	-	-	-
<i>Cyclamen adzharicum (C. coum ssp. caucasicum, C. vernum)</i>	ყოჩივარდა	აჭარა-ლაზეთის ენდემი	-	-	-
<i>Anthemis woronowii</i>		კოლხური ენდემი	-	-	-

წყარო: მშენებლობის ფაზის BAP

2.5 დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და ენდემური სახეობები საკვლევ ტერიტორიაზე

შავის ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო და კერძოდ, ბათუმის ტერიტორია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას შემოდგომაზე ევრაზია-აფრიკის მიგრაციული სისტემის მტაცებელი ფრინველებისთვის (Verhelst et al., 2011). მიგრაციული ბარიერი ვიწრო ბათუმის მახლობლად, რადგან მიგრანტები შავ ზღვასა და მცირე კავკასიონის მთებს შორის ე.წ. “მაბრის”გავლით გადაადგილდებიან. ბათუმის სამხრეთით, შემოდგომის მიგრანტები გზას შავი ზღვის სანაპიროზე აგრძელებენ ან ჭოროხის ხეობას მიჰყვებიან. თუმცა, BAP-ის საკვლევ ტერიტორია მდებარეობს მთიან რაიონში, რომელიც ბათუმის „მაბრისგან“ 30 კმ-ზე მეტია დაშორებული.

საკვლევ ზონაში აღწერილია ფრინველის 135 სახეობა. ამათგან, დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და მნიშვნელოვანი სახეობებია:

- კავკასიური ერთი ენდემური სახეობა One Caucasus endemic species, *Tetrao mlokosiewiczzi* (Caucasian Grouse), რომელიც აღწერილია კინტიშის IBA და შავშეთის ქედის IBA;
- 44 სახეობა აღწერილია ორ საერთაშორისო კონვენციაში (18 სახეობა - ველური ცხოველების გადამფრენი სახეობების კონსერვაციის კონვენციაში და 16 სახეობა აფრიკა-ევრაზიის გადამფრენი წყლის ფრინველების კონსერვაციულ შეთანხმებაში (ასევე ცნობილია, როგორც აფრიკა-ევრაზიის გადამფრენი წყლის ფრინველების შეთანხმება);

- ორი სახეობა არის საფრთხის წინაშე მყოფი: ბეგობის არწივი (*Aquila heliaca*) – მოწყვლადი და ფასკუნჯი - გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი;
- ცხრა სახეობა საფრთხის წინაშე მყოფი ეროვნულ დონეზე და კლასიფიცირებულია, როგორც დაუცველი კრიტიკულად საფრთხის წინაშე მყოფი საქართველოს წითელ ნუსხაში, მაგ. ველის კირკიტა - კრიტიკულად საფრთხის ქვეშ მყოფი, ოქროს არწივი - მოწყვლადი და მეყორღნე ყაყაჩა - მოწყვლადი.

საფრთხის წინაშე არსებული და დაცული სახეობები ჩამოთვლილია ცხრილი 0-3

ცხრილი 0--4 საფრთხის წინაშე არსებული და ფრინველთა დაცული სახეობები, აღწერილი BAP-ის საკვლევ ტერიტორიაზე

IOU სამეცნიერო სახელწოდება	IOU ინგლისური დასახელება	ქართული წითელი ნუსხა	IUCN წითელი ნუსხა (V 2017.1)	CM S	AEWA	დანართი 1 ფრინველთა დირექტივა	წარმოდგენილია BAP-ის საკვლევ ტერიტორიაზე	შემოთავაზებული გადამცემი ხაზის დერეფანი
<i>Aegolius funereus</i>	ბუკიოტი	VU	LC	X	-	X	X	-
<i>Aquila chrysaetos</i>	ოქროს არწივი	VU	LC	X	-	X	X	X
<i>Aquila heliaca</i>	ბეგობის არწივი	VU	VU	X	-	X	-	X
<i>Buteo rufinus</i>	მეყორღნე კაკაჩა	VU	LC	X	-	X	X	X
<i>Ciconia nigra</i>	ყარყატი	VU	LC	X	X	X	-	X
<i>Falco naumanni</i>	ველის კირკიტა	CR	LC	X	-	X	-	X
<i>Gyps fulvus</i>	ორბი	VU	LC	X	-	X	-	X
<i>Tetrao mlokosiewiczi</i>	კავკასიური როჭო	VU	NT	-	-	-	X	X
<i>Neophron percnopterus</i>	ფასკუნჯი	VU	EN	X	-	X	X	X

წყარო: მშენებლობის ფაზის BAP

2.6 დაცული, საფრთხის წინაშე მყოფი და ჰერპეტოფაუნის ენდემური სახეობები საკვლევ ტერიტორიაზე

საკვლევ ტერიტორიაზე მოხდა ქვეწარმავლების 15 სახეობის აღწერა. ამათგან, ოთხი სახეობა საფრთხის წინაშე ახლოს მყოფია ან მოწყვლადია.

Derjugin's Lizard (*Darevskia derjugini*) და ცხვირქოსანი გველგესლა (*Vipera transcaucasiana*) IUCN-ის წითელი ნუსხის მიხედვით აღწერილია, როგორც საფრთხესთან ახლოს მყოფი.

კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*) IUCN-ის და საქართველოს წითელი ნუსხის მიხედვით ნახსენებია, როგორც მოწყვლადი. კავკასიური გომბეშო (*Bufo verrucosissimus*) IUCN-ის წითელი ნუსხის მიხედვით ნახსენებია, როგორც საფრთხესთან ახლოს მყოფი.

საფრთხესთან ახლოს მყოფი და დაცული სახეობები მოცემულია ცხრილი 0--5

ცხრილი 0--5 დაცული, საფრთხის წინაშე მყოფი და ჰერპეტოფაუნის ენდემური სახეობები BAP-ის საკვლევ ტერიტორიაზე

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელწოდება	საქართველოს წითელი წუსხა	IUCN-ის წითელი წუსხა (v 2017.1)	კავკასიური ენდემური სახეობა	ჰაბიტატების დირექტივა (დანართი II და/ან IV)
<i>Lacerta agilis</i>	მარდი ხვლიკი	-	LC	-	IV
<i>Darevskia derjugini</i>	ართვინის ხვლიკი	-	NT	-	-
<i>Darevskia parvula</i>	წითელმუცელა ხვლიკი	-	LC	X	-
<i>Vipera transcaucasiana</i>	ცხვირქოსანი გველგესლა	-	NT	-	-
<i>Anguis colchica</i>	ბოხმეჭა	-	-	X	-
<i>Coronella austriaca</i>	სპილენძა	-	NE	-	IV
<i>Natrix megalcephala</i>	Colchic water snake	-	VU	X	-
<i>Natrix tessellata</i>	წყლის ანკარა	-	LC	-	IV
<i>Mertensiella caucasica</i>	კავკასიური სალამანდრა	VU	VU	-	-
<i>Bufo verrucosissimus</i>	კავკასიური გომბეშოს	-	NT	X	-

წყარო: მშენებლობის ფაზის BAP

2.7 ბუბუმწოვრების დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და ენდემური სახეობები საკვლევ ტერიტორიაზე

მნიშვნელოვანი სახეობები, რომლებიც დაცულნი არიან საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით და კონვენციებით BAP-ის საკვლევ ტერიტორიაზე:

ფოცხვერი (*Lynx lynx*)- გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე არსებული საქართველოში და დანართი II და IV (ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა);

მურა დათვი (*Ursus arctos*) - გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი საქართველოში და დანართი II და IV-ის მიხედვით (ევროკავშირის ჰაბიტატის დირექტივა);

რუხი მგელი (*Canis lupus*)– დანართი II და IV (ევროკავშირის ჰაბიტატის დირექტივა);

ტყის კატა (*Felis silvestris*)– დანართი IV (ევროკავშირის ჰაბიტატის დირექტივა);

ჩრდილოეთის არჩვი (*Rupicapra rupicapra*)– გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი;

კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*) - მოწყვლადი საქართველოში, დანართი IV (ევროკავშირის ჰაბიტატის დირექტივა);

პრომეთეს მემინდვრია (*Prometheomys schaposchnikowi*)– მოწყვლადი საქართველოში;

ზაზუნა (*Cricetulus migratorius*)– მოწყვლადი საქართველოში.

ძუძუმწოვარი სახეობები BAP-ის საკვლევ ტერიტორიიდან, რომლებიც დაცულია საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით და კონვენციებით მოცემულია **ცხრილი 0--6**.

ცხრილი 0--ნძუძუმწოვრების დაცული, საფრთხესთან მყოფი და კავკასიური ენდემური და/ან ჰაბიტატის დირექტავაში აღწერილი სახეობები რომლებიც ცნობილია ან შესაძლოა გამოჩნდეს საკვლევ ტერიტორიაზე

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელწოდება	საქართველოს წითელი ნუსხის სტატუსი	IUCN-ის წითელი ნუსხა (V 2017.1)	კავკასიური ენდემური სახეობები	ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა (დანართი II და/ან IV)
ხელფრთიანები					
<i>Eptesicus serotinus</i>	ჩვეულებრივი მეგვიანე	-	-	-	IV
<i>Hypsugo (Pipistrellus) savii</i>	Savi's Pipistrelle	-	-	-	IV
<i>Myotis blythii</i>	ყურწვეტა მლამიობი	-	LC	-	II, IV
<i>Myotis emarginatus</i>	სამფერი მლამიობი	-	-	-	II, IV
<i>Myotis mystacinus</i>	ულვაშა მლამიობი	-	-	-	IV
<i>Myotis nattereri</i>	ტყის მლამიობი	-	-	-	IV
<i>Nyctalus leisleri</i>	მელამურა	-	-	-	IV
<i>Nyctalus noctula</i>	წითური მელამურა	-	-	-	IV
<i>Pipistrellus nathusii</i>	ნათუზისეური ღამურა	-	-	-	IV
<i>Pipistrellus pipistrellus</i>	ჩია ღამორი	-	-	-	IV
<i>Pipistrellus pygmaeus</i>	ჯუჯა ღამორი	-	-	-	IV
<i>Plecotus auritus</i>	რუხი ყურა	-	-	-	IV
<i>Rhinolophus hipposideros</i>	მცირე ცხვირნალა	-	-	-	II, IV
სხვა ძუძუმწოვრები					
<i>Apodemus (Sylvaemus) ponticus</i>	კავკასიური მემინდვრია	-	-	X	-
<i>Chionomys gud</i>	Caucasian Snow Vole	-	-	X	-
<i>Chionomys roberti</i>	Robert's Snow Vole	-	-	X	-
<i>Cricetulus migratorius</i>	ზაზუნა	VU	-	-	-
<i>Canis lupus</i>	რუხი მგელი	-	LC	-	II, IV
<i>Felis silvestris</i>	ტყის კატა	-	LC	-	IV
<i>Lynx lynx</i>	ფოცხვერი	CR	LC	-	II, IV

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელწოდება	საქართველოს წითელი წუსხის სტატუსი	IUCN-ის წითელი წუსხა (V 2017.1)	კავკასიური ენდემური სახეობები	ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა (დანართი II და/ან IV)
<i>Microtus (Terricola) daghestanicus</i>	Daghestan Pine Vole	-	-	X	-
<i>Prometheomys schaposchnikowi</i>	პრომეთეს მემინდვრია	VU	NT	X	-
<i>Rupicapra rupicapra</i>	არჩვი	EN	-	-	-
<i>Sciurus anomalus</i>	კავკასიური ციყვი	VU	LC	-	IV
<i>Sorex raddei</i>	რადეს ზიგა	-	-	X	-
<i>Sorex satunini</i>	კავკასიური ზიგა	-	-	X	-
<i>Sylvaemus fulvipectus</i>	კავკასიური ტყის თაგვი	-	-	X	-
<i>Sylvaemus uralensis</i>	მცირე ტყის თაგვი	-	-	X	-
<i>Talpa caucasica</i>	კავკასიური თხუნელა	-	-	X	-

წყარო: მშენებლობის ფაზის BAP

2.8 საკვლევ ტერიტორიაზე თევზის დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და ენდემური სახეობები

2014 წლის თევზის კვლევების დროს დაფიქსირდა ცამეტი სახეობა, მათ შორის საკონსერვაციო მნიშვნელობის შემდეგი სახეობები: მდინარის კალმახი (*Salmo labrax fario*), ტობი (*Chondrostoma colchicum*), კოლხური ხრამული (*Capoeta sieboldii*), (*Cobitis satuniasiani Goby*) და (*Ponticola*) (ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“ 2014a, 2014b). 2015 წლის კვლევების დროს დაფიქსირდა ცხრა სახეობა, მათ შორის საკონსერვაციო მნიშვნელობის შემდეგი სახეობები: მდინარის კალმახი, ტობი და კოლხური ხრამული (ასოციაცია ფლორა და ფაუნა, 2015ა, 2015ბ).

2016 წლის თევზის კვლევების დროს დაფიქსირდა ათი სახეობა, მათ შორის საკონსერვაციო მნიშვნელობის შემდეგი სახეობები: მდინარის კალმახი, ტობი, კავკასიური გობი (ფლორისა და ფაუნის ასოციაცია, 2016ა; 2016ბ).

NEKTON-ის (2018) მიერ 2014 წლიდან 2018 წლამდე ჩატარებული თევზის მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა შემდეგი კოლხური ენდემური სახეობები: კოლხური მინო (*Alburnoides fasciatus*), ანატოლიური ხრამული (*Capoeta tinca*), კოლხური ხრამული (*Capoeta sieboldii*), კოლხური მურწა (*Chocum*) *Luciobarbus escherichii*) (**ცხრილი 0--7**).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემდეგი სახეობები ეროვნული საფრთხის ქვეშ მყოფი სტატუსისა და კოლხური ენდემების გამო ითვლებოდა ეროვნულ მნიშვნელოვნებად.

მდინარის კალმახი (Salmo labrax fario)

ეს არის საქართველოს დაუცველი და IUCN-ის ყველაზე ნაკლებად შემამოფოთებელი სახეობა (2017.1). ეს არის შავი ზღვის ორაგულის მტკნარი წყალში რეზიდენტი ეკოფორმა.

კალმახი გავრცელებულია ძირითადად მდინარე აჭარისწყლის შენაკადებში. შედარებით უფრო ხშირად გვხვდება მდინარე სხალთისწყალში, წლის ცივ პერიოდში ნოემბრიდან აპრილამდე.

წლის თბილ პერიოდში კალმახი კონცენტრირებულია მდინარე აჭარისწყლის შენაკადების შუა და ზემო წელში. ცივ პერიოდში ისინი ფიქსირდება, მდინარის როგორც ზემო წელში, ასევე ქვემო წელში, თუმცა გაცილებით დაბალი სიხშირით.

ქვირითის ადგილები განლაგებულია შენაკადების, ნაკადულებისა და მდინარეების შესართავებში. შენაკადებსა და ნაკადულებში ბუნებრივი ბარიერები (ჩანჩქერები, ჩქარობები, მაღალი დახრილობები და ა.შ.) ზღუდავს ზოგიერთ სახეობას, რომელსაც შეუძლია გადალახოს ბუნებრივი ბარიერები. მაგალითად, მდინარე აკავრეთაში, მერისის ზემოთ სოფელში (მდებარეობს ორთამელეზე) მხოლოდ კალმახი გვხვდება ჩქარობების არსებობის გამო.

ტოფობის ადგილები განლაგებულია შენაკადების, ნაკადულებისა და მდინარეების შესართავების ზედა წელში. შენაკადებსა და ნაკადულებში ბუნებრივი ბარიერები (ჩანჩქერები, ჩქარობები, მაღალი დახრილობები და ა.შ.) ზღუდავს ზოგიერთ სახეობას, რომელსაც შეუძლია გადალახოს ბუნებრივი ბარიერები. მაგალითად, მდინარე აკავრეთაში, მერისის ზემო სოფელში (მდებარეობს ორთამელეზე) მხოლოდ კალმახი გვხვდება ჩქარობების არსებობის გამო.

Colchic Minnow (Alburnoides fasciatus)

ფართოდ გავრცელებული სახეობა ფიქსირდება მდინარე აჭარისწყლის გავლით მთელ სიგრძეზე და მის შენაკადებზე.

ანატოლიური ხრამულა (Capoeta tinca)

საქართველოში აღნიშნული სახეობა ფიქსირდება მხოლოდ მდინარე ჭოროხის აუზში. მდინარე აჭარისწყალში, ეს სახეობა დაფიქსირდა სოფელ დიდაჭარასთან ახლოს, თუმცა ზედა ბიეფში არ აღმოჩენილა. ასევე, დაფიქსირდა შენაკადებში, ძირითადად მდ. აკავრეთას, ჭვანისწყლის, ჩირუხისწყლის, სხალთისა და ღორჯომისწყლის ქვედა ბიეფში, სოფელ ნენიასთან, ეს სახეობა დაფიქსირდა კოლხურ ხრამულთან ერთად. მათი ტოფობის პერიოდი და ადგილმდებარეობა მსგავსია და ჰიბრიდული ფორმები არსებობს. ჰიბრიდული ფორმები ფიქსირდება ძირითადად დაბა ქედის ქვემოთ.

კოლხური ხრამული (Capoeta sieboldii)

ეს არის კოლხური ხრამული და IUCN-ის წითელი ნუსხის (v 2017.1) მიხედვით საჭიროებს ზრუნვას. შავი ზღვის აღმოსავლეთის აღმოსავლეთ სანაპიროს მდინარეებისთვის ენდემური სახეობაა. სახეობა გავრცელებულია მდინარე აჭარისწყალში, სოფელ ნენიასთან ახლოს და არ შეინიშნება ნენიას ზემოთ. სახეობა ძირითადად დაფიქსირდა მახუნცეთის ქვემოთ. სახეობა ასევე დაფიქსირდა მდინარეებში აკავრეთაში, ჩირუხისწყალსა და ჭვანისწყალში.

ტობი (Chondrostoma colchicum)

აღნიშნული სახეობა არის კოლხური ენდემი და IUCN-ის წითელი ნუსხის (v 2017.1) მიხედვით საჭიროებს ზრუნვას. სახეობა ფართოდ იყო გავრცელებული და დაფიქსირებული როგორც მდინარე აჭარისწყალში, ასევე მის შენაკადებში. შენაკადებში სახეობა ჩვეულებრივ ფიქსირდებოდა შუა და ქვედა დინებებში. მდინარის ზემო წელში სახეობა დაფიქსირდა ტოფობის პერიოდში.

კოლხური მურწა (Luciobarbus escherichii)

აღნიშნული სახეობა დაფიქსირდა მდინარე აჭარისწყალში, ჩირუხისწყალსა და სხალთისწყალში.

ცხრილი 0--7 თევზის დაცული, საფრთხის წინაშე არსებული და ენდემური სახეობები საკვლევ ტერიტორიაზე

ლათინური სახელი	საერთო სახელი	IUCN-ის წითელი ნუსხა (v2017.1)	საქართველოს წითელი ნუსხა	Range	ევროკავშირის ჰაბიტატის დირექტივა, დანართი IV
<i>Salmo labrax fario</i>	მდინარის კალმახი	საჭიროებს ზრუნვას	მოწყვლადი	პონტური ენდემი	-
<i>Alburnoides fasciatus</i>	Colchic Minnow	საჭიროებს ზრუნვას	-	კოლხური ენდემი	
<i>Capoeta tinca</i>	ანატოლიური ხრამული	საჭიროებს ზრუნვას	-	კოლხური ენდემი	
<i>Capoeta sieboldii</i>	კოლხური ხრამული	საჭიროებს ზრუნვას	-	კოლხური ენდემი	-
<i>Chondrostoma colchicum</i>	ტობი	საჭიროებს ზრუნვას	-	კოლხური ენდემი	-
<i>Luciobarbus escherichii</i>	Colchic Barbel	საჭიროებს ზრუნვას	-	კოლხური ენდემი	

2.9 კრიტიკული ჰაბიტატის შეფასება

2.9.1 გლობალურ და/ან ეროვნულ დონეზე გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე და/ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები ევროკავშირის ჰაბიტატის დირექტივის დანართი IV მიხედვით

IFC-ის შესრულების სტანდარტი (PS6) (IFC, 2012a) და სახელმძღვანელო შენიშვნა 6 (IFC, 2012b) გამოყენებული იქნა იმის დასადგენად, მოქმედებს თუ არა პროექტი კრიტიკულ ჰაბიტატზე, როგორც საუკეთესო პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტზე.

ცხრილი 2.8 ასახავს რაოდენობრივ ზღურბლს, რომელიც გამოიყენება შეფასებისთვის, შედის თუ არა პროექტის ადგილმდებარეობა კრიტიკულ ჰაბიტატებში.

ცხრილი 0--8 კრიტიკული ჰაბიტატის შეფასების რაოდენობრივი ზღვარი

კრიტერიუმი	საფეხური 1	საფეხური 2
კრიტერიუმი 1: გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (CR) / საფრთხის წინაშე მყოფი (EN) სახეობა	<p>IUCN-ის წითელ ნუსხაში შეტანილი CR ან EN სახეობის გლობალური პოპულაციის ≥ 10 პროცენტის შესანარჩუნებლად საჭირო ჰაბიტატი, სადაც ცნობილია ეს სახეობები, რეგულარული შემთხვევები ამ სახეობების და სადაც ეს ჰაბიტატი შეიძლება ჩაითვალოს ამ სახეობის დისკრეტული მართვის ერთეულად.</p> <p>ჰაბიტატი CR ან EN სახეობების ცნობილი, რეგულარული შემთხვევებით, სადაც ეს ჰაბიტატი არის ამ სახეობის გლობალურად 10 ან ნაკლები დისკრეტული მართვის ადგილიდან.</p> <p>ჰაბიტატების CR or EN სახეობები, რომლებიც ცნობილია, რეგულარული შემთხვევებით სადაც ეს ჰაბიტატი არის ამ სახეობისთვის დამახასიათებელი გლობალური მართვის ტერიტორიაზე 10-დან 1 ან ნაკლები.</p>	<p>ჰაბიტატი, რომელიც მხარს უჭერს IUCN-ის წითელ ნუსხაში შეტანილი CR სახეობის ერთი ინდივიდის რეგულარულ გაჩენას და/ან ჰაბიტატს, რომელიც შეიცავს IUCN წითელ ნუსხაში შეტანილი EN სახეობების რეგიონალურად მნიშვნელოვან კონცენტრაციებს, სადაც ეს ჰაბიტატი შეიძლება ჩაითვალოს ამ სახეობის დისკრეტულ მართვის ერთეულად.</p> <p>მნიშვნელოვანი მნიშვნელობის ჰაბიტატი CR ან EN სახეობებისთვის, რომლებიც ფართო სპექტრია და/ან რომელთა პოპულაციის გავრცელება კარგად არ არის გასაგები და სადაც ასეთი ჰაბიტატის დაკარგვა შეიძლება გავლენა მოახდინოს სახეობების გრძელვადიან გადარჩენაზე. ჰაბიტატი, რომელიც შეიცავს EN, CR ან ექვივალენტური ეროვნული/რეგიონული ჩამონათვალის ეროვნულ/რეგიონალურად მნიშვნელოვან კონცენტრაციებს.</p>
კრიტერიუმი 2: ენდემური და შეზღუდული დიაპაზონის სახეობები	<p>ჰაბიტატი, რომელიც მოიცავს ენდემური ან შეზღუდული არეალის სახეობების გლობალური პოპულაციის ≥ 95 პროცენტს, სადაც ეს ჰაბიტატი შეიძლება ჩაითვალოს ამ სახეობის დისკრეტულ მართვის ერთეულად.</p>	<p>ჰაბიტატი, რომელიც მოიცავს ენდემური ან შეზღუდული არეალის სახეობების გლობალური პოპულაციის ≥ 1 პროცენტს, მაგრამ < 95 პროცენტი, სადაც ეს ჰაბიტატი შეიძლება ჩაითვალოს ამ სახეობის დისკრეტულ მართვის ერთეულად, სადაც ხელმისაწვდომია ადეკვატური მონაცემები და/ან ექსპერტების შეფასების საფუძველი.</p>
კრიტერიუმი 3: მიგრირებადი და გუნდური/ჯოგური სახეობები	<p>ჰაბიტატი, რომელიც მოიცავს ციკლურ ან სხვაგვარად რეგულარულ საფუძველზე, ინარჩუნებს მიგრირებადი ან გუნდური/ჯოგური სახეობის გლობალური პოპულაციის ≥ 95 პროცენტს სახეობის სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ</p>	<p>ჰაბიტატი, რომელიც მოიცავს ციკლური ან სხვაგვარად რეგულარულ საფუძველზე ≥ 1 პროცენტს, მაგრამ < 95 პროცენტს გლობალური პოპულაციის მიგრირებადი ან ჯოგური სახეობების სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ</p>

კრიტერიუმი	საფეხური 1	საფეხური 2
	<p>ეტაპზე, სადაც ეს ჰაბიტატი შეიძლება ჩაითვალოს ამ სახეობის დისკრეტულ მართვის ერთეულად.</p>	<p>ეტაპზე და სადაც ეს ჰაბიტატი შეიძლება ჩაითვალოს დისკრეტული მართვის ერთეულად. სადაც ხელმისაწვდომია ადეკვატური მონაცემები და/ან ეფუძნება ექსპერტთა შეფასებას.</p> <p>ფრინველებისთვის, ჰაბიტატი, რომელიც აკმაყოფილებს BirdLife International-ის კრიტერიუმს A4 და/ან რამსარის კრიტერიუმებს 5 ან 6 საერთაშორისო მნიშვნელობის ჭაობების იდენტიფიცირებისთვის.</p> <p>ფართო, მაგრამ შეკრული გავრცელების მქონე სახეობებისთვის, დროებითი ზღვარი დადგენილია გლობალური პოპულაციის ≥ 5 პროცენტით, როგორც ხმელეთის, ასევე ზღვის სახეობებისთვის.</p> <p>საკვანძო უბნები, რომლებიც წარმოადგენენ გლობალური პოპულაციის ≥ 1 პროცენტს.</p>
<p>კრიტერიუმი 4: მაღალი საფრთხის წინაშე მყოფი და/ან უნიკალური ეკოსისტემები</p>	<p>არ არის დადგენილი საფეხურიანი სისტემა, რომელსაც ემუქრება ფართობის ან ხარისხის მნიშვნელოვნად შემცირების საფრთხე;</p> <p>მცირე სივრცითი გავრცელებით; და/ან რომელიც შეიცავს სახეობების უნიკალურ თავმოყრას, მათ შორის ბიომით შეზღუდული სახეობების თავმოყრას ან კონცენტრაციებს.</p> <p>მაღალი საფრთხის ქვეშ მყოფი ან უნიკალური ეკოსისტემები განისაზღვრება შემდეგი ფაქტორების კომბინაციით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს გრძელვადიან ტენდენციას, იშვიათობას, ეკოლოგიურ მდგომარეობას და საფრთხეს.</p>	
<p>კრიტერიუმი 5:</p>	<p>კრიტერიუმი განისაზღვრება შემდეგნაირად:</p>	

კრიტერიუმი	საფეხური 1	საფეხური 2
<p>საკვანძო ევოლუციურ პროცესებთან დაკავშირებული ტერიტორიები.</p>	<p>იზოლირებული ტერიტორიები (მაგ. კუნძულები, მთის მწვერვალები, ტბები) ასოცირდება ფილოგენეტიკურად განსხვავებულ პოპულაციებთან.</p> <p>მაღალი ენდემიზმის ზონები ხშირად შეიცავს ფლორას და/ან ფაუნას უნიკალური ევოლუციური ისტორიით (გაითვალისწინეთ, გადაფარვა კრიტერიუმ 2-თან, ენდემურ და შეზღუდული არეალის სახეობებთან).</p> <p>მაღალი სივრცითი ჰეტეროგენურობის მქონე ლანდშაფტები წარმოადგენენ მამოძრავებელ ძალას სახეობებში, რადგან სახეობები ბუნებრივად ირჩევენ ადაპტაციისა და დივერსიფიკაციის უნარს.</p> <p>გარემოს გრადიენტები, ასევე ცნობილი როგორც ეკოტონები, წარმოქმნიან გარდამავალ ჰაბიტატს, რომელიც ასოცირდება სახეობების წარმოქმნის პროცესთან და მაღალ სახეობასთან და გენეტიკურ მრავალფეროვნებასთან.</p> <p>ედაფური ინტერფეისები წარმოადგენენ ნიადაგის ტიპების (მაგ., სერპენტინის ამონაკვეთები, კირქვისა და თაბაშირის საბადოები) სპეციფიკური შეერთებას, რამაც გამოიწვია უნიკალური მცენარეული თემების ჩამოყალიბება, რომლებიც ხასიათდება როგორც იშვიათობით, ასევე ენდემიზმით.</p> <p>ჰაბიტატებს შორის კავშირი (მაგ., ბიოლოგიური დერეფნები) უზრუნველყოფს სახეობების მიგრაციას და გენის ნაკადს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაწევრებულ ჰაბიტატებში და მეტაპოპულაციების შესანარჩუნებლად. ეს ასევე</p>	

კრიტერიუმი	საფეხური 1	საფეხური 2
	<p>მოიცავს ბიოლოგიურ დერეფნებს სიმაღლის და კლიმატური გრადიენტების გასწვრივ და „ქედიდან სანაპირომდე“ (“crest to coast.”)</p> <p>ამ კრიტერიუმში ასევე შედის კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისთვის დემონსტრირებული მნიშვნელობის ადგილები როგორც სახეობებისთვის, ასევე ეკოსისტემებისთვის.</p>	

მშენებლობის ფაზის BAP-ში შეფასებულია ყველა პოტენციური ჰაბიტატი საკვლევ ტერიტორიიდან რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს კრიტიკული ჰაბიტატი ცრილი 2.8-ში მოცემული რაოდენობრივ ზღვართან მიმართებაში. ამ შეფასების შედეგები IFC-ის კრიტერიუმებთან მიმართებაში მოცემულია ცხრილში 2.9

ცხრილი 0-9 პოტენციური კრიტიკული ჰაბიტატის გამომწვევი სახეობები და მათი შეფასება IFC-ის 1 კრიტერიუმისა და ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივის დანართი IV-ის მიხედვით

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელი	IUCN-ს წითელი ნუსხა (v2017.1)	საქართველოს წითელი ნუსხა	ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა, დანართი IV-ს სახეობები	შეფასების დასაბუთება
<i>Ostrya carpinifolia</i>	უხრავი	საჭიროებს ზრუნვას	გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი	არა	<p>უხრავს ფართო გლობალური გავრცელება აქვს და გვხვდება ამიერკავკასიაში (საქართველოს ჩათვლით), სამხრეთ-დასავლეთ აზიაში (თურქეთის ჩათვლით), სამხრეთ-აღმოსავლეთ, სამხრეთ და ცენტრალურ ევროპასა და რუსეთში. საქართველოში უხრავი მწირია და დაფიქსირებულია აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, ქართლსა და მესხეთში. აღნიშნული სახეობა დაფიქსირდა საკვლევ ტერიტორიაზე.</p> <p>კრიტიკული ჰაბიტატის პირველი საფეხურის ბარიერი არ არის გამომწვეული ამ სახეობის მიერ. მიჩნეულია, რომ აჭარისწყლის აუზის DMU-ის ჰაბიტატები არ უჭერს მხარს ამ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი საფრთხის ეროვნულ ან რეგიონულ მნიშვნელოვან კონცენტრაციებს.</p> <p>აქედან გამომდინარე, ეს სახეობა არ მიეკუთვნება კრიტიკული ჰაბიტატის პირველ საფეხურს. მიჩნეულია, რომ აჭარისწყლის აუზის DMU-ში არ არის წარმოდგენილი ეროვნული და გლობალური მნიშვნელობის გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ეს ჰაბიტატები. ამგვარად, ეს სახეობა არ წარმოადგენს დისკრეტული მართვის ერთეულში კრიტიკული ჰაბიტატის მეორე საფეხურის სახეობას.</p>
<i>Arbutus andrachne</i>	ხე-მარწყვა	არ არის შეფასებული	გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი	No	<p>ეს სახეობა ცნობილია მხოლოდ ერთ ადგილის აჭარაში, რომელიც შუახვევიდან დასავლეთით 5 კმ-შია, მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს, სოფელ გორხანაულთან. ჩვეულებრივ გვხვდება მუხის (<i>Q.petraea</i> ssp. <i>dschorochensis</i>) და ფიჭვის (<i>Pinus kochiana</i>) ტყეებში. საქართველოში ეს სახეობა იშვიათია და გვხვდება აფხაზეთსა და აჭარაში.</p> <p>აღნიშნული სახეობა არ მიეკუთვნება კრიტიკული ჰაბიტატის პირველ საფეხურს. მიჩნეულია, რომ აჭარისწყლის აუზის DMU-ში წარმოდგენილია ეროვნული და</p>

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელი	IUCN-ს წითელი ნუსხა (v2017.1)	საქართველოს წითელი ნუსხა	ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა, დანართი IV-ს სახეობები	შეფასების დასაბუთება
					<p>გლობალური მნიშვნელობის გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ეს ჰაბიტატი. ამგვარად, ეს სახეობა წარმოადგენს დისკრეტული მართვის ერთეულში კრიტიკული ჰაბიტატის მეორე საფეხურის სახეობას.</p>
<i>Astragalus sommieri</i>	სომიეს გლერძი	არ არის შეფასებული	გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი	არა	<p>ამ სახეობის მცირე და იზოლირებული რაოდენობა დაფიქსირდა 2012 წელს, კლდეზე, ხულოს მთავარი გზასთან ახლოს, სოფელ ზამლეთთან და მდინარეების აჭარისწყლისა და სხალთის შესართავთან. ეს სახეობა გვხვდება ამიერკავკასიის შუა მთის სარტყელზე მშრალ, ქვიან ფერდობებზე. იშვიათი სახეობაა საქართველოში, სადაც მხოლოდ აჭარაშია დაფიქსირებული. <i>Astragalus sommieri</i> ენდემური სახეობაა აჭარა-ლაზეთის ტერიტორიაზე, გავრცელებულია აჭარაში (საქართველო) და ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში. საქართველოში ამ სახეობას მხოლოდ შუახევის მიდამოებიდან იცნობენ აჭარაში.</p> <p>აღნიშნული სახეობა არ მიეკუთვნება კრიტიკული ჰაბიტატის პირველ საფეხურს. მიჩნეულია, რომ აჭარისწყლის აუზის DMU-ში წარმოდგენილია ეროვნული მნიშვნელობის პოპულაცია („კონცენტრაცია“), რომელიც სავარაუდოდ ერთადერთი პოპულაციაა საქართველოში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ამ სახეობის. ამგვარად, ეს სახეობა წარმოადგენს დისკრეტული მართვის ერთეულში კრიტიკული ჰაბიტატის მეორე საფეხურის სახეობას.</p>
<i>Neophron percnopterus</i>	ფასკუნჯი	გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი	მოწყვლადი	არა	<p>აღნიშნული სახეობა დაფიქსირდა ბუდობის პერიოდში ჩატარებული კვლევების დროს. ცნობილია, რომ ეს სახეობა მრავლდება DMU-ს აღმოსავლეთით. გლობალურად, ეს სახეობა დიდ დიაპაზონს იკავებს, ევროპული პოპულაცია (მიგრირებადი და ბუდობა, მათ შორის კავკასიაში) იკვთება გრძელვადიანი კლება (>50%) ბოლო 42 წლის განმავლობაში.</p>

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელი	IUCN-ს წითელი ნუსხა (v2017.1)	საქართველოს წითელი ნუსხა	ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა, დანართი IV-ს სახეობები	შეფასების დასაბუთება
					<p>აღნიშნული სახეობა არ წარმოადგენს დისკრეტული მართვის ერთეულში კრიტიკული ჰაბიტატის პირველი და მეორე საფეხურს.</p>
<i>Falco naumanni</i>	ველის კირკიტა	საჭიროებს ზრუნვას	გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი	არა	<p>ეს გადამფრენი სახეობა, რომელიც ბუდობს საქართველოში, გლობალურად ნაკლებ ზრუნვას საჭიროებს. გამოქვეყნებული ლიტერატურის მიხედვით, ველის კირკიტა აჭარისწყლის აუზში ბუდობის პერიოდში არ დაფიქსირებულა. მიჩნეულია, რომ ეს ჰაბიტატი დისკრეტული მართვის ერთეულში (DMU) არ წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას ეროვნულ დონეზე, საქართველოში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობისთვის.</p> <p>ამგვარად, აღნიშნული სახეობა არ წარმოადგენს დისკრეტული მართვის ერთეულში კრიტიკული ჰაბიტატის პირველ და მეორე საფეხურს.</p>
<i>Lynx lynx</i>	ფოცხვერი	საჭიროებს ზრუნვას	გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი	კი	<p>ფოცხვერი წარმოდგენილია ფართო არეაში და გლობალურად საჭიროებს ზრუნვას. ევროპაში ევრაზიული ფოცხვერის კონსერვაციის სამოქმედო გეგმა არ მოიცავს კავკასიას და საქართველოს. ფოცხვერი გვხვდება უამრავ ჰაბიტატში, მათ შორის სქელ ბუჩქნარ ტყეში და უნაყოფო, კლდოვან ადგილებში, თუმცა ძირითადად ტყიან ადგილებში კარგი ჩლიქოსანი პოპულაციებით, რომელიც საკმარის საფარს იძლევა ნადირობისთვის. მისი ბუნაგის არეალი შეიძლება განსხვავდებოდეს 100-დან 1000 კმ²-მდე მამრისთვის, რაც დამოკიდებულია მტაცებლის სიმრავლესა და სიმკვრივეზე.</p> <p>მიჩნეულია, რომ ეს ჰაბიტატი დისკრეტული მართვის ერთეულში (DMU) არ წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას ეროვნულ დონეზე, საქართველოში გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი და დანართი IV-ის მიხედვით, რადგანაც სუბალპური ბუჩქნარი და კლდოვანი ჰაბიტატები ხეების ხაზის ზემოთ, რომელსაც ფოცხვერი ანიჭებს უპირატესობას არის DMU-ის საზღვრებს გარეთ. დისკრეტული მართვის ერთეულში ტყის ტიპები ფართოდ გავრცელებულია და</p>

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელი	IUCN-ს წითელი ნუსხა (v2017.1)	საქართველოს წითელი ნუსხა	ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა, დანართი IV-ს სახეობები	შეფასების დასაბუთება
					სპორადული ჩანაწერებით იქ ფიქსირდება ფოცხვერიც. თუმცა ამასთანავე, ეს სახეობა დაფიქსირდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დროს.
<i>Ursus arctos</i>	მურა დათვი	საჭიროებს ზრუნვას	გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი	კი	<p>მურა დათვს გააჩნია გავრცელების ფართო არეალი და გლობალურ მნიშვნელობას არ წარმოადგენს, თუმცა სახეობის კლება აღინიშნება ევროპაში, აზიასა და ჩრდილო ამერიკაში. მურა დათვი ძირითადად ფიქსირდება მთიან ტყეებში, სადაც ადამიანის ჩართულობა ნაკლებია. დღევანდელი მდგომარეობით ისინი გავრცელებულია თითქმის ყველგან სანაპირო ზონების გარდა. ამ სახეობის აღწერა მოხდა ფონური კვლევების და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პერიოდში.</p> <p>აღნიშნული სახეობა არ წარმოადგენს კრიტიკული სახეობის პირველ საფეხურს. მიჩნეულია, რომ ეს ჰაბიტატი დისკრეტული მართვის ერთეულში (DMU) არ წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას ეროვნულ დონეზე, საქართველოში დანართი IV-ის მიხედვით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობისთვის, რაც დისკრეტული მართვის ერთეული (DMU) მოიცავს მურა დათვის გავრცელების 2.45%. ტყით დაფარული DMU (72.08%, 600.12 km²) მურა დათვის არეალის 1.76 % წარმოადგენს.</p> <p>ამგვარად, აღნიშნული სახეობა არ წარმოადგენს დისკრეტული მართვის ერთეულში კრიტიკული ჰაბიტატის პირველი და მეორე კატეგორიის ზღვარს. DMU-ში ტყის ტიპები საქართველოში ფართოდ გავრცელებულია და ამ სახეობის არსებობა სპორადულია. ამგვარად, ეს სახეობა არ აკმაყოფილებს კრიტიკული ჰაბიტატის მეორე კატეგორიის ზღვარს.</p>
<i>Canis lupus</i>	რუხი მგელი	საჭიროებს ზრუნვას	-	კი	რუხი მგელი აჭარაში ცნობილია ლიტერატურული წყაროებიდან და ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვებით. აღნიშნული სახეობა ასევე დაფიქსირდა საკვლევ ტერიტორიაზე. მგელის საცხოვრებელი ტერიტორია

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელი	IUCN-ს წითელი ნუსხა (v2017.1)	საქართველოს წითელი ნუსხა	ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა, დანართი IV-ს სახეობები	შეფასების დასაბუთება
					<p>მოიცავს 12კმ²-დან 120კმ². იგი იკვებება დიდი ჩლიქოსნებით, თუმცა ასევე პატარა ნადირით, პირუტყვით, ლემითა და ნარჩენებით. სახეობა აღმოჩენილია, ფონური კვლევების და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დროს.</p> <p>აღნიშნული სახეობა არ მიკუთვნება კრიტიკული ჰაბიტატის პირველ საფეხურს. მიჩნეულია, რომ დისკრეტული მართვის ერთეულში ჰაბიტატი არ წარმოადგენს დანართი IV-ის მიხედვით ეროვნული კონცენტრაციის მნიშვნელობას, რადგანაც დისკრეტული მართვის ერთეულში და სპორადულ ჩანაწერებში ფართოდ არის გავრცელებული. შესაბამისად, ეს სახეობა დისკრეტული მართვის ერთეულში არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის მეორე საფეხურს.</p>
<i>Felis silvestris</i>	ტყის კატა	საჭიროებს ზრუნვას	-	კი	<p>ტყის კატა გვხვდება სხვადასხვა ჰაბიტატში, მათ შორის შერეულ ტყეში, მათი საცხოვრებელი ტერიტორია მოიცავს 1-დან 10კმ², ტყის ჰაბიტატში. სახეობა დაფიქსირდა ფონური კვლევების და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დროს.</p> <p>აღნიშნული სახეობა არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის პირველ საფეხურს. მიჩნეულია, რომ დისკრეტული მართვის ერთეულში ჰაბიტატი არ წარმოადგენს დანართი IV-ის მიხედვით ეროვნული კონცენტრაციის მნიშვნელობას, რადგანაც დისკრეტული მართვის ერთეულში და სპორადულ ჩანაწერებში ფართოდ არის გავრცელებული. შესაბამისად, ეს სახეობა დისკრეტული მართვის ერთეულში არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის მეორე კატეგორიის ზღვარს.</p>
<i>Rupicapra rupicapra caucasica</i>	არჩვი	საჭიროებს ზრუნვას	გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი	არა	<p>არჩვი ფართოდ გავრცელებული სახეობაა (გლობალურად საჭიროებს ზრუნვას), თუმცა კავკასიური ქვესახეობა (<i>R. rupicapra ssp. caucasica</i>) განიცდის კლებას და გვხვდება ფრაგმენტულად. სახეობა გვხვდება მდ. აჭარისწყლის აუზის ჩრდილოეთით, ქედის აღმოსავლეთით. სახეობის დაფიქსირება მოხდა ფონური კვლევების და მოსახლეობასთან კონსულტაციების დროს. არჩვი ბინადრობს</p>

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელი	IUCN-ს წითელი ნუსხა (v2017.1)	საქართველოს წითელი ნუსხა	ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა, დანართი IV-ს სახეობები	შეფასების დასაბუთება
					<p>ციცაბო, კლდოვან მთებში, იკვებება ბალახეულით, ხის ფოთლებით, ყვავილის კვირტებით, ყლორტებით და სოკოთი.</p> <p>მდედრები და თიკნები ჯოგში გზედება, 5-დან 30-მდე ცხოველში, თუმცა მამრი მარტო რჩება. უნდა აღინიშნოს, რომ სბალპური და ალპური ზონები (გეობოტანიკური უბნები) არ შედის საკვლევ ტერიტორიაში და შესაბამისად, არჩვის არსებობდა საკვლევ ტერიტორიაზე ძალიან დაბალია, ჰაბიტატის განსხვავებული მოთხოვნილების გამო.</p> <p>აღნიშნული სახეობა არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის პირველი კატეგორიის ზღვარს. მიჩნეულია, რომ დისკრეტული მართვის ერთეულში ჰაბიტატი არ წარმოადგენს ეროვნული კონცენტრაციის მნიშვნელობას გადაშენების საფრთხის წინაშე არსებული ამ სახეობის, რადგანაც ეს სახეობა არ გზედება საკვლევ ტერიტორიაზე და არასარწმუნო მეორად ჩანაწერებშიც.</p> <p>შესაბამისად, ეს სახეობა დისკრეტული მართვის ერთეულში არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის მეორე კატეგორიის ზღვარს.</p>
<i>Lutra lutra</i>	ევრაზიული წავი	საფრთხესთან ახლოს მყოფი	მოწყვლადი	კი	<p>ევრაზიული წავი საქართველოში იშვიათი სახეობაა და აჭარაში, საკვების სიმცირისა და კომერციული თევზსაშენების გამო შემცირებულია. ფონური კვლევები ადასტურებს მათ არსებობას საკვლევ ტერიტორიაზე. წავის პოპულაცია საქართველოში შემცირებულია და მათი მინიმალური პოპულაციის რაოდენობა 400 ინდივიდამდე დავიდა. სახეობა დაფიქსირდა ფონური კვლევების და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დროს.</p> <p>ეს სახეობა არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის პირველი კატეგორიის ზღვარს. მიჩნეულია, რომ დისკრეტული მართვის ერთეულში მდინარის ჰაბიტატები არ წარმოადგენენ დანართი IV სახეობების მიხედვით ეროვნული მნიშვნელობის კონცენტრაციას, რადგანაც დადასტურებული ჩანაწერები არის სპორადული.</p> <p>შესაბამისად, ეს სახეობა დისკრეტული მართვის ერთეულში არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის მეორე კატეგორიის ზღვარს.</p>

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელი	IUCN-ს წითელი ნუსხა (v2017.1)	საქართველოს წითელი ნუსხა	ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა, დანართი IV-ს სახეობები	შეფასების დასაბუთება
<i>Sciurus anomalus</i>	კავკასიური ციყვი	საჭიროებს ზრუნვას	მოწყვლადი	კი	ეს სახეობა დაფიქსირებულია ფონურ კვლევებში. კავკასიური ციყვი ძირითადად ცხოვრობს შერეულ და ფოთლოვან ტყეში, თუმცა ასევე გვხვდება წიწვოვან ტყეში და კლდოვან ადგილებში. აღნიშნული სახეობა დაფიქსირებულია ფონური კვლევების და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დროს. სახეობა არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის პირველი კატეგორიის ზღვარს. მიჩნეულია, რომ დისკრეტული მართვის ერთეულში კავკასიური ციყვის სპორადული გავრცელება, არ წარმოადგენს დანართი IV სახეობების მიხედვით, ეროვნული მნიშვნელობის კონცენტრაციას. შესაბამისად, ეს სახეობა დისკრეტული მართვის ერთეულში არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის მეორე კატეგორიის ზღვარს.
<i>Microbats</i>	ღამურა	სხვადასხვა	მოწყვლადი - მხოლოდ 4 სახეობა	კი	ღამურის სახეობების დერეფნების შესწავლა მოხდა საკვლევ ტერიტორიებზე, როგორცაა ჩია ღამურა (<i>Pipistrellus pipistrellus</i>) და მცირე მეღამურა (<i>Nyctalus leisleri</i>). ღამურის სახეობები გამოვლენილ იქნა ფონური კვლევების და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დროს. აღნიშნული სახეობა არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის პირველი კატეგორიის ზღვარს. მიჩნეულია, რომ დისკრეტული მართვის ერთეულში ჰაბიტატები ეროვნულ დონეზე არ წარმოადგენენ ღამურების მნიშვნელოვან კონცენტრაციას (დანართი IV სახეობები), რადგანაც MDU-ში ამ ტიპის ტყეები, რომლებიც არიან ამ სახეობის ჰაბიტატები ფართოდ გავრცელებულია საქართველოში. შესაბამისად, ღამურები არ წარმოადგენენ დისკრეტული მართვის ერთეულში კრიტიკული ჰაბიტატის მეორე კატეგორიის ზღვარს.
<i>Lacerta agilis</i>	მარდი ხვლიკი	საჭიროებს ზრუნვას	-	კი	მარდი ხვლიკის ჰაბიტატის ფართო მასშტაბიანია და მოიცავს მდელოებს, ბუჩქნარს, ღია ტყეებს. ამ სახეობას ურჩევნია ჰაბიტატის მოზაიკა, რაც მზეზე ნებისვრობის საშუალებას აძლევს. აღნიშნული სახეობა დაფიქსირებულია

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელი	IUCN-ს წითელი ნუსხა (v2017.1)	საქართველოს წითელი ნუსხა	ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა, დანართი IV-ს სახეობები	შეფასების დასაბუთება
					<p>ფონური კვლევების და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დროს. ეს სახეობა არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის პირველი კატეგორიის ზღვარს.</p> <p>მიჩნეულია, რომ დისკრეტული მართვის ერთეულში ჰაბიტატები არ წარმოადგენენ ეროვნული მნიშვნელობის კონცენტრაციას (დანართი IV სახეობები), რადგანაც მარდი ხვლიკი საქართველოში ფართოდაა გავრცელებული და სპორადულად წარმოდგენილია MDU-ში.</p>
<i>Coronella austriaca</i>	სპილენძა	არ არის შეფასებული	-	კო	<p>აღნიშნული სახეობა დაფიქსირებულია ფონურ კვლევებში და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დროს. შესაფერისი ჰაბიტატი საკმარისი რაოდენობით არის ხელმისაწვდომი. ეს სახეობა უპირატესობას ანიჭებს მშრალ და მზიან ადგილებს, ტყის კიდეებს.</p> <p>ეს სახეობა არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის პირველი კატეგორიის ზღვარს.</p> <p>მიჩნეულია, რომ დისკრეტული მართვის ერთეულში ჰაბიტატები არ წარმოადგენენ ეროვნული მნიშვნელობის კონცენტრაციას (დანართი IV სახეობები), რადგანაც იგი საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. შესაბამისად, ეს სახეობა დისკრეტული მართვის ერთეულში არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის მეორე კატეგორიის ზღვარს.</p>
<i>Natrix tessellata</i>	წყლის ანკარა	საჭიროებს ზრუნვას	-	კო	<p>აღნიშნული სახეობა დაფიქსირებულია ფონურ კვლევებში. იგი წარმოადგენს წყლის სახეობას, რომელიც გვხვდება მდინარეებში, ნაკადულებში, ტბებსა და გუბურებში და მიმდებარე ხმელეთის ჰაბიტატთან. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დროს ეს სახეობა არ დაფიქსირებულა. იგი არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის პირველის კატეგორიის ზღვარს.</p> <p>მიჩნეულია, რომ დისკრეტული მართვის ერთეულში ჰაბიტატები არ წარმოადგენენ ეროვნული მნიშვნელობის კონცენტრაციას (დანართი IV სახეობები), რადგანაც იგი საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. შესაბამისად, ეს</p>

ლათინური სახელწოდება	საერთო სახელი	IUCN-ს წითელი ნუსხა (v2017.1)	საქართველოს წითელი ნუსხა	ევროკავშირის ჰაბიტატები ს დირექტივა, დანართი IV-ს სახეობები	შეფასების დასაბუთება
					სახეობა დისკრეტული მართვის ერთეულში არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის მეორე კატეგორიის ზღვარს.

ცხრილი 2.9-დან კრიტიკული ჰაბიტატის პირველი კატეგორიის ზღვარს წარმოადგენს შემდეგი სახეობები (I და II კატეგორიები: გადაშენების უკიდურესი საფრთხის პირას არსებული და გადაშენების პირას არსებული სახეობები), ხოლო მათი შეფასების შედეგები მოცემულია ცხრილში 2.9.

1. ხე-მარწყვა (*Arbutus andrachne*)
2. სომიეს გლერძი (*Astragalus sommieri*)

2.9.2 ენდემური და/ან შეზღუდული არეალის სახეობები

2.9.2.3 ყვავილის სახეობები Floral Species

კრიტიკული ჰაბიტატის მეორე კრიტერიუმს აკმაყოფილებს შემდეგი სახეობები (I და II კატეგორიები: ენდემური/შეზღუდული არეალი) და მათი შეფასება IFC-ის კრიტერიუმთან მიმართებაში მოცემულია ქვემოთ:

თეთრყვავილა (*Symphytum grandiflorum*)

დაფიქსირებულია დისკრეტული მართვის ერთეულში და საქართველოში არის ენდემური სახეობა. იგი გვხვდება ტყის ჰაბიტატში და ნესტიან ხევებში, შედარებით ხშირად/წარბად არის წარმოდგენილი საკვლევ ტერიტორიაზე.

გვირილა (*Tripleurospermum szovitsii*)

დაფიქსირებულია დისკრეტული მართვის ერთეულში და საქართველოში არის ენდემური სახეობა. იგი გვხვდება მშრალ კლდოვან ფერდობებზე (ძირითადად სამხრეთ ნაწილში) და იშვიათია საკვლევ ტერიტორიაზე.

ზემონახსენები ორივე სახეობა არ არის საქართველოს წითელი ნუსხაში და არ შემოიფარგლება დისკრეტული მართვის ერთეულით და აჭარის რეგიონით. ისინი შეფასებულია IUCN-ის წითელი ნუსხით. ისინი არ წარმოადგენენ კრიტიკული ჰაბიტატის პირველი საფეხურის ზღვარს. პრევენციული და კონსერვატორული მიდგომების გამოყენებით დისკრეტული მართვის ერთეულში ხვდება ამ სახეობის გლობალური პოპულაციის 1%-დან 95%-მდე. ამგავარად, შესაძლებელია, რომ დისკრეტული მართვის ერთეულში ისინი წარმოადგენდნენ კრიტიკული ჰაბიტატის მეორე კატეგორიის ზღვარს.

2.9.2.4 ფაუნის სახეობები

კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*)

IUCN-ის წითელი ნუსხის (v 2017.1.3) მიხედვით კავკასიური სალამანდრა მიეკუთვნება მოწყვლად სახეობას, რადგან მისი საცხოვრებელი ტერიტორია 2,000კმ² ნაკლებია, მისი გავრცელება ძლიერ ფრაგმენტულია და შემოიფარგლება თევზისგან თავისუფალი პატარა ნაკადულებით. თურქეთსა და საქართველოში გრძელდება მისი ჰაბიტატის არეალისა და ხარისხის კლება. სახეობა განიცდის სწრაფ შემცირებას მის არეალში. ამჟამინდელი გავრცელება მოიცავს ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს თურქეთში და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აჭარის ჩათვლით. კავკასიური სალამანდრა ძირითადად გვხვდება აღმოსავლური წიფლის ტყეში (*Fagus orientalis*), წიწვოვან ტყეში (*Abies nordmanniana* და *Picea orientalis*), ბუჩქოვან ტყეში (*Buxus* sp.), ხმელთაშუა ზღვის ბუჩქნარებში, შერეულ ტყეებში, სუბალპურ სარტყელსა და ალპურ მდელოებში. სახეობა ერიდება დიდ ნაკადულებს და ძირითადად ცხოვრობს პატარა ნაკადულებში ქვის სუბსტრატით.

აღნიშნული სახეობა არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის პირველი კატეგორიის ზღვარს.

ეს სახეობა წარმოადგენს დისკრეტული მართვის ერთეულში კრიტიკული ჰაბიტატის მეორე კატეგორიის ზღვარს რადგანაც იგი გლობალური დისტრიბუციის 41.63% შეადგენს.

2.9.3 გადამფრენი და ჯოგური სახეობები

შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და, კერძოდ, ბათუმის ტერიტორია, ევრაზია-აფიკის მიგრაციულ სისტემაში მტაცებლების მიგრაციისთვის (განსაკუთრებით შემოდგომაზე) ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას (ე.წ. „მაბრი“) წარმოადგენს. სახეობები, რომლებიც ამ ვიწრო დერეფნის საშუალებით გადაადგილდებიან, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში მნიშვნელოვანი რაოდენობის სახეობები გადაიან კლასიფიცირდებიან, როგორც ჯოგური/ჯგუფური სახეობები. მიგრირებადი ფრინველების კვლევებმა დაადასტურეს, რომ ეს სახეობები თავს არიდებენ დისკრეტული მართვის ერთეულს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დისკრეტული მართვის ერთეული არ შეიცავს მიგრირებადი და ან/ჯოგური/ჯგუფური სახეობების გლობალური მნიშვნელობის კონცენტრაციას და შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს კრიტიკული ჰაბიტატის მესამე კატეგორიის პირველ და მეორე ქვე-კატეგორიებს.

2.9.4 კანონმდებლობით დაცული და საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიები

კინტრიშის ნაკრძალი (IUCN კატეგორია Ia) არის კანონიერად დაცული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს DMU-ს მიმდებარედ. დაცული ტერიტორიები, რომლებიც შეესაბამება IUCN კატეგორიებს I და II, კლასიფიცირდება როგორც კრიტიკული ჰაბიტატი. თუმცა, პროექტი არ არის „განლაგებული კანონიერად დაცულ ზონაში“, როგორც ეს მითითებულია IFC PS6-ში და სახელმძღვანელო შენიშვნაში. DMU (832.64 კმ²/ 83,264.16 ჰა) ნაწილობრივ ფარავს სამ IBA-ს (რომლებიც ასევე წარმოადგენენ ბიომრავალფეროვნების საკვანძო ადგილებს KBA) და შავშეთის ქედის IBA-ები და გოდერძის უღელტეხილის KBA (იხილეთ ცხრილი 2.10).

პროექტის განხორციელებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი (ასევე საკვლევი ტერიტორია) ფარავს შავშეთის ქედს (2) და გოდერძის უღელტეხილის KBA-ს (ნაწილი 2.1.1).

მხოლოდ ორი სახეობაა წარმოდგენილი გოდერძის უღელტეხილისთვის კავკასიური სალამანდრა და შავშეთის ქედისთვის (2) კავკასიური გველგესლა.

კავკასიური სალამანდრა შეფასებული იყო კრიტიკული ჰაბიტატის 1 და 2 კრიტერიუმების მიხედვით და შეფასებული იყო როგორც კრიტიკული ჰაბიტატის კანდიდატი სახეობა. აღნიშნული სახეობა იყო გამოკვლეული მთელი მისი არსებობის მანძილზე DMU-ში და ამ პოპულაციაზე ამჟამად ზემოქმედება არ ხდება (იხ. **დანართი B**). შავი ზღვის გველგესლა საკვლევ ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბიომრავალფეროვნების საკვანძო უბნები (KBA) შეფასებულ იქნა და შესულია 2004 წლის KBA-ის ქსელში, ინფორმაცია ხელმისაწვდომია საჯარო საიტებზე, პროექტის დაფინანსების შემდგომ.

IFC-ის GN95 პუნქტი (2012a) შემარბილებელ ღონისძიებასთან მიმართებაში აღნიშნავს, რომ კლიენტმა უნდა შეასრულოს ბუნებრივი ან კრიტიკული ჰაბიტატის მოთხოვნები, რაც დამოკიდებულია კანონიერად დაცულ (დასაცავად ოფიციალურად შემოთავაზებული ტერიტორიების ჩათვლით) ან საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების კვალიფიციურ ღირებულებებზე. იმის გათვალისწინებით, რომ

კავკასიური სალამანდრის მონიტორინგს აქვს მკაფიო მიზანი პოტენციური ზემოქმედებების გაგება და მათი შერბილება, ამ შემთხვევას ესადაგება GN95.

გარდა ამისა, ასევე მიჩნეულია, რომ მოთხოვნები IFC PS6-ის მე-20 პუნქტში (IFC, 2012a) ან EBRD PR6-ის მე-19 პუნქტში არ შეესაბამება პროექტს, ზემოაღნიშნული დასაბუთების გათვალისწინებით.

ცხრილი 0-10 კანონით დაცული და ბიომრავალფეროვნების საკვანძო ტერიტორიები, რომლებიც გადაფარვაში დისკრეტული მართვის უზნებთან ან იმყოფება მათთან ახლოს

დაცული ტერიტორიები	სტატუსი	ჯამური ფართობი	DMU-სთან გადაფარვაში მყოფი ტერიტორიები
კინტრიშის ნაკრძალი	კანონით დაცული ტერიტორია (IUCN კატეგორია Ia)	10,703 ჰა (ასევე, დაცული ლანდშაფტის 3190 ჰა)	0 ჰა (DMU-ს მიმდებარედ)
კინტრიში IBA/KBA	საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორია	15,725 ჰა	2,957.13 ჰა
აჭარა-იმერეთის ქედის IBA/KBA	საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორია	173,279 ჰა	0 ჰა (DMU-ში 1 კმ-ის მანძილზე)
შავშეთის ქედის IBA/KBA	საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორია	38,253 ჰა	2,878.26 ჰა
შავშეთის ქედის (2) KBA	საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორია	19,312 ჰა	4,828 ჰა
გოდერძის უღელტეხილის KBA	საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორია	30,632 ჰა	15,181 ჰა

წყარო: მშენებლობის ფაზის BAP

2.10 კრიტიკული ჰაბიტატის შეფასების შეჯამება და ზეგავლენები პროექტზე

ცხრილი სამშენებლო ფაზის BAP-ში მოხსენებული ჰაბიტატები წარმოდგენილია ცხრილში 1.1. სამშენებლო ფაზამ BAP-მა შეაფასა ყველა ბუნებრივი ტყე DMU-ში, როგორც კრიტიკული ჰაბიტატი ბერძნული მარწყვის ხის (*Arbutus andrachne*), სომიეს გლერძი (*Astragalus sommieri*) (ქართული გადაშენების პირას მყოფი), *Symphytum grandiflorum* (საქართველოს ენდემური/შეზღუდული დიაპაზონის) არსებობის გამო. კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*) (შეზღუდული ჯიშის სახეობა). პროექტი გავლენას მოახდენს ამ ბუნებრივი/კრიტიკული ჰაბიტატის ტყის 23,65 ჰა-ზე, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ რაიმე გაზომვადი ზემოქმედება იქონიოს იმ სახეობებზე, რომლებიც ქმნიან კრიტიკულ ჰაბიტატებს (იხ. ნაწილი 4.4.)

ცხრილი 0-1 აჯამებს ბოლო თავში კრიტიკული ჰაბიტატის შეფასების შედეგებს.

ცხრილი 0-11 კრიტიკული ჰაბიტატის მახასიათებლების შეჯამება (IFC PS6)

კრიტიკული ჰაბიტატის მახასიათებლები	წარმოდგენილი კრიტიკული ჰაბიტატი (კრიტერიუმი/კატეგორია)
გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინ და/ან გადაშენების პირას მყოფი საყურადღებო მნიშვნელობის ჰაბიტატი (IUCN-ის წითელი ნუსხა)	ხე-მარწყვა: (<i>Arbutus andrachne</i>): კრიტერიუმი 1 კატეგორია 2e. სომიელის გლერძი (<i>Astragalus sommieri</i>): კრიტერიუმი 1 კატეგორია 2e.

კრიტიკული ჰაბიტატის მახასიათებლები	წარმოდგენილი კრიტიკული ჰაბიტატი (კრიტერიუმი/კატეგორია)
ენდემური და/ან შეზღუდული არეალის სახეობების საყურადღებო მნიშვნელობის ჰაბიტატები	კავკასიური სალამანდრა (<i>Mertensiella caucasica</i>): კრიტერიუმი 2 კატეგორია 2 თეთრყვავილა ლამქარა (<i>Symphytum grandiflorum</i>) კრიტერიუმი 2 კატეგორია 2 გვირილა (<i>Tripleurospermum szovitsii</i>) კრიტერიუმი 2 კატეგორია 2
მიგრირებადი, ან ჯოგური/გუნდური სახეობებისთვის გლობალური მნიშვნელობის მქონე ჰაბიტატები	Not triggered
დიდი საფრთხის წინაშე მყოფი, და/ან უნიკალური ეკოსისტემები.	Not triggered
საკვანძო ევოლუციურ პროცესებთან დაკავშირებული ტერიტორიები.	Not triggered

პროექტის ზემოქმედებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

- ყველა ბუნებრივი ტყე DMU-ში კლასიფიცირდება როგორც კრიტიკული ჰაბიტატი, რადგან წარმოდგენილია ხემარწყვა (*Arbutus andrachne*) და სომიეს გლერძი (*Astragalus sommieri*) (საქართველოში გადაშენების საფრთხის პირას მყოფი), თეთრყვავილა (*Symphytum grandiflorum*) და გვირილა (*Tripleurospermum szovitsii*) (შეზღუდული გეოგრაფიული არეალის გამო) და კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*) (შეზღუდული გეოგრაფიული არეალის გამო).
- პროექტმა ზეგავლენა მოახდინა ამ კრიტიკული ჰაბიტატის ტყის 23. ჰა-ზე, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ რაიმე გაზომვადი ზემოქმედება არსებობდეს კრიტიკული ჰაბიტატის გამომწვევ სახეობებზე (იხ. ცხრილი 3.12). ეს იმიტომ ხდება, რომ კრიტიკული ჰაბიტატის გამომწვევი სახეობები ან არ იმყოფებიან პროექტისთვის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, ან შემოთავაზებულმა შემარბილებელმა ღონისძიებამ არ გამოიწვია გაზომვადი უარყოფითი ზემოქმედება პროექტის მასშტაბით.

ხე-მარწყვაზე და იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს სახეობა იზრდება (*Arbutus andrachne*) პროექტს არ აქვს რაიმე გაზომვადი უარყოფითი ზემოქმედება ან იმ ეკოლოგიურ პროცესებზე, რომელიც ხელს უწყობს ამ სახეობის გაზრდას (მათ შორის ადგილობრივი კლიმატური რეჟიმი და ნიადაგის ქიმიური/კვებითი ციკლი), რადგანაც არ დაფიქსირებულა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე.

ხე-მარწყვას მონიტორინგის შედეგები მოცემულია თავში 3.1.5.

სომიეს გლერძზე (*Astragalus sommieri*) პროექტმა ზემოქმედება იქონია ძალიან მცირე ჰაბიტატზე, როგორცაა 0,42% დისკრეტული მართვის ერთეულში მდინარის კალაპოტი, გზები და შიშველი კლდეები (შეუძლებელი იყო მომხდარიყო შიშველი კლდის ცალკე რუკაზე დატანა). უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახეობის არსებობდა პროექტის სხვა უბნებზე ნაკლებად სავარაუდოა, რადგანაც აღნიშნული სახეობა ექვემდებარებოდა მონიტორინგს ადრე. პროექტს არ აქვს რაიმე გაზომვადი უარყოფითი ზემოქმედება ან იმ ეკოლოგიურ პროცესებზე, რომელიც ხელს უწყობს ამ სახეობის

გაზრდას (მათ შორის ადგილობრივი კლიმატური რეჟიმი და ნიადაგის ქიმიური/კვებითი ციკლი), რადგანაც არ დაფიქსირებულა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე.

სომიეს გლერძის მონიტორინგის შედეგები მოცემულია თავში 3.1.5.

Symphytum grandiflorum დაფიქსირებულია მხოლოდ ორ ადგილას, სხალთის კაშხლიდან 300 მეტრში ქვედა ბიეფში და ჩირუხისწყლის დამბის ქვედა ბიეფში.

Tripleurospermum szovitsii ახლახანს დაფიქსირდა ჩირუხისწყლის დამბასთან ახლოს.

ამ ორივე სახეობის მონიტორინგის შედეგები მოცემულია თავში 3.1.5.

რაც შეეხება კავკასიუ სალამანდრას (*Mertensiella caucasica*), არსებობს დადასტურებული ჩანაწერები დისკრეტული მართვის ერთეულის შიგნით და მის სიახლოვეს. ამ სახეობებისთვის სასურველი ჰაბიტატები (ადმოსავლური წიფლის ტყე, ფოთლოვანი ტყე, შერეული ფოთლოვანი/წიწვოვანი ტყეები) დისკრეტული მართვის ერთეულის 66.31% მოიცავს. თუმცა, პროექტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მოექცა ამ ჰაბიტატების 3.34% ანუ დისკრეტული მართვის ერთეულის 0.03%. პროექტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულის ყველა ტყის ჰაბიტატის 23,65% რაც დისკრეტული მართვის ერთეულის 0.87%-ს შეადგენს. კავკასიური სალამანდრა ძირითადად მცირე ნაკადულებში გვხვდება (თავს არიდებს დიდ ნაკადებს), ჩვეულებრივ სიგანეში 1-1,5 წთ-ზე ნაკლები და სიღრმეში 20-30სმ (Kaya et al., 2009).

კავკასიური სალამანდრის მონიტორინგის შედეგები მოცემულია თავში 3.1.5.

მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის ფაზის BAP-ში დამტკიცებულია, რომ პროექტი ზეგავლენას არ მოახდენს ამ ტიპის არცერთ მცირე ნაკადზე, სიფრთხილის პრინციპი მაინც დაცულია ამ ნაკადებზე მცირე ჰიდროლოგიური ზემოქმედების გამო (განსაკუთრებით კაშხლებისა და დამბის ქვემო ბიეფში).

3 ბიომრავალფეროვნების რეცეპტორებზე ზემოქმედება ოპერირების ფაზაზე, შემარბილებელი ღონისძიებებისა და მართვის სამოქმედო გეგმა

წინამდებარე თავში მოცემულია ზემოთ აღწერილი ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტებზე შესაძლო ზემოქმედებების შეჯამება, ასევე ზემოქმედებები:

- რომლებიც არსებობდა მშენებლობის ფაზაზე და საჭიროებს გრძელვადიან მონიტორინგს ოპერირების ფაზაზე;
- შესაძლებელია არსებობდეს ოპერირების ფაზაზე და საჭიროებს სპეციალურ შემარბილებელ ღონისძიებებს მისი აღმოფხვრის ან/და შემცირების მიზნით;
- შესაძლებელია არსებობდეს 35 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ოპერირებისას და საჭიროა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მის აღოსაფხვრელად;

შემარბილებელი ღონისძიებები შეესაბამება IFC PS6 სტანდარტით გათვალისწინებულ ბიომრავალფეროვნების რეცეპტორების შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიას, კერძოდ ზემოქმედების თავიდან აცილება, შემცირება (შერბილება), რეაბილიტაცია/გამოსწორება და კომპენსაცია. IFC PS6 სტანდარტი ითვალისწინებს 4 ტიპის აქტივობას, ასევე არის დამატებითი აქტივობა (GN34), რომელიც ითვალისწინებს ჰაბიტატის გაუმჯობესებისა და დაცვის ღონისძიებებს. რადგანაც კრიტიკული ჰაბიტატის შემთხვევაში სტანდარტის მოთხოვნაა ბიომრავალფეროვნების წმინდა მოგების მიღწევა, ბუნებრივი ჰაბიტატის მოდიფიკაციის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დამატებითი ღონისძიებები განახორციელოს. მაგალითად, მოდიფიცირებული ჰაბიტატის შემთხვევაში, ბიომრავალფეროვნების შესაბამისი ღირებულების ჰაბიტატის აღდგენასთან ერთად, დამატებითი აქტივობა შეიძლება იყოს ინვაზიური სახეობებთან ბრძოლა. ბუნებრივი ჰაბიტატის შემთხვევაში, სტრატეგიულ მიდგომების განვითარება სხვა კომპენიებთან ან/და სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად.

შემარბილებელი იერარქიის კატეგორიები (მაგალითად, თავიდან აცილება, შერბილება, აღდგენა ან/და კომპენსაცია) ქვემოთ მოცემულია ცხრილში მუქი შრიფტით.

3.1 მშენებლობის ფაზაზე არსებული ზემოქმედება და განხორციელებული შემარბილებელი ღონისძიებები

მშენებლობის ფაზით გამოწვეული ზემოქმედება:

1. ხმაურისა და სინათლის გავლენა ფრინველებზე და ძუძუმწოვრებზე;
2. მტვრის გავრცელება სამშენებლო მოედნების მიმდებარე ტერიტორიაზე და მისი გავლენა ჰაბიტატზე;
3. ჰიდროლოგიური მდგომარეობის ლოკალური ცვლილება და ლოკალური დაბინძურების გაზრდილი რისკი სამშენებლო მოედნების მიმდებარედ, შედეგად ლიკალური ზემოქმედება მოზუდარ ფრინველებზე და ძუძუმწოვრებზე.
4. სამშენებლო საქმიანობისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობით გამოწვეული ჰაერის ხარისხის ცვლილება;
5. სამშენებლო პროცესში მდინარის პოტენციური დამაბინძურებლებით გამოწვეული მდინარის წყლის ხარისხის შეცვლა;
6. სამშენებლო და გვირაბის ნარჩენი წყლის მდინარეში გაშვება და ნატანით დაბინძურება;
7. მდინარის წყლის მოპოვება სამშენებლო საქმიანობისთვის.

მშენებლობის ფაზაზე არსებული ზემოქმედება, რომელიც მოსალოდნელია გაგრძელდეს ოპერირების ფაზაზეც:

8. ნიადაგის დატკეპნა და ჰაბიტატის დეგრადაცია, რაც გამოწვეულია გამავლობის მანქანების გაზრდილი მოძრაობით;
9. მუდმივად დაკარგული ჰაბიტატი იმ მიწების სახით, რომელიც გამოყენებულ იქნა პროექტის მუდმივი ინფრასტრუქტურისთვის და რეზერვუარისთვის.
10. ჰაბიტატის დროებით დაკარგვა გვირაბის გაყვანის სამუშაოებისას, გზების, სანაყაროების და კაშხლების მოსაწყობად.
11. ჰაბიტატის დეგრადირება სამშენებლო საქმიანობის წარმოებისას, მათ შორის ხეების ჭრით და მუშების საქმიანობით.
12. ნადირობა და თევზაობა მუშების მიერ;
13. ინვაზიური სახობების შემთხვევითი შემოტანა ან გავრცელება, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს შეუქცევადი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე;
14. ტურბინების მუშაობით გამოწვეული ხმაური, ტექნიკური გამართულობისთვის განხორციელებული სამუშაოები, მანქანების მოძრაობითა და განათებით გამოწვეული ზემოქმედება.

ზემოქმედება (1-დან 7-მდე) დამახასიათებელი მხოლოდ მშენებლობის ფაზისთვის და ამ შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება საჭირო არ არის ოპერირების ფაზაზე.

ზემოქმედება 8-დან 14 მდე დამახასიათებელია მშენებლობის ფაზისთვის, თუმცა მისი მონიტორინგი და მენეჯმენტი საჭიროა ოპერირების ფაზაზეც. ყველა ჩამოთვლილ ზემოქმედების მიმართ გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიება განხილულა ქვემოთ. აქტივობისთვის მინიჭებული კონკრეტული ნომერი მომდინარეობს მშენებლობის ფაზის BAP- დან.

3.1.1 მშენებლობით გამოწვეული მუდმივად დეგრადირებული და დაკარგული ჰაბიტატი

ხმელეთის ჰაბიტატი

აღსადგენი ბუნებრივი ჰაბიტატი, მდინარეების და შენაკადების გარდა, შემოიფარგლება ქვემოთ მოცემული გარდაქმნილი და დეგრადირებული ბუნებრივი და კრიტიკული ჰაბიტატებით- **ცხრილი 3.1.**

ცხრილი 3-1 მშენებლობის ფაზაზე ზემოქმედების ქვეს მყოფი მცენარეთა სახეობები და ჰაბიტატები

მცენარეთა ჰაბიტატის სახეობა	IFC კატეგორია	კონსერვაციული ღირებულება	ზემოქმედების ტერიტორია (ჰექტარი)	ზემოქმედების ქვეშ არსებული ტერიტორიის შეფარდება (პროცენტულობა) DMU (%)-სთან
შერეული ფართოფოთლოვანი	ბუნებრივი/ კრიტიკული	საშუალო	3.94	0.64
ფოთლოვანი ტყე დომინირებული მუხით ან/და უხრავით	ბუნებრივი/ კრიტიკული	მაღალი	15.85	0.38
შერეული ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყე	ბუნებრივი/ კრიტიკული	საშუალო	3.86	0.03
კაკლის პლანტაცია	მოდულიფიცირებული	დაბალი	3.41	45.17
ბუჩქნარი <i>Rhododendron ponticum</i> , <i>Prunus laurocerasus</i> , <i>Ilex colchica</i> და <i>Euonymus europaea</i>	ბუნებრივი/კრიტიკული	საშუალო	3.17	0.58
მდელოები	მოდულიფიცირებული	დაბალი	15.89	0.21
სასოფლო- სამეურნეო მიწები (სახნავი მიწები და სამოვრები)	მოდულიფიცირებული	უმნიშვნელო	10.46	0.09
მდინარეები და შენაკადები	ბუნებრივი	მაღალი	15.21	3.65
მდინარის კალაპოტი, გზები, შიშველი კლდეები (low confidence)	ბუნებრივი/მოდულიფიცირებული	საშუალო/დაბალი	0.62	0.05
გზები (სამანქანო და ბილექები)	მოდულიფიცირებული	უმნიშვნელო	2.08	0.19
დასახლებები	მოდულიფიცირებული	უმნიშვნელო	0.92	0.12

ამ ეტაპზე 7 წითელი ნუსხის სახეობა იქნა იდენტიფიცირებული საკვლევ ტერიტორიაზე (ცხრილი 3-2).

ცხრილი 3-2 საქართველოს წითელი ნუსხის სახეობები საკვლევ ტერიტორიაზე

სახეობათა ლათინური სახელწოდება	სახეობათა ჩვეულებრივი სახელწოდება	საქართველოს წითელი წიგნი	IUCN წითელი ნუსხა (v 2017-3)
<i>Juglans regia</i>	კაკალი	VU	NT
<i>Ostrya carpinifolia</i>	უხრავე	EN	-
<i>Ulmus glabra</i>	თელა	VU	-
<i>Taxus baccata</i>	უთხოვარი	VU	LC
<i>Arbutus andrachne</i>	წითელი ხემარწყვა	EN	-
<i>Astragalus sommieri</i>		EN	-
<i>Cornus sanguinea ssp. australis</i> (<i>Swida koenigii</i>)	Dog wood	VU	-

საქართველოს კანონი ველური მცენარეთა და ცხოველთა დაცვის შესახებ (1994) და საქართველოს კანონი ველურ ბუნების შესახებ (1996) შეიცავს დებულებებს ველური ბუნებისა და მისი ჰაბიტატების დაცვისა და აღდგენის, სახეობების მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების კონსერვაციის, მდგრადობისა და მდგრადი განვითარებისათვის პირობების შექმნაზე, მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით. ბოლოდროინდელი ცვლილებები კანონმდებლობაი ასე ითვალისწინებს ფულად კომპენსაციას წითელი ნუსხის სახეობების მოჭრის შემთხვევაში.

IFC PS6 სტანდარტის შესაბამისად მშენებლობის ფაზაზე შუახვევი ჰესის პროექტით დაკარგული 23.65 ჰა ბუნებრივი ჰაბიტატის აღდგენა უნდა მოხდეს. დამატებით 0.3 ჰექტრის აღდგენა უნდა მოხდეს 35 კვ ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზის ზემოქმედების გამო.

35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის სოციალური და გარემოზე ზემოქმედების დამატებითი შეფასების ანგარიშის (2016) მიხედვით, ხაზის მშენებლობის ფაზაზე მოხდა 0.3 ჰა ბუნებრივი ჰაბიტატის დაკარგვა. დამატებით ასევე შესაძლებელია მცირეოდენი ბუნებრივი ჰაბიტატის დაკარგვა ხეების გადაჭრის გამო. ხეების გადაბეღვა არ იწვევს ბუნებრივი ჰაბიტატის დაკარგვას, თუმცა გარკვეულ წილად შესაძლებელია განვიხილოთ მცირეოდენი ზემოქმედება მრავალწლოვან ფართოფოთლოვან ხე-მცენარეებზე, განსაკუთრებით მუხითა და უხრავეთ დომინირებულზე.

გადამცემი ხაზის განლაგება და ანძები დატანილ იქნა Google Earth Imagery (2020).

დაახლოებით 0.09 ჰა ბუნებრივი ჰაბიტატი დაიკარგება ანძის სამირკვლების დამონტაჟების გამო.

ხაზის უმეტესი ნაწილის მიყვება მდინარის ხეობებს და არ კვეთს ბუნებრივი ჰაბიტატს, მხოლოდ 1130 მ სიგრძეზე ხდება გადაფარვა. წინასამშენებლო კვლევების მიხედვით გადაფარვაში ხდება ფართოფოთლოვანი ტყეები დომინირებული მუხითა და უხრავეთ.

ბუფერული ზონა (სერვიტი) გადამცემი ხაზის ორივე მხარეს არის 20 მ, შესაბამისად სრულად ხაზის 40 მეტრის რადიუსში უნდა განხორციელდეს გადაბეღვა. აქედან ბუნებრივი 4.2 ჰა მოდის გადაფარვაში ჰაბიტატთან. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ აქედან დაახლოებით 5 % ხეებისა იქნება ხანდაზმული ტყის ნაწილი და დასჭირება გადაბეღვა. რაც დაახლოებით არის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული. 0.21 ჰექტარი ბუნებრივი ჰაბიტატი.

დაახლოებით 0.3 ჰა ბუნებრივი ჰაბიტატი დაზიანდება, როგორც პირდაპირი ზემოქმედებით ასევე გადაბეღვით.

შესაბამისად აღსადგენი ტერიტორიის ფართობია 23.95 ჰა. წმინდა მოგების მისაღწევად საჭიროა უფრო დიდი ფართობის ტყის ჰაბიტატის გაშენება.

Parkes et al (2003) ჰაბიტატ-ჰექტრის მეთოდი იქნა გამოყენებული გამოსათვლელად.

ჰაბიტატ-ჰექტრის მეთოდი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ იმავე ეკოლოგიური მცენარეული კლასის (EVC) ჰაბიტატის რაოდენობა, რომელიც საჭირო იქნება პროექტის შედეგად დაკარგული ჰაბიტატის ჩანაცვლებისთვის. თუმცა მეტრიკის უმეტესობა აღიარებს, რომ ჰაბიტატის ჩანაცვლება რიგ რისკებთან არის დაკავშირებული და რომ მარტივი 1:1 თანაფარდობა შეიძლება არ იყოს შესაფერისი ჰაბიტატის დაკარგვის ეფექტური კომპენსაციის მისაღწევად. ევროკავშირის 92/43/EEC დირექტივა სახელმძღვანელო ჰაბიტატების შესახებ, კომპენსაციის კოეფიციენტებთან დაკავშირებით (ევროპის კომისია 2007 წლის იანვარი) ამბობს, რომ საპროექტო არეალში ჰაბიტატების ტიპების ზონები განისაზღვრა ჰაბიტატის მდგომარეობის ქულების საფუძველზე. ამ ქულებით ხდება ზემოქმედების ადგილის ჰაბიტატის მდგომარეობის, საორიენტაციო/საბაზისო მდგომარეობის ქულასთან (benchmark condition) შედარება. ჰაბიტატის ჰექტარი მოდელი იყენებს ქულებს, რათა შეაფასოს არსებული „მცენარეთა საფარის ხარისხი“ იმავე მცენარეული თემის მომწიფებული და აშკარად დიდი ხნის განმავლობაში ხელუხლებელი ჯიშების მახასიათებლებთან მიმართებაში. არსებითად, ეს მეთოდი ცდილობს შეაფასოს რამდენად „ბუნებრივია“ ადგილი, მისი შედარებით იგივე ტიპის მცენარეებთან, ეკოსისტემის ძირითადი ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში (Parkes et al 2003).

ცხრილი 3.3-ში მოცემულია ჰაბიტატის მდგომარეობის ქულები. ქულები გამოყვანილია IFC PS6 სტანდარტში არსებული „ბუნებრივი“, „მოდერნიზებული“ და „დეგრადირებული“ ჰაბიტატის განმარტების შესაბამისად (IFC, 2012a). ქულების საშუალებას იძლევა შედარდეს ერთმანეთს „მდგომარეობის კატეგორია“ და საბაზისო მდგომარეობა, რაც არის განმსაზღვრელი ამ ჰაბიტატის აღდგენის.

ცხრილი 3-3 ჰაბიტატის მდგომარეობის ქულა (A)

მდგომარეობის კატეგორია	განსაზღვრება	ღირებულება
საბაზისო ჰაბიტატი ნიშნული	საბაზისო მდგომარეობა- ჰაბიტატი მომწიფებულ მდგომარეობაში, მხოლოდ ადგილობრივი წარმოშობის მცენარეულობით, მომწიფებული ან დაბერებული სახეობების მრავალფეროვნებით; როცა არ არსებობს ადამიანთა ჩარევის ნიშნები (როგორცაა ნარჩენებიტ დაბინძურება, მცენარეული საფარის მოცილება).	>0.75 - 1
ბუნებრივი	ბუნებრივი მდგომარეობა არის ჰაბიტატის ის მდგომარეობა, როცა ჰაბიტატი ძირითადად არის ბუნებრივ მდგომარეობაში, სადაც ადამიანთა მიერ არ მომხდარა პირველადი ეკოლოგიური	>0.5- 0.75

მდგომარეობის კატეგორია	განსაზღვრება	ღირებულება
	ფუნქციისა და სახეობათა კომპოზიციის შეცვლა. მცირედენი ჩარევები ადამიანების მხრინ არსებობს მცენარეული საფარის მოხსნის, ნარჩენებისა და ინვაზიური სახეობების გავრცელების მხრივ.	
მოდულირებული	შეცვლილი მდგომარეობის ჰაბიტატები არის ტერიტორიები, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს არამშობლიური წარმოშობის მცენარეთა და/ან ცხოველთა სახეობების დიდ ნაწილს და/ან სადაც ადამიანის აქტივობამ არსებითად შეცვალა ტერიტორიის პირველადი ეკოლოგიური ფუნქციები და სახეობების შემადგენლობა.	>0.25-0.5
დეგრადირებული	დეგრადირებული მდგომარეობა განისაზღვრება, როგორც ჰაბიტატის მნიშვნელოვანი გარდაქმნა ან დეგრადაცია, როგორცაა ჰაბიტატის მთლიანობის შეცვლა ან მკვეთრი დაქვეითება, რომელიც გამოწვეულია მიწის ან წყლის გამოყენების ძირითადი და/ან გრძელვადიანი ცვლილებით; ან (ii) მოდიფიკაცია, რომელიც არსებითად ამცირებს ჰაბიტატის უნარს შეინარჩუნოს მისი მშობლიური სახეობების სიცოცხლისუნარიანი პოპულაციები	0-0.25

ქვემოთ მოცემულია საკომპენსაციო კალკულაცია, რომელიც გათვლილია 30 წელზე (საკომპენსაციო პერიოდი) დროებით დაკარგული ტყის ჰაბიტატისთვის. ლიტერატურული მიმოხილვა ჩატარდა, რათა დაგვედგინა პერიოდი, რომელსაც საჭიროებს მცენარეთა ესა თუ ის სახეობა აღსადგენად. ეს პერიოდი განსხვავდება სხვადასხვა სახეობის ტყეებისთვის, კერძოდ წიწვოვანისა (ნამვი და ფიჭვი) და ფართოფოთლოვანი ტყისთვის (მუხა და აუხნავი). თუმცა ორივე მათგანისთვის განისაზღვრა საკომპენსაციო პერიოდი 30 წელი.

- 3.1.1.3.1.1.1 საბაზისო (Banchmark) ჰაბიტატის ჰექტრების გაანგარიშება: საკომპენსაციო ჰაბიტატის (Candidate Offset Habitat) მდგომარეობის ქულა (A1) x ჰაბიტატის ტიპის ფართობი (B1) = საკომპენსაციო ჰაბიტატის (Candidate Offset Habitat) ჰექტარი (W)
- 3.1.1.3.1.1.2 ჰაბიტატ ჰექტარის გაანგარიშება მოგებით (Gain) : საკომპენსაციო ჰაბიტატის კანდიდატის (Candidate Offset Habitat) მდგომარეობის ქულა (A1) + საკომპენსაციო ჰაბიტატის კანდიდატის მდგომარეობის ქულა (მოგება) (C1)] x ჰაბიტატის ტიპის ფართობი (B1) = ჰაბიტატ ჰექტარის ფართობი მოგებით (Gain) (X)
- 3.1.1.3.1.1.3 ჰაბიტატ ჰექტარის კალკულაცია: კანდიდატი საკომპენსაციო ჰაბიტატის მოგება (X) – კანდიდატი საკომპენსაციო საბაზისო ჰაბიტატის ჰექტარი (W) = კანდიდატი საკომპენსაციო ჰაბიტატის ჰექტარი (Y)

ჰაბიტატის მდგომარეობის (A1) და საკომპენსაციო მოგების (C1) ქულა მოცემულია ქვემოთ:

საკომპენსაციო მოგების ქულა გამოთვლილ იქნა იმაზე დაყრდნობით თუ რა დრო სჭირდება მცენარეს აღდგენისთვის. ამისთვის გამოყენებულ იქნა Parkes et al (2003) მეთიი ჰაბიტატის სწრაფ აღდგენასთან დაკავშირებით.

ბუნებრივი ჰაბიტატის შემთხვევაში, მოგების ქულა განისაზღვრა 0.003 (0.3%) ერთ წელიწადში, 0.03(3 %) 10 წელიწადში და 0.3 (30 %) 30 წელიწადში.

მოდულიზირებული ჰაბიტატის შემთხვევაში, მოგების ქულა დაახლოებით 0.004 (0.4%) 1 წელში; 0.04(4 %) 10 წელს და 0.4 (40 %) 30 წელში.

მოგების ქულა მოცემულია ქვემოთ ცხრილში 3.4.

ERM -მა ქულის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ნარგავების გახარების დაბალი ხარისხის არსებობა, ბუნებრივი ზემოქმედება და დაკარგული ბიომრავალფეროვნების ღირებულება.

მოგების შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს პრაქტიკაში და საჭიროებს მონიტორინგს იმის დასადგენად, არის თუ არა შეფასება ზუსტი. სადაც საჭიროა მოხდება დამატებითი მმართველი ღონისძიებების განხორციელება..

ცხრილი 3.4 წმინდა მოგების საკომპენსაციო (ოფსეტური) ქულა (C1)

არსებული ტერიტორიის მდგომარეობა	საბაზისო მდგომარეობის ღირებულება	მოგება 1 წელიწადში	მოგება 10 წელიწადში	მოგება 30 წელიწადში
ბუნებრივი	0.8	0.003	0.03	0.3
მოდულიზირებული	0.5	0.004	0.04	0.4
დეგრადირებული	0.25	0.005	0.05	0.5

ზემოთ არსებულ კალკულაციაზე დაყრდნობით მივიღეთ შემდეგი:

შუახვეი ჰესის პროექტისთვის ფართოფოტოლოვანი ტყის (დომინირებული მუხით და უხრავით) საკომპენსაციო წმინდა მოგების ქულად, ბუნებრივი ჰაბიტატის სანაცვლოდ შემოთავაზებულია 0.3 (30 %), ხოლო მოდიფიცირებული ჰაბიტატისთვის 0.8. ჰაბიტატის კატეგორიზაცია მომდინარებს შუახვეი ჰესის მშენებლობის ფაზის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმიდან (Mot MacDonald, 2016), რომელიც ჰაბიტატის ამ ტიპს მაღალ საკონსერვაციო ღირებულებას ანიჭებს.

საკომპენსაციო წმინდა მოგების ქულად შემოთავაზებულია 0.4 (40 %) შერეული ფართოფოტოლოვანი და შერეული ფართოფოტოლოვანი და წიწვოვანი ბუნებრივი ტყისთვის, ხოლო ზემოქმედების ქვეშ არსებული მოდიფიცირებული იგივე ჰაბიტატისთვის 0.6 . ჰაბიტატის კატეგორიზაციისას გამოყენებულ იქნა მშენებლობის ფაზის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (Mot MacDonald, 2016), რომელიც ამ ჰაბიტატს მიიჩნევს, როგორც საშუალო კონსერვაციული ღირებულების.

საკომპენსაციო ფასდაკლება (offset discount) გამოყენებულია იმ დაშვებით, რომ პროექტის გამო გაწმენდილი მცენარეული საფარი იქნება მოდიფიცირებულ ან ბუნებრივ მდგომარეობაში. ნახსენები ფასდაკლების (offset discount) მეთოდის მიხედვით ნაგარაუდებია, რომ შერეული ფართოფოტოლოვანი და შერეული ფართოფოტოლოვანი და წიწვოვანი ტყისთვის (მოდულიზირებული ჰაბიტატი) და ფართოფოტოლოვანი ტყისთვის დომინირებული მუხით ან/და უხრავით, ჰაბიტატის მდგომარეობით 0.6 და 0.8.

საკომპენსაციო დისკაუნტის (Discount offset) მეთოდის საფუძველზე დაკარგული ჰაბიტატი აღდგება და მიაღწევს წმინდა მოგებას 0.4 (40 %) მოდიფიცირებული ჰაბიტატისთვის, ხოლო 0.3 (30%) ბუნებრივი ჰაბიტატისთვის 30 წლიან პერიოდში.

ცხრილი 3.5 მოცემულია საკომპენსაციო (ოფსეტური) დისკაუნტის ტერიტორიები

ცხრილი 3.5 საკომპენსაციო დისკაუნტი (Discounts for Offset)

მცენარეთა ტიპები	გაწმენდილი ტერიტორია (B) ჰა (მოიცავს კასკადს და ელექტროგადამცემ ხაზას)	ჰაბიტატის მდგომარეობა (A1)	მოგება (C1)	საკომპენსაციო დისკაუნტი (Discounted Offset) (A1XB)-(BxC1) ha
შერეული ფოთლოვანი ტყე	3.94	0.6	0.4	0.79
შერეული ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყე	3.86	0.6	0.4	0.78
ფართოფოთლოვანი ტყე დომინირებული მუხით ან/და უხრავით	16.15	0.8	0.3	7.93
სულ	23.95			9.49

საკომპენსაციო ფართობი სრულად შეადგეს 30 ჰა (10 ჰა მოდიფიცირებული და 20 ჰა ბუნებრივი ჰაბიტატი). ტერიტორია შერჩეულია, მასში შედის საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწები და მთავრობასთან შეთანხმებით, სსიპ ველური ბუნების სააგენტოს მიერ საკომპენსაციო შეთანხმების საფუძველზე დასარგავი ტერიტორიები.

საკომპენსაციო (ოფსეტური) ჰექტარი გამოთვლილია ცხრილი 3.6

ცხრილი 3.6 საკომპენსაციო (Offset) ჰაბიტატ ჰექტარი

ჰაბიტატის ტიპი	მდგომარეობის ქულა (A1)	წმინდა მოგების საკომპენსაციო (Offset) ქულა (C1) 30 წელი	ჰაბიტატის ტიპის ფართობი (B1)	ჰაბიტატ ჰექტრის საკომპენსაციო ფართობი (W)	ჰაბიტატ ჰექტრის წმინდა მოგების ღირებულება (X)	კანდიდატი ჰაბიტატ-ჰექტრის საკომპენსაციო ღირებულება (Y)
ბუნებრივი	0.8	0.3	20	16	22	6

მოდული	0.6	0.4	10	6	10	4
სულ			30	22	32	10

საკომპენსაციო ჰაბიტატ ჰექტრის ღირებულება აჭარბებს დისკონტურ ღირებულებას (discounted value) 0.51 ჰექტრით (10-9.49) და შესაბამისად წმინდა მოგება მიღწეულია.

შესაბამისად, ვინაიდან სრულად დაიკარგა 23.65 ჰექტარი შუახევი ჰესის კასკადის მშენებლობის შედეგად და 0.3 ჰექტარი 35 კვ-იანი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის შედეგად, უნდა დაირგოს 30 ჰექტარი ბიომრავალფეროვნების წმინდა მოგების მისაღწევად.

საკომპენსაციო დაგეგმვით მისაღწევი მიზანი და ამჟამინდელი სტატუსი მოყვანილია ქვემოთ ცხრილში 3.7.

ცხრილი 3-7 შუახევის ჰესისა და 35 კვ. ძაბვის გადამცემი ხაზის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული და ოფსეტური (საკომპენსაციო) ტერიტორიები

ჰაბიტატის სახეობა	ჰაბიტატის სახეობა	ზემოქმედების ქვეშ არსებული ტერიტორია (ჰა)	ჰაბიტატ-ჰექტარის ოფსეტური ღირებულება	არსადგენი ტერიტორიის მოცულობა (ჰა)	ამ ეტაპისთვის აღდგენილი ტერიტორია (ჰა)	დარჩენილი აღსადგენი ტერიტორია (ჰა)
მოდული ირეზული	შერეული ფოთლოვანი ტყე	3.94	4	10	4.25 - სოფ.აკობიძე ხულოს მუნიციპალიტეტში და სოფ. ვაშლოვანი შუახევის მუნიციპალიტეტში	1.65
	შერეული ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყე	3.86			4.1 -სოფ. ზამლეთი, ხულოს მუნიციპალიტეტში. სოფელი დიდსავარდია და ჯაბნიძეები, შუახევის მუნიციპალიტეტში	
ბუნებრივი	ფოთლოვანი ტყე დომინირებული მუხითან/და უხრავით	16.15	6	20	9.8 დარგულია წაბლანასა და ნიგაზეულში, ხულოს მუნიციპალიტეტი 9.5 ჰა აღდგება სსიპ ველური ბუნების სააგენტოს მიერ 2021 წელს შპს აჭარისწყალი ჯორჯიასა, სსიპ სატყეო სააგენტოსა	0.7

					და სსიპ ველური ბუნების სააგენტოს შორის გაფორმებულ კონტრაქტის შესაბამისად. მდებარეობა: შუახევსა და ხულოს მუნიციპალიტეტები	
	სულ	23.95	10	30	27.85	2.15

დარჩენილი ტერიტორიების აღდგენა მოხდება 2021 წლის გააფხულზე და შემოდგომაზე. ტერიტორიები შერჩეულია.

აქტივობა B 2.1: წმინდა მოგების მიღწევა წითელი ნუსხისა სახეობებისა და იმ ჰაბიტატის კონკრეტული სახეობის დარგვით, რომლებიც დეგრადირდნენ ან დაიკარგნენ პროექტის ზემოქმედების შედეგად.

შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია	ავილება	შემცირება	გამოსწორება	საკომპენსაციო ღონისძიებება	დამატებითი აქტივობა
--------------------------------------	---------	-----------	-------------	----------------------------	---------------------

გრაფიკი: დარგვები დაიწყება მას შემდეგ რაც მთავრობასთან შეთანხმდება დასარგავი ფართობები და დაიწერება სტრატეგია. 5 წლის განმავლობაში მოხდება ტერიტორიის მოვლა-პატრონობა და ინვაზიური სახეობებიდან გაწმენდა. მონიტორინგი ჩატარდება მე-4 თავში გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები: ECM და ბოტანიკოსი.

როგორც 2.9.1 და 2.9.2 ქვეთავებშია ნახსენები დისკრეტული მართვის ერთეულში (DMU) არსებობენ სხვა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული და ენდემური სახეობები აჭარის რეგიონისთვის. შესაბამისად, მშენებლობისა და ოპერირების ფაზის საქმიანობამ შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ამ სახეობებზე. საჭიროა მონიტორინგი და შემცირების დაფიქსირების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება.

აქტივობა B 2.3: საქართველოს საფრთხის წინაშე მყოფი და ენდემური მცენარეების პოპულაციების დაცვა საკვლევ ტერიტორიაზე

შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია	თავის არიდება	შემცირება/შე რბილება	გამოსწორება	საკომპენსაციო ღონისძიებება	დამატებითი აქტივობა
--------------------------------------	---------------	----------------------	-------------	----------------------------	---------------------

გრაფიკი: შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება 2017 წლიდან; მე-4 თავის შესაბამისად მონიტორინგი განხორციელდება 10 წლის განმავლობაში. განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები: ECM და ბოტანიკოსი.

წყლის ჰაბიტატები

წყალსაცავი ფარავს დაახლოებით 39.1 ჰა (Mott MacDonald (2012b)). მასში შედის მდინარის მონაკვეთები ბუნებრივი ჰაბიტატი:

- დიდაჭარის რეზერვუარი: 2.44 კმ
- სხალთის რეზერვუარი: 3.27 კმ
- ჩირუხის რეზერვუარი: 0.47 კმ

დატბორვა გადააქცევს ლოტიკურ ჰაბიტატებს ტბის ჰაბიტად, რითაც გავლენას მოახდენს სახეობებზე, რომლებიც ბუნებრივად ლოტიკურ ჰაბიტატში ბინადრობდნენ.

2014-2019 წლებში თევზის სახეობათა სიუხვის მაჩვენებელი დიდაჭარის, ჩირუხის და სხალთის კაშლების ზედა ბიეფში მოცემულია ქვემოთ. შედეგების სრულის სურათი კი მოცემული დანართი B-ში

1. *Salmo trutta* (მდინარის კალმახი) -საერთო სურათი უცვლელია როგორც ზედა ასევე ქვედა ბიეფში.
2. *Luciobarbus escherichii*- დიდაჭარის კაშლის ქვედა ბიეფში შემცირება შეინიშნება 2014 წლიდან, მაგრამ ცვლილება არ დაფიქსირებულა ჩირუხში და არ დაფიქსირებულა სხალთის ზედა ბიეფში.

3. *Alburnoides fasciatus*, *Oxynoemacheilus angorae* და *Luciobarbus escherichii* - დაფიქსირდა 2014 წელს ზედა ბიეფში.

დიდაჭარის კაშლის მონიტორინგის შედეგები გვამცხედს ინფორმაციას იმის შესახებ თუ თევზის რა სახეობების ფიქსირდებოდა 2013 წელს, კაშლის მშენებლობის დაწყებამდე. მცირედენი კლება რაც დაფიქსირდა მონიტორინგის შედეგად, ნაკლებად სავარაუდოა უკავშირდებოდეს პროექტის ზეგავლენას. და თუ ეს ასეა მაშინ კლება უნდა გაგრძელდეს შემდეგ წლებში, ოპერირების ფაზაზე, რასაც გამოავლენს მონიტორინგის შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ მდინარის კალმახის კლება მდინარის ზედა ბიეფში არ დაფიქსირებულა, ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია დატბორვას აქვს თუ არა გავლენა დატბორილ მონაკვეთებზე. თუმცა, კალმახის ეს სახეობა წარმატებით ბინადრონს ტბებში (Ortlepp and Murle, 2003) და შესაბამისად სავარაუდოა, რომ გავლენის შეთხვევაშიც ეს სახეობა ადვილად აღდგება ცალკეული ინდივიდების ზემო წელში კოლონიზაციის გზით. მდინარის კალმახზე ნებისმიერი ნარჩენი ზემოქმედება კომპენსირდება მდინარეში კალმახის ლიფსიტების ჩასმის პროგრამით (დათევზიანებით).

დანარჩენ 4 სახეობაზე, ვვარაუდონთ რომ ბუნებრივი ჰაბიტატის დაკარგვას, ვინაიდან ამ სახეობებმა საარსებო ჰაბიტატი უნდა შეიცვალონ - ლოტიკურიდან ტბის ჰაბიტატი. IFC PS 6 (2019) სტანდარტის რეკომენდაციით, ბუნებრივი ჰაბიტატის შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიების მიზანი უნდა იყოს ნულოვანი დანაკარგი. შესაბამისად, განსახორციელებელი აქტივობები უნდა მოიცავდეს: Appropriate actions include:

- ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თავიდან აცილება მნიშვნელოვანი საიტების (set-asides) იდენტიფიკაციითა და დაცვით;
- ჰაბიტატის ფრაგმენტაციის ხელშეშლა, ეგრეთწოდებული „დერეფნების“ მოწყობა;
- ჰაბიტატის აღდგენა მშენებლობის პროცესში ან/და ოპერირების ფაზაზე.
- ბიომრავალფეროვნების საკომპენსაციო ღონისძიებება ს განხორციელება.

ძალიან რთული და შეუძლებელიც კი ბუნებრივი წყლის ჰაბიტატების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის გზით.

თუმცა როგორც ქვემოთ 3.1.6 ქვეთავებშია აღწერილი გარკვეული დამატებითი ღონისძიებების განხორციელება იქნება საჭირო დიდაჭარის კაშხალის ახლოს ქვედა ბიეფში. ეს აქტივობა ასევე მოახდენს ლოტიკური ჰაბიტატის კომპენსაციას.

თევზის სიმრავლის (სიუხვის) მონიტორინგი გაგრძელდება ოპერირების ფაზაზე და ნებისმიერი სახეობის შემცირების შემთხვევაში გამოყენებული იქნება ადაპტური მენეჯმენტის ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ მდინარის კალმახის კომპენსაცია ლიფსიტების ჩასმის გზით გათვალისწინებული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვით, სხვა სახეობების კომპენსაციაც განხორციელება ლიფსიტების ჩასმის (რესტორაციის) გზით.

გარდა ამისა, როგორც 3.2 ქვეთავშია აღწერილი, ეკოლოგიური ხარჯით და პიკური მოდინებით (შუახვევი ჰესის ქვემოთ) გამოწვეული ნებისმიერი ზემოქმედება იდენტიფიცირებული იქნება და ადაპტური მენეჯმენტი გამოყენებული იქნება კვალიფიციური იქთიოლოგის რეკომენდაციით.

3.1.2 უცხო ინვაზიური სახეობების მართვა

უცხო ინვაზიური სახეობები (AIS) მეორე უდიდესი საფრთხეა გლობალური ბიომრავალფეროვნებისთვის ჰაბიტატის განადგურების შემდეგ. უცხო სახეობების შემოჭრის ალბათობა უფრო მაღალია იმ ჰაბიტატებში, რომლებიც შეცვლილია და დარღვეულია, მაგალითად, მშენებლობის დროს. ინვაზიურ სახეობებს აქვთ შემდეგი მახასიათებლები:

- სწრაფი ზრდა
- სწრაფი გამრავლება
- მაღალი დისპერსიის უნარი
- შესაძლებლობა შეიცვალოს ზრდის ფორმა არსებული მდგომარეობის შესაბამისად
- მაღალი ტოლერანტობა ფართო სპექტრის გარემო პირობების მიმართ
- ფართო სპექტრის საკვების მიმართ ტოლერანტობა
- საოციაცია ადამიანებთან

პროექტის ობიექტებზე დაფიქსირებულია AIS, *Ambrosia artemisiifolia* (Ragweed) და *Robinia pseudacacia* (შავი კალია), რომლებიც არის საქართველოში ინვაზიურად აღიარებული (ქიქოძე და სხვ., 2009). თუმცა, ეს სახეობები არ შედის მსოფლიოში აღიარებულ 100 ყველაზე უარეს ინვაზიურ უცხო სახეობაში (Lowe et al., 2000; Weber, 2003).

2013-2019 წლებში ინვაზიური სახეობების მონიტორინგის შედეგები გამოიყურება შემდეგნაირად:

2019 წლის აგვისტოში დაფიქსირდა ინვაზიური სახეობების ერთეული ან ჯგუფური გავრცელება ქვემოთ მოცემულ ტერიტორიებზე:

1. ხიჭაური, კონტრაქტორის სამშენებლო ბანაკის ტერიტორია (*Ambrosia artemisiifolia*)
2. ახალდაბა 2 - ფუჭი ქანების სანაყარო (*Ambrosia artemisiifolia*)
3. შუახვევის სადაწნეო გვირაბის ტერიტორია (*Robinia pseudoacacia*)
4. შუახვევი, სანაყარო N 7 (*Robinia pseudoacacia*)
5. ჩანჩხალო გზისა და გვირაბის შესასვლელის ტერიტორია (*Ambrosia artemisiifolia*)
6. ნიგაზელის ფუჭი ქანების სანაყარო 4B (*Ambrosia artemisiifolia*)
7. ვაშლოვანის ფუჭი ქანების სანაყარო N 4 (*Robinia pseudoacacia* and *Ambrosia artemisiifolia*)
8. პაქსაძეების კემპის ტერიტორია (*Ambrosia artemisiifolia*)

2019 წლის აგვისტოში ფართო გავრცელება დაფიქსირდა შემდეგ ტერიტორიებზე:

1. საბურხევი, ფუჭი ქანების სანაყარო 6 (*Ambrosia artemisiifolia*).
2. პაქსაძეები, ფუჭი ქანების სანაყარო (*Ambrosia artemisiifolia*)
3. შუახევი ჰესის ტერიტორია (*Robinia pseudoacacia*)
4. ნიგაზული, ფუჭი ქანების სანაყარო 4A (*Ambrosia artemisiifolia*).
5. დიდაჭარა, ფუჭი ქანების სანაყარო 3 (*Robinia pseudoacacia* and *Ambrosia artemisiifolia*)

2019 წელს ეს ტერიტორიები გაიწმინდა ინვაზიური სახეობებისაგან.

2020 წლის სექტემბერში ინვაზიურები დაფიქსირდა მხოლოდ შემდეგ ტერიტორიებზე:

1. შუახევი ჰესი (*Robinia pseudoacacia* and *Ambrosia artemisiifolia*)
2. საბურხევი, ფუჭი ქანების სანაყარო 6 (*Ambrosia artemisiifolia*)
3. დიდაჭარა ფუჭი ქანების სანაყარო 3 (*Ambrosia artemisiifolia*).

აუცილებელია აღინიშნოს რომ ყველა ის საიტი, სადაც გავრცელდა ინვაზიური სახეობები გარშემორტყმულია ბუნებრივი ჰაბიტატით, რომელშიც გვხვდება 2 სახის ინვაზიური სახეობა. ამ მოცემულობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით რთულია იმის თქმა, რომ ინვაზიური სახეობების ამ საიტებზე გავრცელდა პროექტის განხორციელების გამო მოხდა. მიუხედავად ამისა, რამოდენიმე ღონისძიება იქნა შეტავაზებული ინვაზიური სახეობების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

ინვაზიური სახეობების შემთხვევითი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები გათვალისწინებულია IFC PS6 (IFC, 2012a) და EBRD PR6 (EBRD, 2008) სტანდარტებით. IFC PS6 (IFC, 2012a) სტანდარტი ინვაზიურ სახეობებთან დაკავშირებით მოიცავს შემდეგ მოთხოვნებს:

- არ უნდა მოხდეს AIS-ს განზრახ შემოტანა თუ ეს არ არის კანონმდებლობით დარეგულირებული
- არ უნდა მოხდეს განზრახ AIS-ის შემოტანა საკანონმდებლო რეგულაციების მიერ ამის დაშვების მიუხედავად
- AIS -ს შემოტანა (მაგალითად დარგების და ტყის გაშენების დროს მისი გამოყენება) უნდა იყოს რისკების შეფასების ნაწილში
- ნდა განხორციელდეს ღონისძიებები ინვაზიური სახეობების შემოტანისა და გავრცელების თავიდან აცილების მიზნით (იხ. ქვემოთ)
- ინვაზიური სახეობებისაგან იმ ტერიტორიების გაწმენდის ღონისძიებები, რომელზედაც კლიენტს აქვს მართვის განხორციელების უფლება (ხელი მიუწვდება).

ამ ქმედებების ეფექტურობის მონიტორინგი განხორციელდება ექსპლუატაციის ფაზაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი გავრცელებით ადგილობრივ მცენარეებზე ზემოქმედება.

მონიტორინგის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა, რომ გაკონტროლდეს უკვე იდენტიფიცირებული ინდივიდუალური ან ჯგუფურად არსებული ინვაზიური მცენარეების ფართო გავრცელება/გამრავლება.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ტერიტორიაზე ხდება ინვაზიური სახეობების ბუნებრივად გავრცელება ზემოქმედების ადგილების გარეთ. თუ ინვაზიური სახეობები გავრცელდება ზემოქმედების ქვეს არსებულ საიტებზე ამავე მიზეზით, მაშინ ამაზე პასუხისმგებლობას და კონტროლს ვერ აიღებს AGL -ი.

მონიტორინგმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ინვაზიური სახეობების გავრცელება არ მოხდეს იმ ზემოქმედების ქვეს არსებულ ტერიტორიებზე, რომელზედაც არ შეინიშნებოდა ინვაზიური სახეობების გავრცელება, როგორც ზემოქმედების ქვეს მყოფ ტერიტორიაზე ასევე მის მიმდებარედ.

აქტივობა B 1.7 : ინვაზიური სახეობების გავრცელება მშენებლობის ფაზაზე, იქ სადაც გავრცელება მოხდა პროექტის ზეგავლენით და არა ბუნებრივად

შემარბილებელი იერარქია	აცილება	შემცირება	აღდგენა	საკომპენსაციო ღონისძიებება	დამატებითი აქტივობა
------------------------	---------	-----------	---------	----------------------------	---------------------

გრაფიკი: მონიტორინგი განხორციელდება თავი 4-ის შესაბამისად.
აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი : ECM და ბოტანიკოსი.

3.1.3 ჰაბიტატის დროებითი დაკარგვა მშენებლობის ფაზაზე

მშენებლობით გამოწვეული დროებით დაზიანებული ბუნებრივი ჰაბიტატის აღდგენის ღონისძიება მიმდინარეობს მშენებლობის დასრულებიდან. მცირე უტყეო ადგილებში, ნაყოფიერი ფენის მოყრის შემდგომ ცენარეული საფარი თავისით განვითარდება (რამოდენიმე წლის შემდგომ). საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება თესლის ბანკი.

ტერიტორიის აღდგენისას ქვემოთ მოყვანილი პროტოკოლი იქნება გამოყენებული.

ნაყოფიერი ფენით აღდგება ყველა დროებითი სამშენებლო მოედანი, მათ შორი 2 მუშათა ბანაკის ტერიტორია უკვე რეაბილიტირებულია და დანარჩენი 2-ის რეაბილიტაცია განხორციელდება მომავალ წლებში.

აქტივობა B 1.5: ჰაბიტატის/ნაყოფიერი ფენის მოხნის და აღდგენის გეგმა (HRRP) განხორციელდება საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ზემოქმედების შესამცირებლად

შემარბილებელი	აცილება	შემცირება	აღდგენა/გამოსწორება	საკომპენსაციო ღონისძიებება	დამატებითი აქტივობა
---------------	---------	-----------	---------------------	----------------------------	---------------------

გრაფიკი: იმპლემენტაცია მშენებლობისას და მშენებლობის დასრულების შემდგომ. მონიტორინგი განხორციელდება მე-4 თავის შესაბამისად.
განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/კომპანია : EPC კონტრაქტორი

3.1.4 პრიორიტეტული სახეობების და მათი ჰაბიტატის მონიტორინგი, მშენებლობის ფაზის ზეგავლენა

საკვლევ ტერიტორიაზე, საკონსერვაციო მნიშვნელობის მქონე ფაუნის სახეობებზე ზემოქმედება შესაძლებელია შემდეგნაირად შეჯამდეს:

- კავკასიური სალამანდრა ბინადრობს ტყის ჰაბიტატში, მაღალ ნიშნულზე, ძირითადად ჩირუხისწყლის მიდამოებში. ბიორავალფეროვნების მონიტორინგმა აჩვენა, რომ მისასვლელი გზებით და მშენებლობით გამოწვეულ ჰაბიტატის დეგრადაციას არ მოუხდენია გავლენა ამ სახეობაზე (**იხ. თავი 3.1.5 და დანართი B**)
- მიუხედავად იმისა, რომ საკვლევ ტერიტორიის ზეგავლენის არეალში ფრინველთა სახეობრივი მრავალფეროვნება მაღალია, საკონსერვაციო ღირებულების ფრინველების მხოლოდ რამდენიმე სახეობა გვხვდება ველის კაკაჩი სავარაუდოდ საკვების მოძიების მიზნით მიგრირებს საკვლევ ტერიტორიაზე და შესაძლებელია მასზე ზემოქმედება ჰქონოდა გაძლიერებულ ნადირობას და

ჰაბიტატის დაკარგვას. ეს სახეობა ფისქირდებოდა ყოველ წელს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დროს (**დანართი B**)

- ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*) დაფიქსირდა დიდაჭრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფელ კორტოხთან კლდეზე (GPS მონაცემები N 41.648460 E 42.378370) მხოლოდ 2013 წელს, გამრავლების სეზონზე. ეს სახეობა აღარ დაფიქსირებულა შემდეგ წლებში, მაგრამ რთულია დააკავშირო ეს ფაქტი მშენებლობის ფაზასთან (**დანართი B**).

ჩია ღამურის (*Athene noctua*) გამრავლება ხდება საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ არსებულ ტყის ჰაბიტატში. შესაბამისად, შესაძლებელია ჰაბიტატის დაკარგვას, რაც უკავშირდება მისასვლელი გზების გაყვანასა და სამშენებლო სამუშაოებს, ხმაურს და საზუდარი ადგილების დაკარგვას, ნეგატიური გავლენა მოეხდინა ამ სახეობაზე. ჩია ღამურა საშუალო კონსერვაციული ღირებულების სახეობაა (საქართველოს წითელ წიგნში არსებული სტატუსის გამო). ეს სახეობა არ დაფიქსირებულა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დროს.

- გარეული კატა, გარეული ღორი, მელა, ტურა და მურა დათვი ბინადრობს საკვლევ ტერიტორიაზე. მშენებლობის ფაზაზე ამ სახეობებზე ზემოქმედების რისკები არსებობდა ნადირობის, დროებითი ჰაბიტატის დაკარგვისა და შეწუხების გამო (ხმაური). მიუხედავდ იმისა, რომ ტურის რაოდენობა გაიზარდა დიდაჭარაში, სხვა სახეობებთან მიმართებაში არც ზრდა და არც კლება არ დაფიქსირებულა (**Annexe B**).

- 11 სახეობის ღამურა დაფიქსირდა საკვლევ ტერიტორიაზე. სავარაუდოდ მშენებლობის ფაზაზე მათზე იქნებოდა გავლენა სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ხმაურით და განათებით, ხეების ჭრით, მისასვლელი გზების გაყვანით და გამოყენებით. ინფორმაცია ღამურის ფულუროების შესახებ არ არსებობს, თუმცა სავარაუდოა, რომ გარკვეული რაოდენობა ფულუროებისა ხეების ჭრის შედეგად დაიკარგებოდა. მშენებლობის ფაზის მონიტორინგის შედეგებმა ცვლილება, როგორც სახეობრივ ასევე რიცხოვნობრივ მრავალფეროვნებაში არ აჩვენა. (**Annexe B**).

- ევრაზიულ წავს გააჩნია მაღალი კონსერვაციული ღირებულება. სავარაუდოა, რომ მშენებლობის ფაზაზე მათზე გავლენას იქონიებდა სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული ხმაური, მდინარეში ნატანის გაშვება, ჰაბიტატის დაკარგვა და მდინარეში საქმიანობით შექმნილი ეკოლოგიური ბარიერები. არაპირდაპირი მტკიცებულებები, როგორცაა ნაკვალევი და ბილიკები იდენტიფიცირებულია 2016 წლიდან. 2016, 2017 და 2018 წლებში მე-13 და მე-14 საკვლევ უბნებზე იდენტიფიცირებულმა არაპირდაპირმა ნიშნებმა დაგვარწმუნა, რომ ეს სახეობა არ შემცირებულია (**დანართი B**).

მშენებლობის ფაზაზე შემოთავაზებული აქტივობების ეფექტურობის მონიტორინგის მიზნით, საჭიროა მონიტორინგი გაგრძელდეს ოპეროების ფაზაზე შემდეგი ტაქსონის მიხედვით:

ფრინველები


პროექტის ფარგლებში დაიკარგა 23.65 ჰექტარი ტყის ჰაბიტატი, რომელიც წარმოადგენდა შესაფერის ჰაბიტატს მოზუდარი ფრინველებისთვის. საკომპენსაციო ტყის გაშენება განხორციელდა B 2.1 აქტივობის შესაბამისად. დამატებით, დაკარგული ჰაბიტატის კომპენსაციის მიზნით დამონტაჟდა ხელოვნური ბუდეები. 100 ცალამდე ფრინველთა ხელოვნური თავშესაფარი დაყენდა საკვლევ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით პროექტის სიახლოვეს.

2016 წელს AGL-მა ფინანსური და ლოჯისტიკური დახმარება გაუწია შესაბამის სპეციალისტებს ფრინველთა ხელოვნური თავშესაფრების დამონტაჟებისთვის. იგივე სპეციალისტები 5 წლის

განმავლობაში ახორციელებდნენ აღნიშნული თავშესაფრების მოვლა-პატრონობასა და მონიტორინგს. იგივე სპეციალისტების მიერ მოხდა ხელოვნური თავშესაფრის ადგილების იდენტიფიკაცია.

სქემა 3-1 ცხრილში მოცემულია ფრინველთა თავშესაფრების მონიტორინგის შედეგები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმატებული ბუდობის (ხელოვნური თავშესაფრის ათვისების) პროცენტულობა გაიზარდა 2017, 2018 და 2019 წლებში. ცარიელი თავშესაფრების რაოდენობაც შემცირდა, ხოლო თავშესაფრის დაკავების მცდელობის სიხშირე შეიცვალა. მონიტორინგი უნდა გაგრძელდეს ოპერირების ფაზაზე აქტივობის ეფექტურობის შესაფასებლად.

სქემა 3-1 ფრინველთა ხელოვნური თავშესაფრის მონიტორინგის შედეგები



ხელოვნური თავშესაფრები გათვლილია წითელი ნუსხის ბელურისებრთა ფრინველებისთვის (*Athene noctua*), ბუკიოტისა (*Aegolius funereus*; Annex 1 EBDRD) და ჩვეულებრივი კოჭობასთვის (*Carpodacus erythrinus*, ბერნის კონვენციის დანართი II).

აქტივობა E 2.1: ხელოვნური თავშესაფრების მოწყობა პრიორიტეტული ფრინველთა სახეობებისთვის - 100 ხელოვნური თავშესაფარი დამონტაჟდა 2017 წელს

შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია	თავიდან აცილება	შემცირება	აღმოფხვრა	საკომპენსაციო ღონისძიებება	დამატებითი აქტივობა
--------------------------------------	-----------------	-----------	-----------	----------------------------	---------------------

გრაფიკი: მონიტორინგი გახორციელდება თავი 4-ის შესაბამისად.
განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი : ECM და ორნიტოლოგი

გარდა ხელოვნური ბუდეების შექმნისა, ასევე საჭირო იყო მონიტორინგის გაგრძელება ოპერირების ფაზაზე, რათა გამოვლენილ იქნას მოზუდარ და რეზიდენტი ფრინველების სიხშირესა და სახეობათა მრავალფეროვნებაზე გრძელვადიანი ზემოქმედება. ამისათვის შემდეგი აქტივობები იქნა შეთავაზებული.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგმა აჩვენა, რომ ფრინველთა შემდეგ სახეობებთან დაკავშირებით - Accipitriformes, Piciformes and Passeriformes (იხ. დანართი B) არ გამოვლენილა სიხშირისა და მრავალფეროვნების კლება სამონიტორინგო საიტებზე.

აქტივობა E 2.2 : ფრინველთა ყოველწლიური მონიტორინგი ოპერირების ფაზაზე

შემარბილებელი ლონისძიებების იერარქია	აცილება	შემცირება	გამოსწორება	საკომპენსაციო ლონისძიებება	დამატებითი აქტივობები
--	---------	-----------	-------------	-------------------------------	--------------------------

გრაფიკი: მონიტორინგი განხორციელდება მე-4 თავის შესაბამისად. ინდიკატორები, ლოკაცია და მონიტორინგის სიხშირე განხორციელდება მე-4 თავის შესაბამისად.
განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი: ECM და ორნიტოლოგი

ოპერირების ფაზის თანამშრომლები ვალდებული იქნებიან შეასრულონ ქვეყის კოდექსის მოთხოვნები. ნადირობისა და ბრაკონიერების აკრძალვასთან დაკავშირებით საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების იქნა დაგეგმილი. ინფორმაციის მიწოდება თანამშრომლებისთვის მოხდება რეგულარულ HSE და საინფორმაციო შეხვედრებზე. გამაფრთხილებელი ნიშნები ნადირობის აკრძალვის შესახებ დამონტაჟებულია ყველა სამშენებლო ობიექტთან და მუშათა ბანაკთან.

აქტივობა E 1.3 : ნადირობისა და ბრაკონიერების აკრძალვა AGL-ის თანამშრომლებისთვის საკვლევ ტერიტორიაზე

შემარბილებელი ლონისძიებების იერარქია	აცილება	შემცირება	გამოსწორება	საკომპენსაციო ლონისძიებება	დამატებითი აქტივობები
--	---------	-----------	-------------	-------------------------------	--------------------------

გრაფიკი: მონიტორინგი განხორციელოდება მე-4 თავის შესაბამისად. ინდიკატორები, ლოკაცია და მონიტორინგის სიხშირე განხორციელდება მე-4 თავის შესაბამისად.
განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სააგენტო: AGL-ის დაცვის სამსახური

ბუბუმწოვრები და ქვეწარმავლები

ოპერირების ფაზის თანამშრომლები ვალდებული იქნებიან შეასრულონ ქვეყის კოდექსის მოთხოვნები. ნადირობისა და ბრაკონიერების აკრძალვასთან დაკავშირებით საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების იქნა დაგეგმილი. ინფორმაციის მიწოდება თანამშრომლებისთვის მოხდება რეგულარულ HSE და საინფორმაციო შეხვედრებზე. გამაფრთხილებელი ნიშნები ნადირობის აკრძალვის შესახებ დამონტაჟებულია ყველა სამშენებლო ობიექტთან და მუშათა ბანაკთან.

აქტივობა D 1.4: ნადირობისა და ბრაკონიერების აკრძალვა AGL-ის თანამშრომლებისთვის საკვლევ ტერიტორიაზე

შემარბილებელი ლონისძიებების იერარქია	აცილება	შემცირება	გამოსწორება	საკომპენსაციო ლონისძიებება	დამატებითი ლონისძიებები
--	---------	-----------	-------------	-------------------------------	----------------------------


გრაფიკი: მონიტორინგი განხორციელდება მე-4 თავის შესაბამისად. ინდიკატორები, ლოკაცია და მონიტორინგის სიხშირე განხორციელდება მე-4 თავის შესაბამისად.

განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სააგენტო: AGL-ის დაცვის სამსახური

ხელოვნების (დამურების) საბუდარი ადგილების საკომპენსაციოდ, AGL- მა გაუწია ფინანსური დახმარება სპეციალისტებს, რომლებმაც დამონტაჟეს 100 ცალი დამურის ბუდე პროექტის სიახლოვეს.. დამურის ბუდეების მონიტორინგი და მოვლა-პატრონობა ხდება იგივე საკონსულტაციო კომპანიის მიერ ოპერირების ფაზაზე.

ცხრილი 3.2 გვიჩვენებს დამურის ბუდეების მიერ ხელოვნური თავშესაფრის გამოყენებას 2017-2018 წლებში

სქემა 3-2 დამურის ხელოვნური თავშესაფრის მონიტორინგის შედეგები



2017 წელს ხელოვნური თავშესაფრის 6.4 % იქნა გამოყენებული, 2018 წელს 17.4 %. ფიქსირდება მნიშვნელოვანი ზრდა და შესაბამისად ეს აქტივობა ითვლება კარგ შემარბილებელ ღონისძიებად.

აქტივობა D 2.1: ხელოვნური თავშესაფრის (ბუდეების) მოწყობა პრიორიტეტული დამურის სახეობებისთვის

მიზანი: 100 -მდე თავშესაფრის (დამურის ბუდეების) დამონტაჟება

შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია	აცილება	შერბილება	გამოსწორება/ აღმოფხვრა	ოფსეტი	დამატებითი ღონისძიებები
--------------------------------------	---------	-----------	------------------------	--------	-------------------------

გრაფიკი: მონიტორინგი გაგრძელდება მე-4 თავის შესაბამისად. მონიტორინგის ინდიკატორები, ლოკაცია და გრაფიკი გაწერილია მე-4 თავში. განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი: ECM და დამურების სპეციალისტი.

აქტივობა D2.1 გაგრძელდება ოპერირების ფაზაზე შემარბილებელი ღონისძიების ეფექტურობის შესაფასებლად

საფრთხის წინაშე მყოფი ძუძუმწოვრების და ქვეწარმავალთა სახეობების და მათი კლების ტენდენციის გამო, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს კვლევა საკვლევ ტერიტორიაზე მათი გავრცელებისა და ეკოლოგიის შესასწავლად. ასევე იმის დასადგენად ჰქონდა თუ არა რაიმე სახის გავლენა ამ სახეობებზე მშენებლობის და ოპერირების ფაზას.

ეს კვლევა ფოკუსირებულია დაცული ან საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების გავრცელების, გამრავლებისა და პოპულაციის დროებით და სივრცულ ტენდენციებზე. კვლევა გულისხმობს კამერა ხაფანგების და ცოცხალი ხაფანგების გამოყენებას წვრილი მუძუმწოვრებისთვის. კამერას და ლაივ ხაფანგებს ამონტაჟებენ და ამოწმებენ მონიტორინგის განმარტორციელებელი სპეციალისტები. ამ კვლევის შედეგების სტატისტიკური ტენდენციის ანალიზი შეჯამებულია ზემოთ და მოცემულია დანართ B-ში.

აქტივობა D 2.2: კვლევა მუძუმწოვრებისა და ქვეწარმავლების სახეობების სივრცითი და დროითი ტენდენციების შესაფასებლად

შემარბილებელი იერარქია	აცილება	შემცირება	აღმოფხვრა	Offset	დამატებითი აქტივობა
------------------------	---------	-----------	-----------	--------	---------------------

გრაფიკი: ოპერირების ფაზა
მონიტორინგი და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები გაწერილია მე- 4 თავში. ინდიკატორები, ლოკაცია და გრაფიკი მოცემული მე-4 თავში.

განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი: ECM და მუძუმწოვრები ექსპერტი, ჰერპტოლოგი

დაცული და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მუძუმწოვრებისა და ქვეწარმავლების შესახებ ცნობიერების ამაღლება ხორციელდება სასკოლო აქტივობებით, კერძოდ სემინარებით, ბროშურებით, ბანერებითა და საინფორმაციო ფურცლების მეშვეობით.

ეს ღონისძიება მნიშვნელოვანია, ვინაიდან საკვლევ ტერიტორიაზე ხდება ნადირობა, როგორც სამოყვარულო ასევე საკვების მოპოვების მიზნით და კომპანია ვალდებულია გაატაროს ღონისძიებების დაცული და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების შემცირების თავიდან ასაცილებლად.

AGL-მა დააფინანსა ან/და ლოჯისტიკური მხარდაჭერა გასწია ზემოთ მოყვანილი აქტივობების განსახორციელებლად. AGL-მა დააფუძნა ორი საინფორმაციო ცენტრი ხულოსა და შუახევში (2014 წლის აპრილიდან), სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ეცნობოდა ბროშურებს, ბანერებს და დებულობდა ინფორმაციას პროექტის არეალში არსებული ბიომრავალფეროვნების შესახებ. ეს აქტივობა დაიწყო მშენებლობის ფაზაზე და გაგრძელდება პერიოდულად ოპერირების ფაზაზე.

აქტივობა D 2.3: ადგილობრივი თემების ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანი ველური და საფრთხის ქვეშ მყოფი მუძუმწოვრებისა და ქვეწარმავლების შესახებ საკვლევ არეალში, ასევე ინფორმაციის მიწოდება მასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებზე

შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია	აცილება	შემცირება	გამოსწორება	საკომპენსაციო ღონისძიებება	დამატებითი აქტივობა
--------------------------------------	---------	-----------	-------------	----------------------------	---------------------

გრაფიკი: ოპერირების ფაზა
მონიტორინგი (ინდიკატორი, ლოკაცია, მონიტორინგის გრაფიკი) განხორციელდება მე-4 თავის შესაბამისად. განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები/კომპანია: ECM და ადგილობრივი გარემოსდაცვითი NGO-ები, AGL-ის სოციალური ჯგუფი


3.1.5 ნარჩენი ზემოქმედება კრიტიკული ჰაბიტატის სახეობებიდან მშენებლობის ფაზაზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი

ნაკლებად სავარაუდოა, რომ პროექტმა იქონია ზეგავლენა ისეთ სახეობებზე, როგორცაა სომიელ გლერძი *Astragalus sommieri* და *Arbutus andrachne* ხემარწყვა 2017-2019 წლებში, ამ სახეობების

ღეროების შემცირება არ დაფიქსირებულა და ნაკვეთებზე ამ ჰაბიტატებმა შეინარჩუნეს სახეობრივი მრავალფეროვნება და დაფარვა.

ამ სახეობების ადგილმდებარეობა მოცემულია სქემაზე **Error! Reference source not found.**

სქემა 3-3 *Arbutus andrachne*-ს ლოკაცია



მონიტორინგის წლების ტენდენციების მოცემულია ცხრილში **Error! Reference source not found.**

ცხრილი 3-8 Arbutus andrachne რაოდენობის ტენდენციები წლების მიხედვით

ნაკვეთის ნომერი	2017	2018	2019
1.	1	1	1
2.	1	1	1
3.	1	1	1
4.	4	4	4
5.	5	5	5
6.	4	4	4
7.	4	4	5
8.	4	3	3
9.	1	1	2
10.	1	1	1
სულ	26	25	27

2017-2019 წლებში შეინიშნება რაოდენობაში მცირე მატება.

სომიეს გლერძის სახეობები (Astragalus sommieri)

სახეობის ლოკაცია მოცემულია სქემაზე *Error! Reference source not found..*

სქემა 3-4 Astragalus sommierii-ს ლოკაცია



Error! Reference source not found. ასახავს ამ სახეობის ღეროების ტენდენციებს 2017-2019 მონიტორინგის წლებში.

ცხრილი 3-9 Astragalus sommierii-ს რაოდენობის ტენდენციები მონიტორინგის წლების მიხედვით

ნაკვეთის ნომერი	2017	2018	2019
1.	35	30	39
2.	15	14	16
3.	38	36	39
4.	12	12	16
5.	10	10	10
6.	3	1	2
7.	1	1	2
8.	6	6	6
9.	1	1	1
10.	1	1	3
Total	122	112	134

2017-2019 წლებში ამ სახეობის რაოდენობის მატება შეინიშნა.

თეთრყვავილა ლაშქარა (*Symphytum grandiflorum*)

2013-2014 წლებში ჩირუხისწყლის დამბასთან ჰაბიტატი შემცირდა და 2020 წლის აპრილში მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა მდინარის მხოლოდ კონკრეტულ მონაკვეთებზე, სადაც ტყე ჩირუხისწყლის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ არის და სადაც მშენებლობის ზემოქმედება არ შეინიშნება და შენარჩუნებულია თითქმის უცვლელ მდგომარეობაში.

ეს სახეობა აღარ ფიქსირდება სანალიასა და საბურხევეში, რადგანაც ჩირუხისწყლის დამბის სამშენებლო სამუშაოების გამო ამ ადგილების ჰაბიტატი მთლიანად მოდიფიცირდა.

ტერიტორია, სადაც *Symphytum grandiflorum*-ის პოპულაცია დაიკარგა ჩირუხისწყლის დამბის სამშენებლო სამუშაოების გამო შეადგენს 0.09 ჰა (**დანართი B**)

გვირილა (*Tripleurospermum szovitsii*)

